საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არილი

ფასი 3 ლარი

1134
2021



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

2021
5 (297)

## ძვირფასო სკოტ, უძვირფასესო ზელდა

# სარჩევი


**დიალოგი** 1 **გაბრიელ გარსია მარკესი: მერჩივნა, ჩემი წიგნები სიკვდილის შემდეგ აღმოეჩინათ**
*ინგლისურიდან თარგმნა სანდრო მოსაშვილმა*

**თარგმანი** 8 **ძვირფასო სკოტ, უძვირფასესო ზელდა | ფრენსის სკოტ ფიცჯერალდისა და ზელდა სეირის პირადი მიმოწერა**
*ინგლისურიდან თარგმნა და შესავალი დაურთო გიორგი მაჭარაშვილმა*

18 **იმბოლო მბუ | რა შეიძლება ითქვას სიყვარულის ნექტრის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ**
*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*

**პროზა** 27 **ცოტნე ავსაჯანიშვილი | მეთორმეტეკლასელები**

**პოეზია** 33 **დიმა ბახუტაშვილი**

**კათედრა** 37 **ჟილ დელეზი | რა არის საუბარი? რისთვის არის ის?**
*ფრანგულიდან თარგმნა გიგლა გონაშვილმა*

44 **პიტო შტაიერლი | თავისუფალი ვარდნისას - ვერტიკალური პერსპექტივის ექსპერიმენტული გააზრება**
*ინგლისურიდან თარგმნა და შესავალი დაურთო თინათინ ხომერიკმა*


გარეკანი: **მამუკა ტყეშელაშვილი**


# არილი

**საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა**

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
**მალხაზ ხარბედია**
**ლექსო დორეული**
**შადიმან შამანაძე**

მხატვარი **მამუკა ტყეშელაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამაზ ჩხაიძე**

პროექტის მენეჯერი **ეკა ხარბედია**



სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სიგრილე, ნიავი
არილი - დასასვენებელი სიცმინდეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge
AriliMagazine

გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
ჟურნალი გამოიცემა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მხარდაჭერით

ივერიელი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გაბრიელ გარსია მარკესი: მერჩივნა, ჩემი წიგნები სიკვდილის შემდეგ აღმოეჩინათ

*ინგლისურიდან თარგმნა სანდრო მოსაშვილმა*



გაბრიელ გარსია მარკესს ინტერვიუ ჩამოვართვი საკუთარ სტუდიაში/ოფისში, ქალაქის ძველ და მშვენიერ, მეხიკოს ფერადი ყვავილებით მორთულ უბანში, სან ანჟელის სასტუმროში მდებარე მისივე სახლის უკან. სტუდიო სახლისაგან მცირე სავალზეა. შენობა დაბალი და წაგრძელებულია, როგორც ჩანს, თავდაპირველად საოჯახო სასტუმროდ იყო ჩაფიქრებული. შიგნით, ერთ ბოლოში, დგას დივანი, ორი სავარძელი და ბარის დროებითი ჩამნაცვლებელი - პატარა თეთრი მაცივარი.

ოთახის ყველაზე გასაოცარი ნიშანი მარკესის უზარმაზარი ფოტოა დივანის თავზე, სადაც იგი ქარიშხლიანი ხედის ფონზე ელეგანტური მოსასხამით მარტო დგას და ენტონი ქუინს ჩამოჰგავს.

მარკესი სტუდიის ბოლოში, სამუშაო მაგიდასთან იჯდა. ჩემს შესაგებებლად სწრაფად, მსუბუქი ნაბიჯით გამოემართა. ჯანიანი აღნაგობის მამაკაცია, მეტრი და სამოცდათორმეტი-სამოცდათხუთმეტი, საშუალო წონის მოჩხუბარს ჰგავს - ფართო გულმკერდით, თუმცა შედარებით თხელი ფეხებით. არაფორმალურად ეცვა, განიერი ველვეტის შარვალი, თხელი, ყელიანი სვიტრი და ტყავის შავი ფეხსაცმელი. თმა მუქი ყავისფერი და ხვეული აქვს, ულვაში სქელი და სრული.

ინტერვიუ სამი ორ-ორსაათიანი შეხვედრის განმავლობაში იწერებოდა, გვიან-საღამოობით. თუმც ინგლისურს საკმაოდ კარგად ფლობს, მარკესი, ძირითადად, ესპანურად საუბრობდა, მთარგმნელის როლს კი მისი ორი ვაჟი ინაწილებდა. მარკესი საუბრისას ხშირად წინ და უკან ირხევა, ხელების მცირე, მაგრამ მკვეთრი მოძრაობით აზრს ამყარებს ან ფიქრის მიმართულების ცვლილებაზე მიუთითებს. მონაცვლეობით ხან მსმენელისკენ გადმოიხრება, ხანაც რეფლექსიას მიცემული ფეხებგადაჯვარედინებული საზურგეს მიეყრდნობა ხოლმე.

.პიტერ სტოუნი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

***- ამდენი ხნის განმავლობაში რომანების წერის შემდეგ, ახლა, როგორც ჟურნალისტი, როგორ გრძნობთ თავს? განსხვავებული გრძნობითა და ხედვით საქმიანობთ?***

- ჩემს ჭეშმარიტ პროფესიად ყოველთვის ჟურნალისტობა მიმაჩნდა. უწინ ჟურნალისტიკაში სამუშაო პირობები არ მომწონდა, ამასთან, საკუთარ მოსაზრებათა გაზეთის ინტერესებზე მორგება მიწევდა. ახლა, როცა რომანისტად მიმუშავია და ფინანსური დამოუკიდებლობაც მოვიპოვე, შემიძლია, სურვილისამებრ შევარჩიო თემა. ნებისმიერ შემთხვევაში, გამორჩეული ჟურნალისტური საქმიანობის შესაძლებლობა ძალიან მახარებს.

***- გგონიათ, რომ რომანს აქვს ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც ჟურნალისტიკას არ გააჩნია?***

- არანაირი. განსხვავებას ვერ ვხედავ. მათი წყაროები საერთოა, მასალა იგივე, რესურსი და ენაც იდენტური.

***- ჟურნალისტისა და რომანისტის პასუხისმგებლობა სიმართლისა და გამონაგონის დაბალანსებისას განსხვავდება?***

- ჟურნალისტიკაში ერთი მცდარი ფაქტი ვნებს, მხატვრულ ლიტერატურაში კი ერთი ჭეშმარიტი ფაქტი დამაჯერებელს ხდის მთელს ნაშრომს. მხოლოდ ესაა სხვაობა.

დღეს როგორც ჟურნალისტიკა, ისე რომანის წერა უფრო მიჭირს, ვიდრე გაზეთებისთვის მუშაობისას. ახლა თითოეული სიტყვის არჩევანი ცნობიერია, მაშინ ასე არ იყო. შედეგი შემცირდა, კარგ სამუშაო დღეს დილის ცხრიდან დღის სამ საათამდე თუ ვმუშაობ, ყველაზე მეტი, ერთ ოთხხუთსტრიქონიან აბზაცს დავწერ, რომელსაც უფრო ხშირად მომდევნო დღეს დავხევ-ხოლმე.

ვფიქრობ, აზრმა, რომ გაცილებით მეტი ადამიანისთვის ვწერ, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი, ერთგვარი ზოგადი, ლიტერატურული და პოლიტიკური პასუხისმგებლობა წარმოშვა. ვიტყოდი, სიამაყის ფაქტორიც არსებობს, არ ჩამოუვარდებოდეს მომდევნო ნაწერი წინებს.

***- როგორ დაიწყეთ წერა?***

ხატვით. ვიდრე წერა-კითხვას ვისწავლიდი, სახლსა და სკოლაში კომიქსებს ვხატავდი. ახლა ვაცნობიერებ, რომ სკოლაში მუდამ მწერლის რეპუტაცია მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არაფერი დამეწერა. სადაც ბროშურა, წერილი ან პეტიცია იყო დასაწერი, მე მომმართავდნენ. კოლეჯში სწავლისას მეგობრებთან შედარებით უკვე საგრძნობლად უკეთესი ლიტერატურული საფუძველი მქონდა. ბოგოტის უნივერსიტეტში კი ახალი სანაცნობო გავიჩინე, რომელთაც თანამედროვე მწერლები გამაცნეს. ერთ ღამეს მეგობარმა ფრანც კაფკას მოთხრობების კრებული მათხოვა. პანსიონატში დაბრუნებულმა "მეტამორფოზის" კითხვა დავიწყე. პირველმა წინადადებამ ლამის საწოლიდან გადმომაგდო: "ერთხელ, დილით, როცა გრეგორ ზამზამ შფოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თავის საწოლში რაღაც საშინელ მწერად გადაქცეულიყო." არ ვიცოდი, ამგვარად წერის უფლება თუ ვინმეს ჰქონდა, რომ მცოდნოდა, გაცილებით ადრე დავიწყებდი წერას. მოთხრობების წერა ასე დავიწყე, მაშინვე. წმინდად ინტელექტუალური მოთხრობები იყო, რადგან მათ მხოლოდ ლიტერატურული გამოცდილების შესაბამისად ვწერდი. მაშინ ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის კავშირი ჯერაც არ მეპოვა. პირველ ნაწერებზე უთქვამთ, რომ ჯოისისეული გავლენები ჰქონდა.

***- ჯოისი მაშინ გქონდათ წაკითხული?***

- ჯოისი არასდროს წამეკითხა, ამიტომ "ულისეს" ერთადერთი და ცუდი ესპანური თარგმანის კითხვას შევუდექი, თუმცა ვისწავლე მომავალი შემოქმედებისთვის ძალიან გამოსადეგი, შინაგანი მონოლოგის ტექნიკა. მოგვიანებით ეს ტექნიკა ვირჯინია ვულფთანაც აღმოვაჩინე, თანაც მისი მანერა ჯოისისას მირჩევნია.

მოთხრობებისთვის ინტელექტუალური ხასიათის მოცილებაში ამერიკელთა "დაკარგული თაობა" დამეხმარა. მივხვდი, რომ მათ პროზას ცხოვრებასთან ისეთი მიმართება ჰქონდა, რომელიც ჩემს ნაწერებს არ გააჩნდა, თუმცა ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა თავს მალევე გადამხდა. 1948 წლის 9 აპრილს მოხდა "ბოგოტაზო". ესროლეს პოლიტიკურ ლიდერ გაიტანს, ბოგოტას აღშფოთებული მოსახლეობა კი ქუჩაში გამოვიდა. პანსიონატიდან შემთხვევის ადგილისკენ გავიქეცი, გაიტანი საავადმყოფოში წაეყვანათ, ხალხს ქუჩები დაეკავებინათ, არბევდნენ მაღაზიებს, წვავდნენ შენობებს. მეც შევუერთდი.

იმ საღამოს გავაცნობიერე როგორ ქვეყანაში ვცხოვრობდი და რამდენად ცოტა ჰქონდა ჩემს მოთხრობებს მასთან საერთო. მოგვიანებით, როცა კარიბის ზღვის პირზე, ბავშვობის ქალაქში, ბარანკილიაში დავბრუნდი, მივხვდი, რომ სწორედ ამ ტიპის ცხოვრება მქონდა გამოვლილი, ასეთ ცხოვრებას ვიცნობდი და მასზე მსურდა მეწერა.

1950-51 წლებში კიდევ ერთი რამ მოხდა, რამაც ჩემი ლიტერატურული ტენდენციები განსაზღვრა, დედაჩემმა არაკატაკაში გაყოლა მთხოვა, იმ სახლის გასაყიდად, სადაც დავიბადე და ცხოვრების პირველი ხუთი წელი გავატარე. შეცვლილი არაფერი იყო, თუმცა ვგრძნობდი, სოფელს კი არ ვუყურებდი, არამედ მას ისე განვიცდიდი, თითქოს, ვკითხულობდი. თითქოს, ყველაფერი, რასაც ვხედავდი, უკვე დაწერილი ყოფილიყო და მე მხოლოდ დაჯდომა და გადაწერა დამრჩენოდა იმისა, რასაც ვკითხულობდი. ყველა თვალსაზრისით, ყოველივე ლიტერატურად გარდაიქმნა: სახლები, ხალხი, მოგონებები. არ მახსოვს, ფოლკნერი უკვე წამეკითხა თუ არა, მაგრამ ახლა ვიცი, მხოლოდ ფოლკნერისეული ტექნიკა შემაძლებინებდა დანახულის ჩაწერას. ის ატმოსფერო, დეკადანსი, სოფლის სიცხე, თითქმის იგივე იყო, რაც ფოლკნერთან მივრძენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მოგზაურობიდან დაბრუნებულმა დავწერე ჩემი პირველი რომანი, "ფოთოლცვენა". არაკატაკას სტუმრობისას მივხვდი, რომ ყველაფერს, რაც ბავშვობაში გადამხდენია, ლიტერატურული ღირებულება ჰქონდა, რომელსაც ახლაღა ვაფასებდი. "ფოთოლცვენის" დაწერისთანავე მივხვდი, რომ მსურდა მწერალი ვყოფილიყავი, რომ ვერავინ შემაჩერებდა და, რომ ერთადერთი, რაც დამრჩენოდა, იყო მეცადა, ვყოფილიყავი მსოფლიოში საუკეთესო მწერალი. ეს 1953 წელს მოხდა, მწერლობისთვის პირველი ჰონორარი კი 1967 წელს ავიღე, როცა რვა წიგნთაგან ხუთი უკვე დაწერილი მქონდა.

***- ფიქრობთ, რომ ხშირია ახალგაზრდა მწერლებში ბავშვობის გამოცდილებების ღირებულების უარყოფა და წერის ინტელექტუალიზება?***

- არა, ძირითადად, პირიქით ხდება, თუმცა თუკი რამეს ვურჩევდი ახალგაზრდა მწერლებს, ვეტყოდი, რომ დაწერონ, რაც თავად გადახდომიათ; ყოველთვის მარტივია, იცნო, მწერალი თავის ამბავს ჰყვება, თუ რაც წაუკითხავს ან მისთვის ახვებს უამბიათ, იმას. სულ მახალისებდა ფაქტი, რომ ჩემი შემოქმედების ქების უდიდესი ნაწილი წარმოსახვაზე მოდის, მაშინ, როცა ერთი ხაზიც კი არაა რეალობისეული ფუძის გარეშე. პრობლემა ისაა, რომ კარიბული რეალობა გიჟურ წარმოსახვას მართლა ჩამოჰგავს.

***- ჟურნალისტიკამ თქვენს მხატვრულ პროზაზე რა გავლენა მოახდინა?***

- ვფიქრობ, გავლენა ორმხრივია. მხატვრულმა პროზამ ჟურნალისტიკას ლიტერატურული ღირებულება შესძინა, ჟურნალისტიკამ კი მას რეალობასთან ახლო კავშირი შეუნარჩუნა.

***- "ფოთოლცვენიდან" "მარტოობის ას წელიწადამდე" სტილის ძიების პროცესს როგორ აღწერდით?***

"ფოთოლცვენის" დასრულების შემდეგ გადავწყვიტე, რომ სოფელსა და ბავშვობაზე წერა ქვეყნის პოლიტიკურ რეალობაზე წერისაგან გაქცევა იყო. მეგონა, რომ იმის ნაცვლად, დავპირისპირებოდი პოლიტიკურ ყოფას, ნოსტალგიის მიღმა ვიმალებოდი. ამ დროს პოლიტიკისა და ლიტერატურის ურთიერთობა აქტიურად განიხილებოდა, მე კი ვცდილობდი, მათ შორის სივრცე ამომევსო. ფოლკნერის გავლენები ჰემინგუეიმ შეცვალა. "პოლკოვნიკს არავინ სწერს", "ცუდი დროება" და "დიდედის დასაფლავება" ყველა დაახლოებით ერთ დროს დავწერე და მათ შორის მსგავსებაც არაერთია. ისტორიები "ფოთოლცვენისა" და "მარტოობის ასი წელიწადისგან" განსხვავებულ სოფელში ვითარდება, სადაც არ არსებობს მაგიურობა, ამიტომ თითოეული ჟურნალისტიკური ლიტერატურაა. როგორც კი "ცუდი დროება" დავასრულე, დავინახე, რომ შეხედულებები კვლავ მცდარი მქონდა. მივხვდი, რომ ბავშვობის შესახებ ჩემი ნაწერები იმაზე პოლიტიკური იყო და უფრო მეტად ასახავდნენ ქვეყნის რეალობას, ვიდრე ვფიქრობდი. ხუთი წლის განმავლობაში აღარაფერი დამიწერია. ვიცოდი, რისი კეთება მსურდა, თუმცა მაკლდა რაღაც და ვერ ვხვდებოდი რა, ვიდრე სწორ ტონს არ მივაგენი, ტონს, რომელიც "მარტოობის ას წელიწადში" გამოვიყენე. სტილი ბებიის მიერ ისტორიის თხრობის მანერაზე დავაფუძნე. ბებია ყვებოდა ამბებს, რომელიც ფანტასტიკურად ჟღერდა, თუმცა ყვებოდა სრული ბუნებრიობით. როგორც კი აღმოვაჩინე და ხელთ მქონდა სწორი ტონალობა, დავჯექი და თვრამეტი თვე ყოველ დღე ვმუშაობდი რომანის დასრულებამდე.

***- ფანტასტიკურს ასე ბუნებრივად როგორ გადმოსცემდა?***

- ყველაზე მნიშვნელოვანი სახის გამომეტყველება იყო, თხრობისას მას არასდროს ცვლიდა. "მარტოობის ასი წელიწადის" წერისას რამდენჯერმე ვეცადე, ამბავი ამბისავე რწმენის გარეშე მომეყოლა, თუმცა აღმოვაჩინე, რომ საჭირო იყო თავად დამეჯერებინა ის, რასაც ვყვებოდი და გადმომეცა იმავე გამომეტყველებით, როგორც ამას ბებია აკეთებდა - უძრავი და სერიოზული სახით.

***- თითქოს, ამ ტექნიკასა თუ ტონალობას ჟურნალისტური ელფერი დაჰკრავს. ფანტასტიკურ ელემენტებს ხშირად უზომო დეტალიზებით რეალურობას სძენთ. ეს თვისება ჟურნალისტიკიდან შეიძინეთ?***

- დიახ, ჟურნალისტური ხერხია, რომელიც ლიტერატურასაც ერგება. მაგალითად, თუ იტყვით, რომ ცაში სპილოები დაფრინავენ, არავინ მოგისმენთ, მაგრამ თუ იტყვით, რომ ცაში ოთხას ოცდახუთი სპილო დაფრინავს, ხალხი, სავარაუდოდ, დაგიჯერებთ. "მარტოობის ასი წელიწადი" ამგვარი მაგალითებით სავსეა. ბებიაც ზუსტად ამ ტექნიკას იყენებდა. განსაკუთრებულად ერთი ამბავი მახსოვს ყვითელი პეპლებით გარშემორტყმულ კაცზე. პატარა ვიყავი, სახლში ელექტრიკოსი რომ მოდიოდა-ხოლმე, ელექტრომომარაგების ბოძზე ჩამოსაკიდი ქამრის გამო ჩემში დიდ ინტერესს იწვევდა. ბებია კაცზე ამბობდა, მისი სტუმრობა სახლს პეპლებით ავსებსო. ამას როცა ვწერდი, აღმოვაჩინე, რომ თუ პეპლებზე ყვითელიაო, არ ვიტყოდი, არავინ დაიჯერებდა. ყოველი მწერლის პრობლემა სანდოობაა, დამაჯერებლობაა. ყველას ყველაფრის დაწერა შეუძლია, თუკი ამბავს დაიჯერებენ.

საბოლოოდ, ლიტერატურა დურგლობას ჰგავს. წერა ისევე რთულია, როგორც მაგიდის კეთება. ორივე შემთხვევაში რეალობასთან მუშაობ, ხესავით მყარი მასალით, ორივე სავსეა ხერხებითა და ტექნიკით, ორივეგან ცოტაა მაგია და უზარმაზარია შრომა. როგორც, მგონი, პრუსტმა თქვა, ათი პროცენტია შთაგონება და ოთხმოცდაათი - ოფლი. არასდროს მიმუშავია დურგლად, მაგრამ ამ პროფესიას განსაკუთრებულად ვაფასებ, რადგან ეს ის საქმეა, რომელსაც შენ მაგიერ არავინ გააკეთებს.

რა თქმა უნდა, გამოიყენებია ისეთი ლიტერატურული ხერხებიც, რომელიც ჯერ დროს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუცდია. დახვრეტის ამბავი "მარტოობის ას წელიწადში" სრული სიმართლეა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ვწერდი, დახოცილთა რაოდენობა არასდროს ყოფილა ცნობილი. მე სამი ათასი დავწერე, რაც აშკარა გაზვიადებაა. ბავშვობის ერთ-ერთი ჩემი მოგონება ძალიან გრძელი, ბანანებით სავსე მატარებლის ჩავლაზე დაკვირვებას უკავშირდება. თავისუფლად შეიძლებოდა ვაგონები სამი ათასი ზღვაში გადასაყრელად გამზადებული ცხედრით ყოფილიყო დატვირთული. შთამბეჭდავი ისაა, რომ დღეს კონგრესსა და გაზეთებში სამ ათას გარდაცვლილზე სრულიად ბუნებრივად საუბრობენ. ვფიქრობ, ისტორიის ნახევარი სწორედ ასე იქმნება. "პატრიარქის შემოდგომაში" დიქტატორი ამბობს, არ აქვს მნიშვნელობა, რომ ახლა არ არის სიმართლე, ოდესღაც იქნებაო. ადრე თუ გვიან ხალხი მთავრობებზე მეტად მწერლებისას ირწმუნებენ.

***- მწერალს დიდი ძალაუფლება ჰქონია, არა?***

- დიახ და მეც ვგრძნობ ამას, პასუხისმგებლობის დიდ განცდას მიჩენს. ერთი აბსოლუტურად ჭეშმარიტი და ნამდვილი ჟურნალისტიკური ნაშრომის დაწერა მსურს, რომელსაც "მარტოობის ასი წელიწადივით" დაუჯერებელი ტონი ექნება. რაც მეტად გადის დრო და მახსენდება წარსული, მეტად ვფიქრობ, რომ ლიტერატურა და ჟურნალისტიკა ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან.

***- ქვეყნის მიერ საგარეო ვალის გამო ზღვის დათმობაზე რას იტყვით, როგორც ეს "პატრიარქის შემოდგომაშია"?***

- კი, მაგრამ ეს ხომ მართლა მოხდა. მოხდა და მოხდება კიდევ მრავალჯერ. "პატრიარქის შემოდგომა" სრულიად ისტორიული წიგნია. ფაქტებიდან შესაძლებლობების, ალბათობების პოვნა ჟურნალისტის, რომანისტისა და წინასწარმეტყველის საქმეა. სამწუხაროა, რომ ბევრს მივაჩნივარ ფანტასტიკის მწერლად, მაშინ, როცა რეალისტი ადამიანი ვარ და მგონია, ჩემი ნაწარმოებები ჭეშმარიტი სოციალისტური რეალიზმია.

***- უტოპისტურია?***

- არ ვიცი, უტოპისტური რეალურს გულისხმობს თუ იდეალურს, მაგრამ, ვფიქრობ, რეალურია.

***- "პატრიარქის შემოდგომაში" პერსონაჟები, დიქტატორები, მაგალითად, რეალურ პიროვნებებზე არიან დაფუძნებულნი? ისინი ჰგვანან ფრანკოს, პერონს, ტრუხილიოს...***

- პერსონაჟები თითოეულ რომანში იმ პერსონაჟთა კოლაჟებია, რომელთაც იცნობთ, რომელთა შესახებაც გსმენიათ ან წაგიკითხავთ. ათი წლის განმავლობაში ვკითხულობდი ყველაფერს, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა, გასული და მიმდინარე საუკუნის ლათინოამერიკელ დიქტატორებზე და ვესაუბრებოდი ადამიანებს, რომელთაც უშუალოდ დიქტატურაში მოუწიათ ცხოვრება. როგორც კი წარმოვიდგინე, რანაირი იქნებოდა პერსონაჟი, ვეცადე, დამევიწყებინა ყველაფერი, რაც წავიკითხე ან გავიგე, რათა შემექმნა იგი დამოუკიდებლად, რეალურ იდომილებასთან ყოველგვარი ასოცირების გარეშე. გავაცნობიერე, რომ არასდროს დიქტატორული რეჟიმის ქვეშ არ მეცხოვრა, ამიტომ თუკი წიგნს ესპანეთში, შემდგარ დიქტატურაში დავწერდი, ატმოსფეროს უფრო ზუსტად შევიგრძნობდი. აღმოჩნდა, რომ ფრანკოს ესპანეთისა და კარიბის დიქტატურის განცდა ძალიან განსხვავდებოდა, ამიტომ წიგნის წერა ერთი წლით შეყოვნდა. ერთ ღამეს გადავწყვიტე, რომ კარიბის ზღვის პირზე უნდა დავბრუნებულიყავი და გამოვემგზავრეთ ბარანკილიაში, კოლუმბიაში. კუნძულიდან კუნძულზე სიარულში მივაგენი ელემენტებს, რომლებიც რომანს აკლდა.

***- ხშირად იყენებთ ძალაუფლების მარტოსულობის თემას...***

- რაც მეტი ძალაუფლება გაქვს, მით უფრო რთულია გაიგო, ვინ გატყუებს და ვინ არა. აბსოლუტურ ძალაუფლებას როდესაც აღწევ, რეალობასთან კავშირი წყდება. მარტოობის ეს განცდა ყველაზე შემზარავია. ძალაუფლების მქონე ადამიანს, დიქტატორს, გარს ახვევია ადამიანები და მოტივაციები, რომელთა საბოლოო მიზანი მისი რეალობისაგან იზოლირებაა.

***- მწერლის სიმარტოვე განსხვავებულია?***

***- როგორ იწყებთ ამ ყველაფერს? "პატრიარქის შემოდგომაში" ერთ-ერთი განმეორებადი სურათი სასახლეში ძროხებია, ჩაფიქრებული თავიდანვე ასე იყო?***

- წიგნი მაქვს ფოტოგრაფიის შესახებ, გაჩვენებთ. არაერთხელ მიხსენებია, რომ წიგნების დაბადებისას ჩემში ყოველთვის არსებობს რაღაც სურათი. "პატრიარქის შემოდგომისთვის" პირველი ასეთი სურათი მოხუცი კაცის გამოსახულება იყო, მდიდრულ სასახლეში, სადაც ძროხები მოდიოდნენ და ფარდებს ჭამდნენ. თუმცა ფოტოს ნახვამდე გონებაში გამოსახულება არ დამისრულებია. რომში ერთ წიგნის მაღაზიაში შევედი, სადაც ფოტოგრაფიის შესახებ წიგნებს ვათვალიერებდი, ვაგროვებდი მათ და ვნახე ეს ფოტო, იდეალური იყო. მივხვდი, ყველაფერი როგორი უნდა ყოფილიყო. რადგან დიდი მოაზროვნე არ ვარ, შთაგონების წყაროს ყოველდღიურ რაღაცებში ვპოულობ-ხოლმე და არა შედევრებში.

**- რომანები თქვენთვისვე მოულოდნელად მიმართულებას იცვლიან-ხოლმე?**

- დასაწყისში მემართებოდა ასე. პირველ ნაწარმოებებს რომ ვწერდი, ზოგადი იდეა და განწყობა ვიცოდი მხოლოდ, თავს უფლებას ვაძლევდი, შემთხვევითობასაც წარემართა პროცესი. საუკეთესო რჩევა, რაც მოუციათ, იყო, რომ ვიდრე ახალგაზრდა ვიყავი, ამგვარად შემეძლო მეწერა, რადგან შთაგონება უხვად მექნებოდა, თუმცა ტექნიკას თუ არ ვისწავლიდი, ასაკთან ერთად, როცა შთაგონება გაუხშოვდებოდა და ტექნიკით კომპენსაცია დასჭირდებოდა, გამიჭირდებოდა. ეს რომ დროზე არ მესწავლა, წინასწარ ნაწარმოების

მონახაზს ვერც შევქმნიდი-ხოლმე. სტრუქტურა წმინდად ტექნიკური საკითხია და თუ ადრევე არ ისნავლე, შემდეგ გვიანი იქნება.

***- სტიმულატორებზე რა აზრის ხართ?***

- ჰემინგუეიმ დაწერა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მისთვის წერა კრივს ჰგავდა. კარგად უვლიდა თავს, ჯანმრთელობაზე ზრუნავდა. მეორე მხრივ, ფოლკნერს ლოთის სახელი ჰქონდა გავარდნილი. თუმცა ყველა ინტერვიუში ამბობდა, ნასვამზე ერთი ხაზის დაწერაც კი შეუძლებელიაო. ჰემინგუეიც ამას ამბობდა. ბევრ ცუდ მკითხველს უკითხავს ჩემს ზოგიერთ ნანარმოებზე, ზემოქმედების ქვეშ თუ ვწერდი, რაც მხოლოდ იმას ცხადყოფს, რომ არც ლიტერატურის და არც ნარკოტიკების შესახებ გაეგებათ ბევრი. კარგი მწერლობისთვის აუცილებელია წერის ნებისმიერ მომენტში სრულიად ფხიზელი და ჯანმრთელი იყო. ნინააღმდეგი ვარ იმ რომანტიზებული იდეის, რომ წერა მსხვერპლს მოითხოვს, რომ რაც უარესია ემოციური და ეკონომიკური მდგომარეობა, მით უკეთესია ლიტერატურა. ჩემი აზრით, შესანიშნავ ემოციურ და ფიზიკურ მდგომარეობაში უნდა იყო, რომ ლიტერატურული ქმნილება ღირებული გამოვიდეს. "დაკარგულ თაობას" ესმოდა ეს, უყვარდათ მათ ცხოვრება.

***- ბლეზ სანდრარი ამბობდა, წერა პრივილეგიაა სხვა სამუშაოებთან შედარებით და მწერლები ტანჯვას აბუქებენო. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

- მე მგონია, რომ წერა ძალიან რთულია, მაგრამ ნებისმიერი კარგად შესრულებული საქმეც რთულია. პრივილეგია ისაა, როდესაც საქმის შესრულების ხარისხით კმაყოფილი ხარ. საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ ძალიან მომთხოვნი ვარ, შეცდომებს ვერ ვიტან, ამიტომ, ნებისმიერი საქმის სრულყოფილად შესრულება ჩემთვის პრივილეგიაა. ისიც მართალია, რომ მწერლები ხშირად მეგალომანები არიან, სამყაროსა და საზოგადოების ცნობიერების ცენტრში წარმოუდგენიათ თავი, მაგრამ კარგად შესრულებული სამუშაო მაინც დასაფასებელია. ფრენისას, თუ ვიცი, რომ პილოტი უკეთესი პილოტია, ვიდრე მე მწერალი, მიხარია.

ნებისმიერ შემთხვევაში, წერისას შთაგონების იმედი გაქვს. რომანტიკოსები ამ სიტყვას ზედმეტად ხშირად იყენებდნენ-ხოლმე, თუმცა მე მჯერა, რომ არის გონების განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლის დროსაც პროცესი იოლდება და წერა თავისუფალ დინებას იძენს, ყველა საბაბი უმოქმედობისა, მხოლოდ სახლში, სიმყუდროვეში მუშაობის შესაძლებლობა და სხვა, ქრება. თემატიკისა და მასთან მოპყრობის სწორი სტილის პოვნის შემდეგ ეს მდგომარეობა ხშირად დგება-ხოლმე.

ასევე, ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხი პირველი აბზაცია. მრავალი თვე დამიხარჯავს პირველ აბზაცზე, მაგრამ, როგორც კი მოვიხელთებ, დანარჩენი მარტივად მიდის. წიგნის უმეტეს პრობლემატიკას პირველი აბზაცი ხსნის, განისაზღვრება თემა, სტილი, ტონი. ჩემს შემთხვევაში მაინც, პირველი აბზაცი რამდენადმე ნიმუშს ქმნის, რომანი როგორი იქნება. ამიტომ პატარა მოთხრობების წერა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე რომანისა, რადგან ყოველ ჯერზე თავიდან გიწევს ამ ეტაპის გავლა.

***- შთაგონებას და ინტუიციას განასხვავებთ?***

- შთაგონებაა, როცა სწორ თემატიკას იპოვი, მოგეწონება და სამუშაო გაგიმარტივდება. ინტუიცია ასევე ფუნდამენტური კომპონენტია მხატვრული ლიტერატურის შემოქმედებისა, განსაკუთრებული შესაძლებლობაა, სპეციალური ცოდნის გარეშე გაარჩიო, რა არის რეალური. გამოცდილების ქონის გზაა, მის მოსაპოვებლად საჭირო წვალების გარეშე, ისევე, როგორც გრავიტაციის კანონს ინტუიციით უფრო მალე გამოარკვევ, ვიდრე სხვა ხერხებით. რომანისტისთვის ინტუიცია აუცილებელია. პრინციპში, ინტელექტუალიზმის საპირისპირო მოვლენაა, ეს უკანასკნელი კი ალბათ ყველაზე მეტად მძულს სამყაროში. ინტუიციას აქვს უპირატესობა, რომ ან გქონდეს, ან არა და არ აქციოს კომპლექსური, მოძრავი, რეალური სამყარო უძრავ, ხისტ და ნაწვალებ თეორიად.

***- ანუ თეორეტიკოსები არ მოგწონთ?***

- ზუსტად. უმთავრესად იმიტომ, რომ არ მესმის მათი. სწორედ ამიტომ, თუკი რამეს ვხსნი ან გადმოვცემ, ყოველივეს ანეკდოტურად ვაკეთებ. აბსტრაჰირების უნარი არ მაქვს. ბევრი კრიტიკოსი ამის გამო უკულტურო ადამიანსაც მიწოდებს, რადგან, ალბათ, საკმარისად არ ვციტირებ.

კრიტიკოსები ინტელექტუალიზმის სახე არიან. პირველ რიგში, წარმოდგენა-თეორიები აქვთ იმის შესახებ, თუ რა ან ვინ უნდა იყოს ავტორი. ცდილობენ ამ მოდელს მოარგონ თითოეული და თუ არ ერგებიან, ძალით მოარგებენ. ამას მხოლოდ იმიტომ გპასუხობთ, რომ მკითხეთ, ჩემ შესახებ კრიტიკოსთა აზრისადმი არანაირი ინტერესი მაქვს, აღარც წამიკითხავს მრავალი წელია. მათ ავტორსა და მკითხველს შორის შუამავლის როლი აითვისეს. მე ყოველთვის ვცდილობ, ნათელი და მკაფიო იყოს ჩემი ნაწერი, მივწვდე მკითხველს პირდაპირ, კრიტიკოსის შუამავლობის გარეშე.

***- მთარგმნელებისადმი რა დამოკიდებულება გაქვთ?***

- მთარგმნელებისადმი დიდი პატივისცემა მაქვს, ოღონდ არა მათდამი, ვინც სქოლიოს იყენებს. მუდმივად ცდილობენ, მკითხველს აუხსნან ის, რაც სავარაუდოდ ავტორს არც უგულისხმია. რადგან რაღაც ასე წერია, ესე იგი, მკითხველი უნდა თავისით გაუმკლავდეს ტექსტს ამ ფორმით. საკმაოდ რთული საქმეა თარგმნა, არც სასიამოვნოა და ცუდად ანაზღაურებადიცაა. კარგი თარგმანი ყოველთვის სხვა ენაზე ნაწარმოების ხელახალი ქმნილებაა, ამიტომ მიყვარს გრეგორი რაბასა. ოცდაერთ ენაზე უთარგმნიათ ჩემი წიგნები და მხოლოდ რაბასას არ უთხოვია არაფრის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტება, რომ სქოლიოში შენიშვნად დაერთო. ინგლისურ ენაზე ჩემი ნაწარმოებები აბსოლუტურად გარდაქმნილია, შთაბეჭდილება გექმნება, რომ მთარგმნელმა წაიკითხა და შემდეგ რაც მოაგონდა, დაწერა. სწორედ ამიტომ, რომ ინტუიციურები არიან და არა ინტელექტუალები, მიყვარან მთარგმნელები. მათ არა მხოლოდ ცუდად უხდიან, არამედ ისინი თვითონაც ვერ ხედავენ თავიანთ ქმნილებებს როგორც ახალ ლიტერატურას.

***- კუბის რევოლუციამ რა გავლენა მოახდინა ლათინოამერიკულ ლიტერატურაზე?***

- აქამდე გავლენა უარყოფითი იყო. პოლიტიკასთან დაკავშირებული ავტორები თავს ვალდებულად მიიჩნევენ, წერონ არა იმაზე, რაც სურთ, არამედ იმაზე, რაზეც ფიქრობენ, რომ უნდა სურდეთ. ასეთი გათვლილი ლიტერატურა კავშირს კარგავს გამოცდილებასთანაც და ინტუიციასთანაც. მიზეზი ისაა, რომ კუბის კულტურულ გავლენას ლათინური ამერიკა ეწინააღმდეგება. თავად კუბაში უშუალოდ პროცესს ახალი ტიპის ლიტერატურა ან ხელოვნება ჯერ არ წარმოუქმნია, ამას დრო სჭირდება. ლათინური ამერიკისთვის კი კუბის კულტურული მნიშვნელობა უფრო ხიდის როლით განისაზღვრა, რომელმაც აქ წლობით არსებული ლიტერატურა რეგიონს გარეთ გაიტანა. რაღაც აზრით, ამერიკაში ლათინოამერიკული ბუმი კუბის რევოლუციამ წარმოქმნა. ამ თაობის მწერალთა ოცი წლის განმავლობაში ნაწერის მიმართ ამერიკელ და ევროპელ გამომცემლებს ინტერესი არ ჰქონდათ. რევოლუცია, ერთი მხრივ, პროდუქტად იქცა, ლათინური ამერიკა მოდად იქცა და აღმოჩნდა, რომ აქ არსებობდა რომანები, რომლებიც თარგმანის ღირსი იყო, მსოფლიო ლიტერატურის გვერდით განსახილველად ვარგისი. სამწუხარო ისაა, რომ კულტურული კოლონიალიზმი იმდენად მწვავეა ლათინურ ამერიკაში, რომ ლათინოამერიკელთა დარწმუნება, რომ მათი რომანები კარგია, შეუძლებელი იყო, ვიდრე გარედან არ მოიპოვეს აღიარება.

***- არიან ნაკლებად ცნობილი ლათინოამერიკელი მწერლები, რომელთაც თქვენ პატივს სცემთ?***

- სამწუხაროდ, ახალგაზრდა მწერლების დიდი ნაწილი უფრო პოპულარობის იდეითაა გატაცებული, ვიდრე საკუთარი ნაწერებით. თითქოს, კრიტიკოსებთან მიმოწერაში კარგავენ დროს, იმის მაგივრად, რომ თავიანთ ნაწარმოებებზე მუშაობდნენ. გაცილებით მნიშვნელოვანია, წერო, ვიდრე შენზე წერდნენ. ჩემი ლიტერატურული კარიერისთვის, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ როგორც ავტორს, ორმოც წლამდე ჰონორარად ცენტიც არ მიმიღია, მიუხედავად იმისა, რომ ხუთი წიგნი მქონდა დაბეჭდილი.

***- ფიქრობთ, რომ ნაადრევი წარმატება და პოპულარობა ავტორის კარიერისთვის საზიანოა?***

- ნებისმიერი ასაკისთვის ცუდია. მერჩივნა, ჩემი წიგნები სიკვდილის შემდეგ აღმოეჩინათ, სულ მცირე, კაპიტალისტურ ქვეყნებში მაინც, სადაც მწერალს ერთგვარ პროდუქტად გაქცევენ.

***- საყვარელი მწერლების გარდა, დღეს რას კითხულობთ-ხოლმე?***

- მხოლოდ "ლიტერატურის" კითხვის საკრალურობა დავკარგე. ახლა ვკითხულობ ნებისმიერ რამეს. ვცდილობ, თან დროს არ ჩამოვრჩე. მაგალითად, მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ჟურნალს ვკითხულობ ყოველკვირეულად.

***- რატომ გგონიათ, რომ ცნობადობა მწერლისთვის დამღუპველია?***

- პირველ რიგში, იმიტომ, რომ პირად ცხოვრებაში იჭრება. ადამიანსართმევს მეგობრებისთვისა და მუშაობისთვის განკუთვნილ დროს, გაშორებს რეალურ სამყაროს. ცნობილი მწერალი, თუკი სურს განაგრძოს წერა, სისტემატურად უნდა იბრძოდეს პოპულარობის წინააღმდეგ. არ მიყვარს ამის თქმა, რადგან არაგულწრფელად ჟღერს, მაგრამ გავიმეორებ, მერჩივნა, სიკვდილის შემდგომ დაებეჭდათ ჩემი წიგნები, აღარ დამჭირდებოდა დიდი მწერლობის და ცნობადობის პრობლემებთან გამკლავება. ჩემს შემთხვევაში პოპულარობის ერთადერთი სიკეთე ის იყო, რომ შევძელი მისი პოლიტიკურად გამოყენება.

***- "მარტოობის ასმა წელიწადმა" რატომ ჰპოვა, თქვენი აზრით, ასეთი გამოხმაურება?***

- წარმოდგენა არ მაქვს, ზოგადად, უკიდურესად ცუდი კრიტიკოსი ვარ საკუთარი ნაწარმოებებისა. ყველაზე ხშირად, რაც მომისმენია, ამბობენ, რომ ლათინოამერიკელთა პირად ცხოვრებაზეა წიგნი, რომ საზოგადოების შიგნიდანაა დაწერილი. ეს ახსნა მაოცებს, იმიტომ, რომ თავდაპირველად ნაწარმოებისთვის "სახლის" დარქმევას ვაპირებდი, მინდოდა, მთელი მოქმედება ერთ სახლში განვითარებულიყო. ეს აზრი მივატოვე, თუმცა, როგორც კი წიგნი ქალაქ მაკონდოში შედის, მის მიღმა აღარ იძვრის.

***- რამეს ნანობთ ან გრძელვადიანი ამბიციები, როგორც მწერალს, გაქვთ?***

ამაზე პასუხი, ვფიქრობ, იგივეა, რაც პოპულარობაზე გაგეცით. იმ დღეს მკითხეს, ნობელის პრემიით თუ ვიყავი დაინტერესებული. მგონია, ჩემთვის აბსოლუტური კატასტროფა იქნება. ნამდვილად მაინტერესებს, თუკი დავიმსახურებ, მაგრამ მიღება საშინელება იქნებოდა. პოპულარობის პრობლემას ერთი-ორად გაამძაფრებდა. თუ რამეს ვნანობ ცხოვრებაში, ქალიშვილის არყოლაა.

***- რაიმე პროექტზე მუშაობთ, რომლის გამხელასაც შეძლებთ?***

- სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ დავწერ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წიგნს, მაგრამ არ ვიცი, როდის მოხდება ეს ან რომელი წიგნი იქნება. როდესაც ასეთი გრძნობა მეუფლება, და ეს შეგრძნება უკვე ხანია ხანი მაქვს, ჩუმად ვარ, რომ სწორი მომენტი ხელიდან არ დამისხლტეს.

*1981 წელი*

ივერიელი
ელექტრონული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძვირფასო სკოტ, უძვირფასესო ზელდა

## ფრენსის სკოტ ფიცჯერალდისა და ზელდა სეირის პირადი მიმოწერა

*ინგლისურიდან თარგმნა და შესავალი დაურთო გიორგი მაჭარაშვილმა*



*"მგრგვინავი" ოციანი წლები, "ჯაზის ეპოქა"... ეს სიტყვები დიდწილად თავაშვებულობასთან, ზღვარგადასულ გართობასთან და დიდებულ თავგადასავლებთან ასოცირდება ხოლმე, თუმცა ყოველი ასეთი ამბის უკან ხშირად დიდი ადამიანური ტრაგედია იმალება. ფრენსის სკოტ ფიცჯერალდისა და მისი მეუღლის, ზელდა სეირის ისტორიაც სწორედ ასეთია. დიდებული სახელის მქონე მწერალი და ლამაზი, ექსტრავაგანტული გოგონა, რომელსაც დალევა უზომოდ უყვარდა. ამგვარად ახასიათებდნენ ჟურნალ-გაზეთები ფიცჯერალდების ოჯახს. მათ შესახებ არაერთი სტატია დაწერილა. ჟურნალისტები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი სკანდალური ამბავი მოეგროვებინათ წყვილის შესახებ, ამიტომ თუკი მკვლევარი დაინტერესდება მათი ისტორიით, ზღვა მასალა ექნება დასამუშავებლად. სკოტმა თავისი მომავალი მეუღლე პირველად 1918 წლის ივლისში ნახა, როცა მონტგომერიში, სეირების სახლში ესწრებოდა წვეულებას. იმ პერიოდში ზელდა მართლაც ძალიან პოპულარული გოგონა იყო, სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა და მთხოვნელიც ბევრი ჰყავდა. როგორც ამბობენ, სკოტს ის პირველი დანახვისთანავე მოეწონა და გადაწყვიტა ცხოვრების მასთან დაკავშირება. ამაზე მეტყველებს მისი ჩანაწერიც დღიურში: "ამ წლებს (იგულისხმება 1918-1919 წლები, მთარგმ.) დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის. აუცილებელია, რომ ბევრი ვიშრომო და ამასთან განუწყვეტლივ ვიფიქრო ზელდაზე...".*

*მართალია, სკოტი პრინსტონში სწავლით დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ მას დიდი ოცნებები ჰქონდა. ერთხელ თავის მეგობარს, ედმუნდ უილსონს გაუმხილა, რომ მას ორი რამ სურდა: გამხდარიყო ყველაზე დიდი მწერალი და ჰყოლოდა საოცნებო ქალი გვერდით. როგორც მისი ბიოგრაფები თანხმდებიან, იყო პერიოდი, როცა სკოტმა ორივეს მიაღწია. ჯერ იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი რომანი "სამოთხის ამ მხარეს" დაწერა, შემდეგ კი რამდენიმე დღეში ზელდა მოიყვანა ცოლად. თუმცა ამ წყვილს ყოველთვის როდი უმართლებდა. მათი ერთობლივი ცხოვრება საკმაოდ მძიმედ აეწყო, ვინაიდან ორივეს საერთო ინტერესების გარდა, უამრავი განსხვავებული მისწრაფება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გააჩნდა. ზელდა მუდამ სვამდა, განუწყვეტლივ ეჭვიანობდა და არც ღალატს ერიდებოდა. სკოტი კი, რომელიც გამუდმებით საქმეზე იყო კონცენტრირებული, რათა ცოლის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა, ნელ-ნელა გადაიწვა (სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ქალებთან ურთიერთობას არც ის ერიდებოდა). წარმატებას მალე მოჰყვა წარუმატებლობები, ვერ გაამართლა მისმა მეორე რომანმა "დიდმა გეტსბიმ", რომელსაც ავტორი ერთგვარ შემობრუნების წერტილად განიხილავდა. მიუხედავად იმისა, რომ მას საკმაოდ კარგ შეფასებას აძლევდნენ კრიტიკოსები, მკითხველმა ეს ნაწარმოები არ მიიღო. ყოველწლიური ხარჯები მატულობდა, გამოსავალი კი არსად ჩანდა. ყველაფერ ამას ზელდას ჯანმრთელობის პრობლემები დაერთო. სკოტს მისი სანატორიუმში მოთავსება მოუწია. ერთხელ ჰემინგუეიმ უთხრა ფიცჯერალდს, ზელდა შენ ხელს გიშლის და თუ დროულად არ მოიშორებ, შეიძლება დაგღუპოს კიდეცო. მართალია, სკოტი ამაზე გაღიზიანდა და ერნესტთან უსიამოვნება მოუვიდა, თუმცა მისი რამდენიმე ბიოგრაფი შენიშნავს, რომ ამ სიტყვებში ერია სიმართლის მარცვალი.*

*ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას - სკოტმა და ზელდამ ძალიან საინტერესო ცხოვრება განვლეს. მათ ერთობლივად გამოცადეს, თუ როგორ შეიძლება მოექცე ჯერ მწვერვალზე, მერე კი ერთიანად დაენარცხო და ველარ მოახერხო წამოდგომა. სწორედ ამიტომ არის, რომ მათი პირადი მიმოწერაც სამ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ცოლ-ქმრობამდე არსებულ პერიოდს ასახავს და შესაბამისად ის უფრო მგზნებარე განცდებითაა აღსავსე, მაშინ როცა ცოლ-ქმრობის პერიოდს სკოტი სრულიად სხვაგვარად აღწერს. აქ თითქოს გამქრალია ყოველგვარი აღმაფრენა და ყველა პრობლემა გაშიშვლებულია. მესამე ნაწილი უკვე ბოლო წლებს მოიცავს, როცა ზელდა უმეტესად სანატორიუმიდან სწერს სკოტს. ისინი თითქოს ერთობლივად მიუყვებიან განვლილ ცხოვრებას, განიხილავენ მის ყოველ ასპექტს და ცდილობენ, დაინახონ ის პრობლემები, რომლებიც მათ წინაშე იდგა და გადალახვა ვერ მოახერხეს. ფაქტი ერთია, ამ ურთიერთობამ ორივე გაანადგურა. სკოტი 1934 წელს, ერთ-ერთ წერილში სწერდა ზელდას: "ჩვენი ურთიერთობის პირველი წლები და მთელი ის დიდებული ამბები, რაც თავს გადაგვხდა... ყოველთვის იარსებებს ჩემში."*

*ქვემოთ არსებული პირადი მიმოწერა სწორედ ამაში გვარწმუნებს, რომ ის ისტორია არსად გამქრალა, პირიქით, მან უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე ამ ორ ადამიანს თავიანთ სიცოცხლეში წარმოედგინა.*

*აღნიშნული წერილების თარგმანი შესრულებულია წიგნიდან Dear Scott, Dearest Zelda, რომელიც 2003 წელს გამოიცა და დღემდე ამ ავტორთა პირადი მიმოწერის ყველაზე სრულყოფილ ანთოლოგიად მიიჩნევა.*

## პირველი ნაწილი - ქორწინებამდელი პერიოდი

22 თებერვალი, 1919 წელი
ნიუ-იორკი
**მის ზელდა სეირს**
**მონტგომერი, ალაბამა**

ძვირფასო,

ჩემი გული სავსეა დიდი ენთუზიაზმითა და შეწართებით, რომელიც მე თავდაჯერებას მმატებს და მარწმუნებს, რომ ყველაფერი დიდებულის შეცნობა შემიძლია. ეს სამყარო ერთ დიდ თამაშს ჰგავს და სანამ შენი სიყვარული თან მდევს, მჯერა, რომ ბევრი რაღაცის მიღწევა ძალმიძს. ახლა წარმატებითა და ამბიციური ამბებით სავსე მიწაზე ვიმყოფები და ჩემს ერთადერთ ფიქრსა და იმედს შენ წარმოადგენ. მსურს, რომ რაც შეიძლება მალე კვლავ გიხილო.

**მარტი, 1919 წელი**
**მონტგომერი, ალაბამა**

საყვარელო,

გთხოვ, გევედრები, არ დადარდიანდე. დამიჯერე, ჩვენი ღამეული მარტოსულობა ძალიან მალე სამუდამოდ დასრულდება, როდესაც ვიქორწინებთ. სანამ ერთად ვართ, იცოდე, რომ მე ვაღმერთებ დღისა და ღამის ყოველ წუთს. ჩემთვის თითოეული მათგანი უძვირფასესია. შეიძლება კარგად ვერც გამიგო, მაგრამ ხანდახან, როცა ყველაზე მეტად მოგისაკლისებ ხოლმე, ნერა ძალიან მიჭირს. შენ ყოველთვის ხვდები ჩემს განწყობას, როდის ვგრძნობ თავს მშვიდად და როდის მომიცავს ენით აღუწერელი ტკივილი, რომელსაც ხშირად ვერც კი გამოვთქვამ. ერთად რომ ვიყოთ, უცილობლად მიხვდებოდი თუ რაოდენ სულისშემძვრელია ჩემი განცდები. იცი? მელანქოლია ძალიან გიხდება. მიყვარს შენი ფაქიზი მიმართება სევდისადმი. სწორედ ამიტომ არ ენანობ ხოლმე ჩვენს არც ერთ უთანხმოებას. როცა რაიმე გწყინს ჩემგან, ჩემო ძვირფასო, ამ მწუხარებას, მცირე აღელვებასაც კი იმდენად ნაზად გამოხატავ, რომ ყოველთვის მინდება შენი კოცნა და შემდგომ ყველაფერი დავიწყებას ეძლევა.

სკოტ, დამერწმუნე, ამ სამყაროში შენი სიახლოვისა და სიყვარულის გარდა სხვა არაფერი მსურს. ყველაფერი მატერიალური ჩემთვის ყოველგვარ აზრს კარგავს. კარგად იცი, რაოდენ აუტანელია ჩემთვის ეს გულის ამრევი, უფერული სიცოცხლე, მაშინ, როცა შენ დღითიდღე კიდევ უფრო ნაკლებად გიყვარვარ და მე არაფერი, მართლაც რომ, არაფერი ძალმიძს, რათა შენი გული ისევ დავისაკუთრო და კვლავ ჩემად ვაქციო. ასე ცხოვრება ნამდვილად არ მსურს. ჩემთვის მთავარია, რომ გიყვარდე და დაე, შემთხვევითობამ განსაზღვროს ჩემი სიცოცხლე, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. განა ვერ გრძნობ, რომ მთელი გულით გელოდები? მე შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავხდები, ჩემო საყვარელო, როცა ამის დრო მოვა.

არასდროს, არასდროს იფიქრო იმაზე, რომ რაიმეს გაკეთებას ვერ შეძლებ ჩემთვის. შენ მთელი არსებით მომენდე და ეს განცდა იმდენად ძლიერია, რომ დარწმუნებული ვარ ის ჩემამდე არავის განუცდია ამ სამყაროში...

დაფიქრდი, თუ შეგიძლია ცხოვრების ჩემ გარეშე წარმოდგენა? თუკი შენ მოკვდები, ო, ძვირფასო სკოტ, ეს მე დამაბრმავებს. ვიცი, რომ შენი სიკვდილი მეც მომკლავს, ვინაიდან ჩემს ცხოვრებას არანაირი აზრი არ ექნება, მხოლოდ რაღაც ლამაზ დეკორაციად გადავიქცევი. არ ფიქრობ, რომ მე სწორედ შენთვის ვარ შექმნილი? ხანდახან ვგრძნობ კიდეც, რომ შენ თითქოს შეუკვეთე ჩემი თავი და მე ჩამოვედი, რათა შენი ნაწილი გავმხდარიყავი. ძალიან მინდა, რომ ჩემით შეიმოსო და მუდამ თან დამატარებდე სამკაულის ანდაც ბუტონიერის მსგავსად. მაშინ, როდესაც მარტონი ვიქნებით, მე შენ დაგეხმარები, რათა აღმოაჩინო და გამოუტყდე შენს თავს, რომ ჩემ გარეშე არაფერი შეგიძლია.

მიხარია, რომ წერილი დედაჩემსაც მისწერე. შენი მონაწერი იმდენად გულწრფელი იყო, მეგონა, პავლე მოციქულის ტექსტს ვკითხულობდი, ძნელად მოსახელთებელსა და ამაღელვებელს. მთელი განვლილი ცხოვრების განმავლობაში არასდროს გამომდიოდა ჩემზე უფროსი ადამიანებისთვის რაიმეს თქმა. თითქოს ქვეცნობიერად ვცდილობდი თავიდან ამერიდებინა პირადი ცხოვრების დეტალების მათთვის გამხელა (ჩემი ოჯახის წევრებისთვისაც კი). ბავშვები ამ მხრივ ბევრად კარგი არსებები არიან.

ლივიმ[1], მე და მისმა ნიუ-იორკელმა მეგობარმა გადავწყვიტეთ მოდის ჩვენებაზე გამოვსულიყავით. რატომღაც მეგონა ეს ყველაფერი იოლი იქნებოდა, მაგრამ თურმე მწარედ ვცდებოდი. ეს საქმე ორ საათში რკინასავით გამძლე ქალსაც კი მოქანცავს, რომ არაფერი ვთქვა ჩემზე... ოცი წუთის შემდეგ თავს ათ-ცენტიანად ვგრძნობდი, რომელსაც 50 დოლარიანების შეკვრასთან ერთად მოათავსებენ. იცი? ეილაც ბებერ ყეყეჩებს იმის თავხედობაც კი ეყოთ, რომ ჩემი საყვარელი კაბა შეეძინათ. ნეტავ, ხვალ რა უნდა ვქნა?

ისე, ერთიც უნდა ითქვას, რომ ამ სამუშაომ რაღაც ნუგეშისმომცემიც აღმომაჩენინა. მივხვდი, რომ საშუალოზე დაბალი ვარ, მაგრამ ეს სრულებითაც არ მიფუჭებს ხასიათს. პირიქით, თავს მშვენივრად ვგრძნობ.

წერილთან ერთად ჩემს ფოტოსაც გიგზავნი. ეს არც ისე სახასიათო პოზაა, მაგრამ თუკი კარგად დააკვირდები, იქნებ მსგავსებაც დაინახო ჩემსა და ღვთაებრივ მადონას შორის...

უკვე ხუთშაბათია და შენი გამოგზავნილი ბეჭედი ჯერ კიდევ არ მიმიღია. ერთი სული მაქვს, როდის მოვირგებ თითზე, რათა ყველამ კარგად დაინახოს...

მთელი გულით მიყვარხარ,
ზელდა

**თებერვალი[2], 1920 წელი**
**მონტგომერი, ალაბამა**

ჩემო ძვირფასო,

ჩვენი ზღაპარი ნელ-ნელა დასასრულს მიუახლოვდა. უკვე სადაცაა ვიქორწინებთ და შევძლებთ ვიცხოვროთ ბედნიერად. — 

ჩვენი ზღაპარი ნელ-ნელა დასასრულს მიუახლოვდა. უკვე სადაცაა ვიქორწინებთ და შევძლება ბედნიერად ცხოვრება. ახლა თავი ციხე-კოშკში დიდი ხნით გამოკეტილი პრინცესა მგონია, რომელიც დარდობდა შენზე, სკოტ, და თავს მუდმივად იტანჯავდა მოვლენათა უსიამოვნო მსვლელობის გამო. ძალიან ვწუხვარ, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში სიტყვაძუნწი და ხანდახან საზიზღარი არსებაც კი ვიყავი. ბოდიშს გიხდი ყოველი სევდანარევი ნუთისათვის, რომლებიც წესით ბედნიერებით ალსავსე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან შენ გაცილებით მეტს იმსახურებ...

ვფიქრობ, რომ ჩვენი ცხოვრება განვლილი ოთხი დღის მსგავსი იქნება. მე მინდა გავხდე შენი ცოლი, მიუხედავად შენი ფიქრისა, რომ თითქოს ყველაფერ ამის მეშინია... ო, ნეტავ არ გეთქვა ეს სიტყვები. სიმართლე ხომ სრულებით სხვაა. მე არაფრის მეშინია, ვინაიდან რაღაცამ რომ შეგაშინოს, მაშინ აუცილებელია, რომ ადამიანი ან მხდალი იყო, ან განუზომლად დიდი (სახელოვანიც მათ შორის). კარგად იცი, რომ არც ერთი ეს თვისება არ გამაჩნია. ჩემთვის ისიც ნათელია, რომ შენ ბევრად უკეთ იზრუნებ ჩემზე, ვიდრე მე მოვახერხებ ამას ოდესმე.

მჯერა, რომ შენთან ერთად ყოველთვის განუზომლად ბედნიერი ვიქნები, გარდა იმ დღეებისა, როცა ერთმანეთს წავეკიდებით კამათისას... თუმცა მერწმუნე, მე მაშინაც დიდ სიამოვნებას განვიცდი. მიყვარს საკუთარი სიმშვიდე და მბრძანებლური ტონი, რომელიც შენ თავს გაკარგვინებს და გაბრაზებს. სრულებით არ მადარდებს, თუ რას ფიქრობ ჩემს ამ ქმედებაზე, მე კვლავაც გავაგრძელებ ასე მოქცევას.

ჩემს საწოლთან დახვავებულ ათას ნივთს შორის სამი სურათი ვიპოვე. მათ აქ აღმოჩენას ღრმად პატივცემულ დედაჩემს უნდა ვუმადლოდე. ამ ფოტოებზე ძალიან მომწონს ჩემი გაჩხინკული ფეხები. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ აზრს შენც გაიზიარებ. ამჟამად თავს უგუნებოდ ვგრძნობ, თითქოს შინაგანად დანგრეული ვარ.

ძვირფასო, ძალიან, ძალიან მაკლიხარ ახლა. მიყვარხარ და მინდა იცოდე, რომ შემდეგში, როცა შენთან ერთად ვიქნები, უშენობას ველარასდროს

---

1 ლივი ჰარტი, ზელდას მეგობარი. ჰარტების ოჯახი სეირებთან ერთად მონტგომერის საქალაქო ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული. მათი ინიციატივით ქალაქში ეწყობოდა სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები, წვეულებები და ა.შ.

2 ეს წერილი ერთგვარად გაუგებრობას იწვევს სკოტ ფიცჯერალდის ბიოგრაფებში. მაგალითად, ნენსი მილფორდი მას 1920 წლის მარტით ათარიღებს და მიიჩნევს, რომ ის ზელდას ბოლო წერილი უნდა იყოს (სკოტთან გაგზავნილი) გათხოვებამდე. მეთიუ ბრუკოლი ფიქრობს, რომ 1920 წლის თებერვლის პირველ კვირეებშია ეს ყველაფერი დაწერილი. წერილში არსებული მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ფიცჯერალდი ჯერ კიდევ ეშზადება მონტგომერიში გამოსამგზავრებლად, შესაბამისად, თარილად 1920 წლის თებერვალია დატოვებული.

ავიტან. მე შენ გარეშე არაფერს წარმოვადგენ, თოჯინას ვგავარ, რომლადაც უნდა დავბადებულიყავი კიდეც, ალბათ. შენ ხარ ჩემთვის სიცოცხლის წყარო, ცხოვრების აზრი, სიმდიდრე და, რაც მთავარია, უძვირფასესი საყვარელი. იცოდე, მალე შენი ცოლის ღირსეული მეუღლეც უნდა გახდე.

**30 მარტი, 1920 წელი**
**ნიუ-იორკი**
**მის ზელდა სეირს**
**მონტგომერი, ალაბამა**

უკვე ვესაუბრე ჯონ პალმერსა და როზალინდას[3]. საბოლოოდ გადაწყდა, რომ შაბათს - შუადღისას დავქორწინდებით. ახლა ძალიან ვღელავ და დარწმუნებული ვარ ეს განცდა თავს არ დამანებებს, სანამ ყველაფერი არ დასრულდება. არ მგონია, რომ შვება ორშაბათამდე ვიგრძნო. ჩემი წიგნის პირველი გამოცემა სრულად გაიყიდა.

ყოველი შემთხვევისთვის გწერ მისამართსაც. ხუთშაბათამდე ჩემს სახლში ვიქნები, მერე კი სკრიბნერებთან.

სიყვარულით,
სკოტი

## მეორე ნაწილი - ცოლქმრობა (1920-1929)

**ზელდას**
**1930 წლის ზაფხული[4]**
**პარიზი ან ლოზანა**
**მონტგომერი, ალაბამა**

*დაწერილია ზელდას კლინიკაში ყოფნის პერიოდში*

ყველაფერს სამხრეთიდან დაბრუნების შემდეგ მივხვდი. კაპრის დატოვებისთანავე თავი ბედნიერად ვიგრძენი, მაგრამ შენ თავს შეუძლოდ გრძნობდი, რის გამოც სახლში მხიარულებამ ვერ დაისადგურა.

დიდხანს ვიყავი დადარდიანებული, თუმცა ამისთვის საკმარისი მიზეზიც მქონდა. წელიწად-ნახევრის წინ სრული კრახი განიცადა ჩემმა პიესამ, რომელზე მუშაობასაც მთელი წელი შევალიე. ამავე პერიოდშივე დავწერე 12-მდე მოთხრობა, ერთი რომანი და ოთხი სტატია, თუმცა ჩემდამი ნდობა ყველას დაკარგული ჰქონდა. ერთადერთი, ვისაც ჩემი იმედი კვლავაც გააჩნდა, შენ იყავი, მაგრამ ისე მოხდა, რომ მერე გული აგიცრუვდა, მილალატე და სამყაროში სრულიად მარტო დავრჩი. გვერდით აღარავინ მყავდა ისეთი, ვინც მთელი გულით მიყვარდა. სამწუხაროდ, დარდი რომშიც გაგვყვა თან. ნაწარმოებებზე მუშაობას კვლავაც აქტიურად განვაგრძობდი. რომში ყოფნისას კიდევ სამი მოთხრობა დავასრულე, მერე კი კაპრიში გავემგზავრეთ, სადაც თავი შეუძლოდ იგრძენი. იმ წუთას მეგონა, რომ საითაც არ უნდა გამეხედა, ყველგან უბედურება მელოდა და სამყაროში ბედნიერების ადგილი აღარსად დარჩენილიყო.

კაპრის შემდეგ პარიზში ჩამოვედით და თითქოს უცბად გავაცნობიერე, რომ ყველაფერი არც ისე უიმედოდ ჩანდა, ვიდრე წარმომედგინა. მალე წარმატებულიც გავხდი. ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი რამ იყო, რაც მწერლობამ მომიტანა. პარიზში ყველა მალმერთებდა, რაც სიამაყის განცდას მიჩენდა და მაგრძნობინებდა, რომ ეს ყველაფერი შრომად ღირდა. აქვე შევხვდით ჯერალდსა და სარას, რომლებიც მალევე გახდნენ ჩვენი მეგობრები. პარიზშივე გავიცანით ერნესტიც[5], ჩვენი ასაკის კაცი, რომელიც ჩემსავით გამოუსწორებელი იდეალისტი იყო. მე და ჰემინგუეის არაერთხელ დაგვილევია პარიზის სამხრეთ ნაპირზე არსებულ იაფფასიან კაფეებში. ხშირად ვსვამდი სარასთან და ჯერალდთანაც მათსავე ბაღში, თუმცა შენ კვლავაც უგუნებოდ იყავი. თითქოს დაუსრულებლად გრძელდებოდა შენი უხასიათობა, რის გამოც სახლში მოწყენილობას დაესადგურებინა.

პარიზიდან მალევე წავედით ანტიბში, რამაც კვლავ მომგვარა სიხარული, თუმცა შენი მდგომარეობა დღითიდღე მძიმდებოდა. მთელი შემოდგომა, ზამთარი და შემდგომ გაზაფხულიც შენს სამკურნალო კურსს დასჭირდა. მთელი ამ დროის განმავლობაში თავს მარტოსულად ვგრძნობდი და სწორედ ამიტომ მივეძალე სასმელს. ბევრს ვსვამდი, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ ვაცნობიერებდი შენს ავადმყოფობას და იმას, რომ უნდა დამეტოვებინე, ყოველგვარი მზრუნველობის გარეშე. მე თავს ბედნიერად მხოლოდ მცირე ხნით ვგრძნობდი, მანამ სანამ ალკოჰოლი მოიცავდა ჩემს გონებას. რასაკვირველია, შემდეგ ამას უამრავი ჯარიმაც მოჰყვებოდა თან, რომელიც მთვრალი ადამიანებისთვის არასდროს ენანებათ.

ხუან ლე პინში ჩასვლამ აშკარად კარგად იმოქმედა შენზე, ცოტათი მომჯობინებაც დაგეტყო. ამას ისიც დაემატა, რომ დიდი ფულის გამომუშავება შევძელი, რამაც რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დამაშვებინა, რომლებიც ხშირად მოსდით ხოლმე ადამიანებს, როცა წარმოიდგენენ, რომ მსოფლიო მათ გარშემო ტრიალებს. ჩემ ირგვლივ ყველას ვუყვარდი, ხალხი მალმერთებდა, მაგრამ მე მხოლოდ რამდენიმე ადამიანის მიმართ გამოვხატავდი საპასუხოდ ამავე განცდას. ასეთები იყვნენ ერნესტი,

---

3 ჯონ პალმერი კლოტილდე სეირის (ზელდას და) ქმარი გახლდათ, ხოლო როზალინდა ზელდას და. სწორედ ისინი ეხმარებოდნენ სკოტს ბოლო წამს დაგეგმილი საქორწინო ღონისძიების ორგანიზებაში. ზელდას მეორე და მარჯორი ნიუ-იორკში პატარძალთან ერთად ჩავიდა. სკოტი იმდენად აღელვებული იყო ამ დღეს, რომ ზოგიერთი მოგონების თანახმად, მან ჯონ პალმერისა და კლოტილდეს მისვლამდე დაიწყო საქორწინო ცერემონია. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებას არ ესწრებოდნენ არც ზელდას და არც ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის მშობლები.

4 ეს წერილი, როგორც ბიოგრაფები ვარაუდობენ, სკოტს არასდროს გაუგზავნია ზელდასთვის. ის ერთგვარ მონახაზს წარმოადგენს, რომელიც ავტორს აღარ დაუსრულებია სხვადასხვა მიზეზის გამო (ან დასრულებული სახით არ შემოგვრჩა).

5 იგულისხმება ერნესტ ჰემინგუეი.

ჩარლი მაკარტური[6], ჯერალდი და სარა. ისინი ხომ ჩემი ასაკის ადამიანები იყვნენ, შესაბამისად, ბევრი რამ გვაერთიანებდა. დრო მიფრინავდა და ჩვენი გართობაც ნელ-ნელა წარსულში რჩებოდა. საბოლოოდ ამ ამბებისგან აღარაფერი შემომრჩა. მაშინ ვფიქრობდი, რომ რაღაცები იოლად მომეცა ცხოვრებაში და თითქმის სრულებით გადამავიწყდა, თუ რა საცოდავ დროს დავბადე ჩემი სხეულის სიღრმიდან "დიდი გეტსბი". წლების მერე, როცა ჰოლივუდში გამოვიღვიძე, ვიგრძენი, რომ სრულებით აღარ მახასიათებდა ეგოცენტრულობა, პირიქით, რაღაცნაირად ვაერთიანებდი ჩარლი მაკარტურის წარსულს, ჯერალდის კარიერასა და ერნესტის ჩაცმის მოხდენილ სტილს. ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო ყველა ის ადამიანი, ვისაც იმ დროს ჩემი ჯერ კიდევ სჯეროდა. ასეთად მაშინ ლუის მორანი მომევლინა[7].

მახსოვს, პოლოს მოთამაშეებთან შეკრებები, მისის ჩენლერის[8] საღამოები, ანდაც წვეულებები სესილიასთან[9]. თითოეული მათგანი შინაგანი გამოფიტვისგან მიცავდა, ჩემს სხეულს საჭირო ენერგიით ავსებდა, მაგრამ, ამასთან, მარწმუნებდა, რომ პატარა კაცი არ ვიყავი ამ სამყაროსთვის. ყოველი ასეთი შეხვედრის მერე თავს დიდებულ მოაზროვნედ ვგრძნობდი, მაგრამ იქვე ვიაზრებდი, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო. სწორედ ამ იდეის უარყოფამ, რომელიც ჩემს "სიდიადეს" უკავშირდებოდა, მიგვიყვანა ჩვენ საბოლოოდ ვოჟირარის ქუჩამდე.

ეს იყო პერიოდი, როცა თავი სრულად დაკარგე, ისევე როგორც მე ოთხი წლის წინ სენ-რაფაელში. მარადიულად წუწუნებდი ცუდი საცხოვრებელი პირობების გამო ("თუკი გსურს უკეთესი ბინის დაქირავება, მაშინ მეტი იშრომე, რომ დიდი ფული გამოიმუშაო"), მოთმინებას გაკარგვინებდნენ უვარგისი მოსამსახურეები, რომელთა მიმართაც ყოველთვის გულგრილი იყავი ("თუკი ასე არ მოგწონს ჩვენი მოახლე, მაშინ რატომ არ გაუშვებ მას სკოტისთან[10], რათა გოგონა დროულად გამოიყვანოს სკოლიდან?"). მახსოვს როგორ გძულდა ვიდორი[11] და რაოდენ გულცივი იყავი ჯოისისადმი (ამ შემთხვევაში შენს დამოკიდებულებას მეც ვიზიარებდი), თუმცა ვერაფრით ვხსნიდი იმ გამუდმებულ სწრაფვას ბალეტისკენ, რომელსაც განიცდიდი. აშკარა იყო, რომ ამ იდეამ მთელი შენი არსება მოიცვა და მთლიანად გშთანთქა. ძალიან მადარდებდა, რომ ამ აკვიატებას სრულებით არ მიყავდი ბედნიერებისაკენ. სახლში მოჩვენებასავით დაიარებოდი, რეცხავდი ტანისამოსს, ფრანგულად განიხილავდი უინტერესო ამბებს ლუსიენთან ანდაც დელპლანქთან[12] ერთად და სრულებით არ გახსოვდა ჩემი არსებობა. მე მარტოსულად დავხეტიალობდი ვერსალსა თუ რეიმსში და თან დავატარებდი სახლიდან გამოყოლილ უსაშველო დაღლილობას. მახსოვს ისიც კი ვიფიქრე: საერთოდ რისთვის ვმუშაობ, რა მიზანი აქვს ჩემს შრომას? მხოლოდ ის, რომ გადასახადები ვიხადო ამ უკაცურ სამყაროში? და ამ მომენტმა შემცვალა. მარტოსულობაში გატარებულმა არაერთმა დღემ უიმედობამდე მიმიყვანა. ამ მდგომარეობაში მყოფი ხშირად გავურბოდი მადმუაზელ დეპლანქთან საუბარს, ვცდილობდი "რიცში" წასვლაზეც უარი მეთქვა, სადაც, მართალია, ნახევარ საათში ვიბრუნებდი საკუთარი თავისადმი პატივისცემას, მაგრამ ისეთ ადამიანებთან ერთად ვსვამდი, რომლებიც იქამდე თვალით არასდროს მენახა. ისინი სრულიად უცხონი იყვნენ ჩემთვის. ხანდახან საღამოობით ერთად ვსეირნობდით ეტლით ქუჩებში, რომლის შემდეგაც მე კვლავ კაფე დე ლილასკენ მივეშურებოდი, სადაც ვიჯექი მარტო და ვიგონებდი იმ დროს, როდესაც ბედნიერი ვიყავი ერნესტთან, ჰედლისთან[13] და დოროთი პარკერთან ერთად. ეს ყველაფერი სულ რაღაც ორი წლის წინ ხდებოდა. დრო გადიოდა. რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ვადანაშაულებდი საკუთარ თავს წარსულში მომხდარ ამბებში. მესმის, რომ გაუთავებლად ვწუწუნებდი სახლში არსებულ გაუსაძლის ვითარებაზე, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯონ პილ ბიშოპი არ ვიყავი და ამ სახლის გადასახადს ჩემი ყოველდღიური შრომით ვიხდიდი იმ საქმით, რომელიც მძულდა და დღითიდღე კიდევ უფრო რთულად მეჩვენებოდა. ამ დროს ახალ რომანზე ფიქრი ოცნებას ჰგავდა, რომელიც ნელ-ნელა მშორდებოდა და კიდევ უფრო მიუწვდომელი ხდებოდა.

ღირსეული ადამიანისთვის შეიძლება სევდა არც ისე მძიმე გადასატანი იყოს, მაგრამ თუკი ყველაფერ ამას ფინანსური წნეხიც ემატება, მაშინ ეს საკმაოდ დიდ პრობლემას ქმნის. პარიზის დატოვების შემდეგ (ეს უნდა ყოფილიყო სექტემბრის შუა რიცხვები) ნიცაში ჩასვლამდე (მარტი) ჩვენს ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯები წელიწადში საშუალოდ 40 000-ს უტოლდებოდა.

სიმართლე ითქვას, მიუხედავად პრობლემებისა, თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობდი. გაზაფხული

---

6 ჩარლზ მაკარტური ცნობილი დრამატურგი და სცენარისტი გახლდათ. ის და სკოტი ერთმანეთს საფრანგეთში შეხვდნენ. 1926 წელს რივიერაზე მათ ერთად გაატარეს ზაფხული.

7 ამერიკელი მსახიობი, რომელსაც სკოტთან მცირე ხნით სასიყვარულო ურთიერთობაც ჰქონდა. ის ფიცჯერალდის მუზად იქცა. ავტორმა როზმარი ჰოიტის ("ნაზია ღამის" პერსონაჟი) გმირი ლუის ლეინის ამბავზე დაფუძნებით შექმნა.

8 უინთროპ ჩენლერი - მდიდარი ქალბატონი, რომელსაც სკოტი ახალგაზრდობიდანვე იცნობდა და მის მრავალ წვეულებაზეც იყო ნამყოფი.

9 სკოტი ფიცჯერალდის ბიძაშვილი

10 ზელდასა და სკოტის შვილი.

11 ამერიკელი რეჟისორი, რომელიც სკოტს პარიზში გადაეყარა 1928 წელს. პარიზშივე დაგეგმეს მათ, რომ ახალ ფილმზე ერთობლივად იმუშავებდნენ.

12 პატარა სკოტის აღმზრდელი.

13 ჰედლი რიჩარდსონი, ჰემინგუეის პირველი ცოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამდგარიყო, ერნესტთან შეხვედრაც უკვე დაგეგმილი მქონდა, რომელთანაც ცოტა ხნის წინ უსიამოვნება შემემთხვა. ამასთან ჩამოსვლას აპირებდნენ ჯერალდი და სარა. მათ ჩემი აგენტის წყალობით დავუკავშირდი და ახალ ფილმთან დაკავშირებული პროექტის ერთობლივი განხილვაც ჩავნიშნეთ[14]. ისე ჩანდა, რომ თითქოს ჩემს ცხოვრებაში ნელ-ნელა ერთფეროვნება უნდა დამთავრებულიყო. აქტიურად მოდიოდა ხმები, რომ იგეგმებოდა წვეულებები და სალონური საუბრები, თანაც ისეთ ადამიანებთან, რომლებთანაც სიამოვნებით გავცვლიდი მოსაზრებებს სხვადასხვა თემაზე. შემდგომ ეს ყველაფერი გადაინაცვლებდა ზღვის სიახლოვეს. ჩვენ გავცურავდით, მზეს მივეფიცხებოდით და კვლავაც შევიგრძნობდით ახალგაზრდობას.

ხედავ, გონებაში ყველაფერი რა კარგად ჩანდა? რეალურად კი სრულიად სხვა რამ მოხდა. ჯერალდი და სარა აღარ გვესტუმრნენ. მე და ერნესტი ერთმანეთს შევხვდით, მაგრამ ჩვენი საუბარი არც ისე სასიამოვნოდ წარიმართა. მას თითქოს ავი წინათგრძნობა ჰქონდა ჩემთან მიმართებით. თავისი იმჟამინდელი ადგილსამყოფელიც დიდი ფიქრის შემდეგ გამიმხილა. საბოლოოდ, ალბათ, მართალიც აღმოჩნდა, ვინაიდან მის სახლში სტუმრობამ უსიამოვნება გამოიწვია. ჩემმა ქცევამ ერნესტს კინაღამ ბინის კონტრაქტი დააკარგვინა. აშკარა იყო, რომ იმ მომენტში თავს ვერ ვაკონტროლებდი. ოთახში არაერთი ნაცნობი ადამიანი იჯდა, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე გაუგებრობის არიდება. თითქოს იმ წუთას საკუთარი თავის პოვნა გამიჭირდა.

ამ ამბებიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ჩვენ გადავწყვიტეთ ულამაზესი რივიერას მონახულება. სამწუხაროდ, ამან დიდად ვერ მიშველა, ვინაიდან თავს კვლავაც არასრულფასოვან ადამიანად მივიჩნევდი და არავის თვალით დანახვა არ მინდოდა. მთელი დღეები დაძაბული დავიარებოდი, ბევრს ვმუშაობდი და არც მოწევას ვერიდებოდი. სწორედ ამ ყველაფრის დამსახურება იყო, რომ ფილტვები საშინლად მეწვოდა.

იმ ზაფხულს შენ თითქოს გაუჩინარდი, გადაიკარგე. საერთოდ აღარც კი მახსოვს, იყავი კი ჩემ სიახლოვეს? ერთადერთი, რასაც ვხვდებოდი, ის იყო, რომ გძულდი ან შეიძლება ამისთვის გულგრილობაც დაგვერქმია. სიმართლე გითხრა, შენზე ფიქრი არც მე მანიჭებდა სიამოვნებას. ვგრძნობდი, რომ აღარ გჭირდებოდი. ალბათ, ესეც გახდა იმის მიზეზი, თუ რატომ გამიმარტივდა საუბარი მადამ ბელუასთან, როცა ღვინის ჭიქებით სავსე მაგიდას მივუსხედით ერთმანეთის პირისპირ. იმ ზაფხულს, იყო მომენტი, როცა მადლიერების განცდით ავივსე. ერთ საღამოს ჩემთან ექიმებთან ერთად დაბრუნდი, რამაც გამახარა, თუმცა პარიზში გატარებულმა შემდგომმა კვირამ მიმახვედრა, რომ აღარაფერი მინდოდა, არც სიკვდილს ვცდილობდი და არც სიცოცხლეს. ჩვენ ამბავში არაფერი შეცვლილა. დაქირავებული სახლები ყარდა, მოახლეები არაფრად ვარგოდნენ, შენს ბალეტის ამბავსაც ცუდი ელფერი დაჰკრავდა. ტრუბეცკოის დაპატიჟება სადილად - აი, რას ჰქონდა მონამლული შენი გონება. სწორედ ეს იყო მიზეზი, თუ რატომაც ჩაიშალა ჩვენი მოგზაურობა აფრიკაში. შენ სულ მთლად დაკარგე ჭკუა, გაიძახოდი, რომ ის კაცი გენიოსია, ყოვლისშემძლე. მე კი სრულიად საპირისპირო აზრზე ვიყავი და რაც კი რაიმე ცუდი მომივიდოდა თავში ყველაფერს ვლაპარაკობდი.

იცი? ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩვენს გაგებას სხვები ვერაფრით მოახერხებდნენ, ვინაიდან ისინი ხომ ვერ ხედავდნენ, თუ რამდენ იყავი შეპყრობილი განდიდების მანიით და წარმოდგენაც არ ჰქონდათ ჩემს დამოკიდებულებაზე ალკოჰოლისადმი. მათ არც კი იცოდნენ ის გიჟური განცდა, რასაც მე სასმლის მიმართ განვიცდიდი. სიმართლე ითქვას, ჩვენს ამგვარ ახირებებს ურთიერთობაში ბევრი არაფერი შეუცვლია. ეს ყველაფერი სრულიად უმნიშვნელო აღმოჩნდა. მახსოვს, რა ახლოს ვიყავი შენს მიტოვებასთან, როცა განმიცხადე, რომ თურმე ჰომოსექსუალისტი ვიყავი. ახლა რომ ვუფიქრდები, მხოლოდ სიბრალულის განცდა მეუფლება. შენ ყოველთვის ფიქრობდი, რომ დიდებული ინტელექტი და გამჭრიახი მიგნებები გახასიათებდა, მაგრამ გავიწყდებოდა, რომ ამბების გამოცნობა კარგად შემეძლო, თუნდაც ზუსტი მიზეზი არ მცოდნოდა, მაინც იოლად ვხვდებოდი, თუ რა იწვევდა ამ ვარაუდებს, რატომ და საიდან ჩნდებოდა შენს გონებაში ამგვარი აზრები. ძალიან მინდა, რომ "ლამაზი და დაწყევლილი" სრულყოფილი წიგნი გამოვიდეს, ვინაიდან იქ აღწერილი ყველა ისტორია ნამდვილია. ჩვენ მოვახერხეთ ერთმანეთის განადგურება... გულწრფელად გითხრა, მე არასდროს მიფიქრია, რომ ჩვენ ეს ბოლომდე შევძელით.

## ნაწილი მესამე - ბოლო ათწლეული

**ივნისი, 1930 წელი**
**ნიონი, შვეიცარია**

ძვირფასო სკოტ,

ახლახან გავაცნობიერე, რომ ცხოვრების საკმაოდ უჩვეულო ეტაპზე ვარ. ვხვდები, რომ სრულიად უუნარო ვარ, სასოწარკვეთილი, მაგრამ მარცხის უფლება არ მაქვს. ჩემი ბრალია, რომ სკოლაში სამედიცინო მიმართულების საგნების მიმართ ყოველთვის გულგრილი ვიყავი, მაშინ, როცა ეზოთერული სწავლება უკეთ გამომდიოდა და მას დიდი ინტერესით ვეცნობოდი. გთხოვ, იქნებ გულთბილი წერილი გაუგზავნო მადამ ეგოროვას და ჰკითხო, თუ დადგება ჩემგან ოდესმე მოცეკვავე? დაიხსომე, რაც არ უნდა გითხრას, ამაში ბრალი მას სრულებით არ მიუძღვის.

იცი, სკოტ, როგორ მინდოდა ამ შემოდგომას ნიუ-იორკში ცეკვა? თუმცა, აბა, ახლა როგორ უნდა მოვახერხო ეს, როცა მთელი ამ თვეების გატარება კლინიკის ჭარხლებით სავსე ბაღში მიწევს? განა ეს ყველაფერი ამად ღირს? მას შემდეგ, რაც მთელი ეს საშინელება დამატყდა თავს, ნელ-ნელა ტკივილმა მოიცვა ჩემი სხეული და ახლა, სიმართლე გითხრა, სრულებით არ მსურს, რომ გვამების დიდ ერთობლი-

14 სკოტმა კინგ ვიდორს გააცნო ჯერალდ მერფი. მათ ერთობლივად გადაიღეს ფილმი "Hallelujah"(1929).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობას შევუერთდე მინაში. მართალია, ფეხებში სისუსტეს ვგრძნობ, მაგრამ მერწმუნე, სკოტ, სულ მალე ადა მაკლიშივით[15] ვიქნები, გარეულ ფრინველზე სანადიროდ გამზადებული ადამიანივით.[16]

აქ ყოფნისას ერთ რამეზე დავფიქრდი. ადამიანი ხშირად ცდილობს, რომ თავისი სათქმელი ლამაზი ფრაზებით შეფუთოს და ისე მიიტანოს ადრესატამდე. თითქოს ამგვარი გზით შეიძლებოდეს ყველაფრის გამოსწორება... ამას ხომ სჯობს პირდაპირ და დაუფარავად გამიმხილო შენი ფიქრები, სკოტ, ვიდრე ის გაურკვეველ მაჯელობაში შეფუთო, რომლის გაგებაც ხშირად შეუძლებელია? ვფიქრობ, რომ სამართლიანი იქნება ერთმანეთს დავეხმაროთ და რაიმენაირად თავი დავაღწიოთ ამ თავზარდამცემ მდგომარეობას, რომელშიც ვიმყოფებით.

ვიცი, რომ ყოველთვის გჯეროდა ისეთი ადამიანების, რომელთაც არ ეშინოდათ ცხოვრების თავიდან დაწყება. შენ მათ ასაკს მნიშვნელობას არასდროს აქცევდი და გწამდა, რომ ადამიანს ძალუძს ცხოვრებაში გარდამტეხი ცვლილების შეტანა. იქნებ, გამოგეჩინა გულისხმიერება და ამ მხრივ მეც დამხმარებოდი, ოღონდ გთხოვ, ბავშვივით არ მომექცე. ეცადე ისე აღმიქვა, როგორც შენი თანასწორი...

წერილის წერას აქ შევწყვეტ, ვინაიდან ვგრძნობ, რომ ახლა დროს გაკარგვინებ. ვიცი, რამდენ ძალისხმევას დებ, რომ ფული გამოიმუშაო, ამიტომ ჯობია გაგემვა. მოდი, ვეცადოთ, ის მცირედი მაინც შევინარჩუნოთ, რაც შემოგვრჩა. თუკი ფიქრობ, რომ ჩემს ალაბამაში დაბრუნებას შეძლებ, ძალზე შემცდარხარ, მაგრამ არც იმას ვაპირებ, რომ მთელი ცხოვრება ასე უბედურმა გავატარო სანატორიუმებში. მე რაღაც უმნიშვნელო ნივთი არ ვარ, რომ ერთი ადგილიდან მეორეში გადამიტანო. თუ სიტუაციას ამგვარად ხედავ, მაშინ კიდევ ერთხელ გეტყვი, რომ მწარედ ცდები. ხომ იცი ნათქვამია, რომ ორ დაჩაჩანაკებულ ცხენს იმაზე მეტი ტვირთის ზიდვა შეუძლია ერთობლივად, ვიდრე რომელიმეს მარტო. თუ გადაწყვეტ, რომ ჩემი ცხოვრების ექვსი თვე ამ სივრცეში უნდა გავატარო, სხვა რა გზაა, დაგეთანხმდები, ფხიზლად დავრჩები და ვეცდები რაღაც კარგი გამოცდილებაც დავაგროვო, თუმცა იცოდე, რომ შეიძლება ხანდახან მოწყენილობამ და უიმედობის განცდამ ამიტანოს... კარგად იცი, რომ თავის ტკივილი არც ერთ წუთს არ მანებებს თავს. არ შეგიძლია, რომ ისეთივე ლამაზი და ნათელი წერილი მომწერო, როგორსაც შენს მეგობრებს უგზავნი ხოლმე? ყოველი დღე კიდევ უფრო მძიმე ასატანია. ჩემი ყოველდღიური ცხოვრება კიდევ უფრო აუტანელი ხდება. სიმართლე გითხრა, არც კი მესმის რა მაჩერებს აქ. ჩემგან ხომ თითქმის არაფერია დარჩენილი. სრულიად მარტო ვარ, განადგურებული და ტკივილით აღსავსე.

ზელდა

P.S. გთხოვ, დროულად მიიწერე წერილი პარიზში. ამას მე თავადაც გავაკეთებდი, მაგრამ მგონია, რომ შენ უფრო მკაფიოდ და უკეთესად ჩამოაყალიბებ აზრს. იცი, რას ნიშნავს ეს საქმე ჩემთვის და ამასთან, კარგად გესმის, თუ რისი გაგება მსურს, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან. რა თქმა უნდა, მე სხვა სასწავლებელს მოვძებნი აქ. მეტად აღარ ვაპირებ ეგოროვას შეწუხებას ჩემი ამბებით. მადლობა[17].

**მარტი, 1940 წელი**
**ეშვილი, ჩრდ.კაროლინა**

უძვირფასესო სკოტ,

აქეთ ყოველი შუადღე უსაშველოდ გრძელი და ცივია. ძლიერი ქარიც უბერავს, რაც ხანდახან ბრონტეებისა და ედგარ ალან პოს ნაწარმოებებს მაგონებს. იცი? აქ[18] დროის უსასრულობა ყველაზე მეტად იგრძნობა.

დედაჩემი ხშირად მწერს და მთხოვს, რომ ერთხელ ვესტუმრო. მპირდება - მთელ ამ მოგზაურობას მე ავანაზღაურებო. წინასწარ არაფერი მითქვამს, თუმცა ხომ იცი, როგორი გულისხმიერი და გულუხვი ქალია... რატომ არ მაძლევ უფლებას, რომ ერთხელ მაინც წავიდე მცირე ხნით სამოგზაუროდ და ვესტუმრო დედას?

გადავწყვიტე პატარა მოთხრობა დავწერო. ეს პროცესი ძალიან მართობს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ წერა ოსტატურად გამომდის. ხომ იცი, დავასრულებ თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნი ნაწერს. ძალიან მინდა, რომ ეს მოთხრობა ჟურნალ American Magazine-ში დაიბეჭდოს. ვატყობ, ზამთარი გრძელი იქნება და სირთულეებით აღსავსე. ამაზე დაკვირვებით ერთ დასკვნამდე მივედი: ჩვენი თაობის დაღლილ, უფერულ ადამიანებს მეტისმეტად ამძიმებთ თავს დატეხილი სიძნელეები. ამინდის ცვალებადობა მე სრულებით არ მანაღვლებს, ვინაიდან ცხვირის გარეთ გაყოფა ისედაც მეშინია. დიდი მოთმინებით ველოდები მომენტს, როცა თავისუფლად შემეძლება აქედან სადმე წასვლა.

ძვირფასო, სანამ ამ აბზაცებს ვწერდი, შენი ტელეგრამა მოვიდა. არ გამოვა, რომ არ გითხრა, თუ რაოდენ გახარებული ვარ შენი სიტყვებით. ვგრძნობ,

---

15 უნდა იგულისხმებოდეს მომღერალი ადა მაკლიში, ცნობილი მწერლის არჩიბალდ მაკლიშის მეუღლე.

16 ამ ფრაზას სკოტ ფიცჯერალდი შემდგომ გამოიყენებს თავის რომანში "ნაზია ღამე".

17 სკოტმა მართლაც მისწერა მადამ ეგოროვას წერილი, მაგრამ პარიზიდან არც ისე სასიამოვნო პასუხი მოვიდა. ზელდას ბალეტის მასწავლებელი ფიქრობდა, რომ ფიცჯერალდის მეუღლე ცუდად არ ცეკვავდა, მაგრამ ვინაიდან მან გვიან დაიწყო ეს საქმე, ამიტომ მხოლოდ უმნიშვნელო როლებს უნდა დასჯერებოდა სხვადასხვა წარმოდგენაში. ზელდა ამ პასუხმა დაამწუხრა, თუმცა სკოტისა და მისი მკურნალი ექიმის ერთობლივი ძალისხმევით, მან ეს ფაზა გადალახა. სკოტმა სანაცვლოდ ზელდას წახალისება განიზრახა და სთხოვა მას ბედი მწერლობაში ეცადა. ის ხშირად სწერდა მაქს პერკინსს თავისი მეუღლის მოთხრობებზე და ეძებდა შესაძლებლობას, რათა ზელდას ნაწარმოებები გამოეცა.

18 ზელდა ფიცჯერალდს შიზოფრენიის დიაგნოზი გვიან დაუდგინდა, რის გამოც ის სკოტმა ეშვილის საავადმყოფოში გაგზავნა. ეს წერილი სწორედ იმ პერიოდს მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ თავად ზელდას სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა ამავე ადგილას. 1948 წლის 10 მარტს საავადმყოფოში გაჩენილმა ხანძარმა მრავალი პაციენტი იმსხვერპლა, მათ შორის სკოტ ფიცჯერალდის მეუღლეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კვლავაც დიდ ლტოლვას განიცდი ჩემ მიმართ. ეს არაა უბრალო თავდადება ანდაც მორჩილება. ეს ძალიან დიდი განცდაა, რომლის დანახვამაც მე გადასარევ განწყობაზე დამაყენა.

ახლა ყველაზე მეტად გამაბედნიერებდა ამ სამედიცინო სივრციდან თავის დაღწევა. გპირდები, რომ ყურადღებიანი გავხდები და პრობლემებს აღარ შეგიქმნი. იქნებ შევბულება სკოტისთან ერთადაც კი გავატარო. მაშინ კი გავიხსენებდი ყველა იმ ნახევრად დავიწყებულ სიამეებს, რომლებიც პირველად კარგა ხნის წინ გამოვცადე ახალგაზრდობაში.

სკოტ, მადლობელი ვარ, რომ შენი ფიქრები მუდამ ჩემს ამბავს დასტრიალებს. ვიცი, რაოდენ ცუდი დროა ეს შენთვის, მაგრამ იქნებ ერთხელ და სამუდამოდ მოვიტოვოთ ყველაფერი ცუდი უკან და მოვახერხოთ ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება.

თუკი ბაბილონის შემთხვევაშიც იმავეს მოახერხებ, რაც "სამი მეგობრის" დროს შეძელი, მაშინ დარწმუნებული ვარ, რომ არანაირი პრობლემა არ შეგექმნება[19]. მგონია, რომ ცხოვრება საინტერესო ამბებითაა აღსავსე და ჩვენ ორივემ ბევრად მეტი დავიმსახურეთ.

აქაური ხეები თითქოს უსასრულო მოგონებებისგან დაფეხმძიმებულან. მათ გაზაფხულამდე მოასწრეს ყოველივე. მე კიდევ ვზივარ და ვფიქრობ, რომ ადამიანი აუცილებელია რაღაც მნიშვნელოვანს ეძიებდეს, თუგინდ ბრმად აკეთებდეს ამას. ალბათ, ეს განცდა ერთადერთია, რასაც ლექსის ანდაც წიგნის დაწერის სურვილის ჩანაცვლება შეუძლია.

სკოტი იშვიათად მწერს. მას შემდეგ, რაც ბალეტის შესწავლა დაიწყო მომაჯადოებელ ამბებს მიყვება ხოლმე. ბედნიერი ვარ, რადგან ვხედავ, როგორი გულისყურით ეკიდება საკუთარ მოვალეობას და არ ფლანგავს ძალისხმევასა და ნიჭს. მითხრა, რომ ამ ზაფხულსვე აპირებს როლის მიღებას. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია მის ცხოვრებაში. სკოტიმდე ბევრმა აიწყო დიდებული კარიერა ამ სფეროში, თუმცა შენც ,კარგად იცი რაოდენ ჭირს ამ სამყაროში ორიენტირება დღეს. რაც მეტად რთულდება ეს უკანასკნელი, მით უფრო მნიშვნელოვანია რაღაცის დროულად დაწყება.

კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადაგიხადო ყველაფრისთვის -

მარად შენი,

ზელდა

თქმაც არ სჭირდება თუ როგორ ველოდები ყველაფრის თავიდან დაწყებას...

მუდამ შენი ერთგული,

ზელდა

**14 ივნისი, 1940 წელი**

ძვირფასო ზელდა,

ახლა დროებით აირია ყველაფერი. 20-ში სკოტი ჩამოდის სამხრეთიდან და შემდეგ ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში უნდა წასვლა. თუკი შევძელი ძალიან მინდა იქ მისი გაშვება. სკოტის სურს, რომ რაც შეიძლება მეტი ისწავლოს და ცხადია, ამის უფლებაც აქვს. მას ხომ ახლა სიმწიფის წლები უდგას, თან ჭკვიანი გოგოა. კარგად იცი, რომ ათი წელია ვიბრძვი სკოტისთან, რათა არ დატოვოს ვასარის კოლეჯი. მინდა, რომ აქ კიდევ ერთი წელი დარჩეს. შეიძლება ესეც იყოს იმის მიზეზი, თუ რატომ ვეთანხმები ახლა მის ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში გაშვების იდეას. იმედია ეს თვე ჩემთვის მშვიდობიანი იქნება. თუკი მოვახერხე, მინდა აგვისტოში სადმე ზღვაზე წაგიყვანო, მონტგომერის ამინდი წესით უნდა მოვიხდეს. სამწუხაროდ, ეს ამბები ჩემზე არაა დამოკიდებული, ვინაიდან არ ვიცი ჩემი პროდიუსერი რას გადაწყვეტს. გაგრძელდება კი "ისევ ბაბილონის" პროექტი თუ რაიმე სხვა საქმეს გამომინახავენ... ეს კითხვები ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. ხომ იცი აქ ყველაფერი როგორც ხდება - ყველანი წრეზე დადიან... ამასობაში კი ფილმ "ყველაფერი ეს და კიდევ სამოთხის" შემოსავლები 2 მილიონ დოლარს გადაცდა.

წარმოგიდგენია? 20 წლის წინ "სამოთხის ამ მხარეს" ყველაზე გაყიდვადი წიგნი იყო, ჩვენ უესტპორტში ვცხოვრობდით. ათი წლის წინ პარიზში ამერიკელების უკანასკნელ ვოიაჟსაც შევუერთდით[20]. გახსოვს, როგორ დავტოვეთ გეი ალლუმი და გადავიპარეთ ჩუმად შვეიცარიაში... ეჰ, მაშინ სხვა დრო იყო. ხუთი წლის უკან, შენი საზარელი დაავადების შესახებ შევიტყვეთ და ეშვილში წავედით. სამწუხაროა, რომ ცხოვრებამ ნაადრევად გვათამაშა ყველაზე ცუდი პარტია. ბოლო ოთხი კვირაა მსოფლიოში უცნაური ამბები ხდება. მონტგომერიში ჯერჯერობით სიმშვიდეა, ბევრს არ საუბრობენ საომარ საკითხებზე.

მიყვარხარ მთელი გულით,

სკოტი

**ჰოლივუდი, კალიფორნია**

**26 ოქტომბერი 1940 წელი**

ძვირფასო ზელდა,

ერნესტმა გამომიგზავნა თავისი ახალი წიგნი[21]. მართალია, ნახევრამდე წაკითხვა მოვახერხე, თუმცა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ "მშვიდობით იარაღოს" ნამდვილად ვერ სჯობს. ვფიქრობ, ამ წიგნს დაძაბულობა და სიახლისადმი სწრაფვა აკლია. ამასთან, არც პოეტურ აღწერას შეხვდები დიდად. თითქოს ეს რომანი საშუალო სტატისტიკურ მკითხველზეა გათვლილი, აი, დაახლოებით ისეთ ტიპებზე, რომლებიც სინკლერ ლუისის ნაწერებისგან იღებენ სიამოვნებას. აშკარად იგრძნობა, რომ ჰემინგუეიმ ამ რომანის წერისას ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი გადაიაზრა და აქ მოთხრობილი ისტორიების დიდი ნაწილიც სწორედ მარკ ტვენის

19 იგულისხმება სკოტის მოთხრობა "ისევ ბაბილონი". სკოტი ამ პერიოდში სცენარს წერდა, მაგრამ საბოლოოდ ეს ფილმი არ გადაუღიათ. 1954 წელს გამოსულ ფილმს "უწინ, როცა პარიზი ვნახე" სწორედ ეს მოთხრობა დაედო საფუძვლად, მაგრამ სცენარი არც ახლა ყოფილა სკოტის.

20 იგულისხმება ის, რომ 1930 წლისთვის ამერიკელ მწერალთა უმეტესობა უკვე საკუთარ ქვეყანაში ბრუნდებოდა საფრანგეთიდან.

21 სკოტ ფიცჯერალდი უნდა გულისხმობდეს ჰემინგუეის რომანს "ვის უხმობს ზარი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოების სახეცვლილებით მიიღო. ცხადია, ერნესტი ძალიან განათლებული კაცია და ეს წიგნიერება ამ რომანშიც გამოჩნდა. თუკი შენი ცხოვრება კარგად მიდის, მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ წარსულში არსებული და ოსტატურად შენიშნული მომენტები გაიმეორო? მართალია, ჰემინგუეი ამაში კარგ ფულსაც აკეთებს, თუმცა... მან უკვე მიჰყიდა ფილმის გადაღებაზე წიგნის საავტორო უფლება ჰოლივუდს. ამასთან, "თვის წიგნადაც" დაასახელეს ეს რომანი, რამაც დამატებით 50 000 დოლარი მოუტანა. ჩვენ ვიცით, თუ რა გრძელი გზა გაიარა მან საამისოდ. ყველაფერი ხომ პარიზის ღარიბულ ოთახში დაიწყო...

ჩემზე რა გითხრა, აბა.. ვმუშაობ და ეს არის ერთადერთი სიახლე. არ დამავიწყდეს იმის თქმაც, რომ სკოტის მოთხრობა იქით კვირას "ნიუ იორკერში" დაიბეჭდება[22].

უდიდესი სიყვარულით,

სკოტი

**ჰოლივუდი, კალიფორნია**

**ოქტომბერი 1940 წელი**
**მონტგომერი, ალაბამა**

ძვირფასო სკოტ,

ფულის გამოგზავნისთვის მადლობას გიხდი. ცხოვრება ძალიან გაძვირდა. მგონი მალე ჰაერიც კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს. ჩემი ამბავი კი იცი, ყოველთვის ვახერხებ, რომ საკმარისი პროდუქტი შევიძინო, მაგრამ უაზრო რალაცებშიც უამრავ ფულს ვხარჯავ.

ეს დღეები სავსეა სასიამოვნო და კარგი ამბებით, რომელთაც უკვე დაკრავთ ზაფხულის გემო. ქუჩებში ბავშვებიც გამოჩნდნენ, მთელ დღეებს ყვირილში ატარებენ და მხოლოდ კვირაობით ქადაგების წინ შეწყდება ხოლმე მათი ჟივილ-ხივილი. ცხოვრება ნელ-ნელა მიედინება მთელი იმ გაურკვევლობის ფონზე, რომელიც სუფევს დღევანდელ სამყაროში. უცნაური დროება დგას. სიმართლე გითხრა, ბედნიერი ვარ, რომ თბილად ვცხოვრობ ჩემს სახლში და, რაც მთავარია, ომისგან შორს ვიმყოფები.

ერნესტის წარმატებამ ცოტათი გამაბრაზა (მისი ნაწარმოები არც შენი რომანების მსგავსად საინტერესოა და არც მომხიბლავი ენითაა დაწერილი), თუმცა, ამასთან, კმაყოფილების განცდაც გამიჩინა. მგონია, რომ ჰემინგუეიმ სრულიად შემთხვევით მიაგნო ქრისტიანული რწმენის სიკვდილის იდეას.

იცი? წიგნის საყიდლად ქალაქში მომიწია წასვლა, თუმცა 50-ვე უკვე გაექირავებინათ. სამწუხაროა, რომ მოცდა მომიწევს. მანამდე ტარკინგტონის[23] ახალი მოთხრობა წავიკითხე. ასეთ დინამიკურ დროში, როგორშიც ვცხოვრობთ, ცოტა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის საკითხები, რასაც ავტორი წინ წამოწევს. დიდი სიამოვნებით დავწერდი მოთხრობას, რომელიც ჩვენი ეპოქის სიმწარეს დაიტევდა, იმ გაბედულებასა და ტრაგიზმს, რომელსაც განვიცდით ადამიანები ყოველდღიურად. ეს ყველაფერი დაგვაბრუნებდა ზოგიერთ რელიგიურ ჭეშმარიტებასთან, რომელთა გარეშეც ეს სამყარო მეტისმეტად გაურკვევლად მოჩანს.

ხალხი შენს ამბავს ხშირად მეკითხება: ყველას აინტერესებს რას საქმიანობ. მე იშვიათად გავდივარ ხოლმე გარეთ, ისიც მეტწილად ეკლესიაში. აი, სკოტი კი ნამდვილ მოხეტიალედ იქცა. მუდამ კარგ ხასიათზეა, არჩევს წიგნებს და, რაც მთავარია, წვეულებებზე დაიარება, რომელთა შესახებაც ბევრი არაფერი ვიცი, ვინაიდან მე არასდროს მიწვევენ.

ამასწინ მე და მის ბუსი წარმოდგენაზე ვიყავით. დღეს კი ლი ჩარლზთან ერთად ვისადილე. დედაჩემი, ჩემიანები და მეც მათ შორის ხშირად დავდივართ ხოლმე ქალაქში, რათა არ დამავიწყდეს მთელი ის მისწრაფებათა ერთობლიობა, რაც საქალაქო ცხოვრებას გასდევს აჩრდილად.

შენი ახალი წიგნი დიდებულია! გთხოვ რომ წერა განაგრძო...

მარად შენი ერთგული,

ზელდა

**6 დეკემბერი, 1940 წელი**

ჩემო ძვირფასო ზელდა,

ახალი ჩემკენ თითქმის არაფერია. რომანზე ემუშაობ, თუმცა, სამწუხაროდ, ავადმყოფობამ მცირე ხნით შემაყოვნა. გულთან პრობლემები ყოველთვის მქონდა, მაგრამ ეს რაღაც ახალია. მართალია, ძლიერი შეტევა არ ყოფილა, მაგრამ დიდხანს გაგრძელდა. საბედნიეროდ, კარდიოგრამამ დროულად აჩვენა შესაბამისი შედეგები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეიძლება მესამე სართულიდან პირველზე მომიწიოს გადაბარგება. წერა კვლავ შემიძლია, თუმცა ძალიან არ უნდა გადავიტვირთო[24].

სკოტიმ მითხრა, რომ შობისთვის გინახულებს. გულწრფელად მშურს შენი ამის გამო. თქვენზე ძალიან ბევრს ვფიქრობ. ახლა ჩემი ცხოვრება თითქოს ამ რომანად გადაიქცა. განუზომლად დიდი ინტერესი მაქვს ამ ნაწერისადმი და დიდ იმედს ვიტოვებ, რომ თებერვლისთვის მას წარმატებით დავასრულებ.

უდიდესი სიყვარულით,

სკოტი[25]

---

22 1940 წლის ოქტომბრის ნომერში, სკოტის მოთხრობა დაიბეჭდა - სახელწოდებით "დიდებული დროება".

23 ბუს ტარკინგტონი, დიდი ამერიკელი მწერალი. ერთ-ერთი იმ ოთხს შორის, რომელთაც პულიცერის პრემია 2-ჯერ მაინც აქვთ მოგებული(დანარჩენი სამი ავტორია: უილიამ ფოლკნერი, ჯონ აპდაიკი და კოლსონ უაითჰედი). 1910-1920-იან წლებში მას ამერიკის ყველაზე დიდ ავტორად მიიჩნევდნენ.

24 პირველ სართულზე ცხოვრობდა სკოტის თანაშემწე ფრენსის კროლი. ის ეხმარებოდა ავტორს მოთხრობების საბეჭდ მანქანაზე აკრეფაში. ვიცით, რომ ამ ამბებამდე მცირე ხნით ადრე სკოტმა ექიმი მოინახულა, რომელმაც ფიცჯერალდი გააფრთხილა, რომ მას გულის სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ამის მიუხედავად ის მაინც აგრძელებდა გვიანობამდე მუშაობას, რაც მის ჯანმრთელობაზე ცუდად აისახა.

25 ამ ამბებიდან მალევე 1940 წლის 21 დეკემბერს სკოტ ფიცჯერალდი გარდაიცვალა გულის შეტევით.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმბოლო მბუ

# რა შეიძლება ითქვას სიყვარულის ნექტრის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*



თუ ის, ვინც გიყვარს, საპასუხო გრძნობით არ გპასუხობს, სხვა რა დაგრჩენია, იმის გარდა, რომ სხვა ადამიანი შეიყვარო (რაც, გულწრფელად გეტყვით, არც ისე ადვილია)? ოჰ, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდა მეგობარო, როგორ მიხარია, რომ რჩევისთვის მომმართე. ამგვარი რთული საკითხის გადასაწყვეტად უჭკვიანეს ადამიანებს უნდა ჰკითხო ხოლმე რჩევა; კარგია, რომ გესმის, ვინაა ყველაზე უფრო გამჭრიახი პიროვნება ქვეყნიერების ამ ნაწილში,

ალბათ, იცი, რომ ამ პრობლემის გადაჭრის მრავალი ხერხი არსებობს, მაგრამ პრაქტიკულად არც ერთი მათგანი არ უზრუნველყოფს წარმატებას. ვფიქრობ, ოცდარვა ხერხი მაინც გამოიყენე, სანამ დღეს ჩემთან მოხვიდოდი, ხომ ასეა? არა? მხოლოდ ოთხის გამოყენება სცადე? სულ ერთია. რაკი აქ ხარ, შემიძლია საუკეთესო გამოსავალი გირჩიო. სიყვარულის ნექტარი.

რამე გაგიგონია მის შესახებ? არა? მართლაც სამარცხვინოა, რომ არაფერი იცი კაცობრიობის უდიდესი მონაპოვრის თაობაზე. ნება მიბოძე, საქმის არსი აგიხსნა.

პირადად მე სიყვარულის ნექტარი არასოდეს გამომიყენებია (საბედნიეროდ, არ დამჭირვებია), მაგრამ ვიცი, რომ მისი შეძენა შესაძლებელია ყველა სოფელში - ადგილობრივი ქურუმებისგან. სიყვარულის ნექტარს წინაპართაგან ნაანდერძევი რეცეპტით ამზადებენ და მასში ისეთი ინგრედიენტები შედის, რომელთა ცოდნა ჩვენ, უბრალო მოკვდავებს, გვეკრძალება. ქურუმები ნექტარს ერთნაირ თეთრ ბოთლებში ინახავენ და მის შესაძენად მოსულებს მხოლოდ თხას, ლორს და სამ ქათამსართმევენ. ვინ დაინანებს ქონებას სიყვარულის ნექტრის შესაძენად? განა შენ დაინანებ? არა მგონია. მაგრამ შესაძლებელია, სიყვარულის ნექტარი უფასოდ იშოვო და იპოვო სიყვარული, რომლის ზეგავლენით შენი სახე მზეზე უფრო მეტად გაბრწყინდება.

აი, როგორ უნდა მოიქცე: შეიპარე ქურუმის სახლში მაშინ, როდესაც ქურუმი რიტუალის ჩატარებას დაიწყებს. ეს უნდა მოხდეს მზის ჩასვლის შემდეგ, სანამ ცაზე მთვარე გამოჩნდებოდეს. საკმარისად უნდა ბნელოდეს, რომ ვერავინ დაგინახოს, მაგრამ ისეთი წყვდიადიც არ უნდა იყოს, რომ ავმა სულებმა, რომლებიც ღამით სოფელში დაძრწიან, შეგამჩნიონ. საშინლად დაგ-

სჯიან, თუკი ქურდობაზე წაგასწრებენ.

ქურუმის სახლში შესვლისთანავე სწრაფად აიღე თეთრი ბოთლი და საცვალში დამალე. საკუთარ სახლში დაბრუნებისას ბოთლი საიმედო ადგილას შეინახე, მაგალითად, საბნის ქვეშ. შემდეგ, სავსემთვარეობისას, რამდენიმე წვეთი ჩაასხი იმ ადამიანის საჭმელში, ვისი სიყვარულსაც ნატრობ, და მომდევნო დილას სატრფოს იმდენად შეუყვარდები, ისეთ ნეტარებასა და სიხარულს იგრძნობ, რომ თავს ჰკითხავ, ნეტავ, ასეთი სიყვარული რით დავიმსახურეო.

ვხედავ, რომ ჩემი არ გჯერა.

გინდა შეიტყო, რა მოხდება, თუკი სიყვარულის ნექტარი ადამიანზე არ იმოქმედებს?

უაზრო კითხვაა. საქმე ისაა, რომ სიყვარულის ნექტარი, ჩვეულებრივ, ზემოქმედებს ადამიანზე. მაგრამ როდესაც ეს არ ხდება, შეიძლება უცნაური რამ მოხდეს. უჩვეულო, უსიამოვნო რამ.

ჩემი მეგობარი ვონჯა მაგალითია იმისა, რომ სიყვარულის ნექტარი ზოგჯერ მავნე ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე.

ვონჯა მზეთუნახავი სულაც არ იყო. არავითარ შემთხვევაში. განა რამდენ ქალს შეუძლია დაიკვეხნოს სილამაზით? თუმცა, გულწრფელად რომ გითხრა, ვონჯა ულამაზო კი არა, მახინჯი იყო. მის ქმარს, ბულუს, ხმამაღლა გაეცინა, როდესაც მშობლებმა ვონჯაზე დაქორწინება შესთავაზეს. "ეს გონჯი ქალი შევირთო ცოლად?" - იკითხა მან. - "არ ჯობია, რომ, უბრალოდ, ბამბუკის სარზე დამაქორწინოთ?"

და ვინ დაადანაშაულებდა იმის გამო, რომ ეს სიტყვები წარმოთქვა? ვის მოხიბლავდა ვონჯას გაძვალტყავებული ფეხები, ბრტყელი მუცელი, ძვლებზე მიმხმარი დუნდულები და ამოზნექილი ყვრიმალები? ასეთი გარეგნობის ცოლით ვერც ერთი მამაკაცი ვერ მოიწონებდა თავს და, მით უმეტეს, ბულუ, რომელსაც ულამაზესი, მანგოს ფორმის თავი ჰქონდა, ისეთი, როგორიც ჩვენს სოფელში არავის ენახა. "მაცადეთ, ჯერ როდესაც ცოლის შერთვისთვის მზად არ ვარ", უმტკიცებდა ბულუ თავის მშობლებს, რომლებსაც სულაც არ აინტერესებდათ, რა აზრისა იყო მათი ვაჟიშვილი. მართლაც, ორი თვის შემდეგ, ერთ დილას, ახალგაღვიძებულმა ბულუმ დაინახა, რომ მისი სახლის კართან მისივე მშობლები იდგნენ, მათ შორის კი ვონჯა ატუზულიყო. "პატარძლის გამოსასყიდი უკვე გადავიხადეთ", - თქვეს მშობლებმა და წავიდნენ.

"კი მაგრამ, დედა... მამა..." - ყვიროდა ბულუ.

ვონჯა კვლავ ზღურბლზე იდგა და ისე იღიმებოდა, თითქოს სიზმარს ხედავდა, რომელშიც მისთვის სანადიმო სუფრა იყო გაშლილი. რატომაც არ უნდა ყოფილიყო ბედნიერი? მისი მშობლების სახლის კარზე არც ერთ მამაკაცს არ დაუკაკუნებია და არ უთხოვია, თქვენი ქალიშვილი ცოლად გამატანეთო. ახლა კი ვონჯა ბულის კარის ზღურბლზე იდგა . უდიდეს პატივს - გათხოვებას ელირსა.

რაო? გინდა განგიმარტო, თუ რატომ არ ითხოვა ვონჯა ცოლად არც ერთმა მამაკაცმა? ნუთუ საკმარისი არაა, რომ მისი გარეგნობა აღვწერე? თუმცა, შენ არ ცდები. მიუხედავად იმისა, რომ ვონჯა გარეგნულად სიმინდის გამხმარ ღეროს წააგავდა, მისი უიღბლობის ერთადერთი მიზეზი გარეგნობა როდი იყო. სიყვარული უცნაური რამაა. ბევრი ჩვენგანის აზრით, ის ხეს წააგავს. აი, ჩვენ ირგვლივ ხომ ხეებია. შეგიძლია რომელიმე მათგანი ამოირჩიო, მის ჩრდილში დაჯდე და გემრიელი ნაყოფით პირი ჩაიტკბარუნო. მაგრამ ზოგიერთი ადამიანისთვის - ისეთებისთვის, როგორიც ჩემი მეგობარი ვონჯაა, - სიყვარული ცისარტყელას წააგავს. თუ ცისარტყელა მაშინ გამოჩნდება, როდესაც გძინავს ან სხვა სოფელში იმყოფები ბიძაშვილის მოსანახულებლად, შეიძლება ცისარტყელა ვეღარასოდეს იხილო და მთელი დარჩენილი სიცოცხლე ამაო ოცნებას შეალიო.

ბრიყვები შეეცდებიან დაგარწმუნონ, რომ ვონჯა სწორედ მისმა ულაზათო გარეგნობამ იმსხვერპლა. მაგრამ ეს სწორი არაა. არსებობს უამრავი უსახური ქალი, რომლებმაც გათხოვება შეძლეს. სწორედ ერთი თვის წინ ახლახან, ნაფოტაკბილებიანი ტიმბი გათხოვდა, ხოლო ზორბატანიანი, დაკუნთული იფინდა უკვე ათი წლის განმავლობაში ბედნიერადაა გათხოვილი, თუმცა, ჩემი აზრით, მისი ქორწინება ასე დიდხანს იმიტომ გაგრძელდა, რომ იფინდას გალეულ ქმარს ცოლისა ეშინია.

რაკი საუბარი საჭმელზე ჩამოვარდა, უბრალოდ, გამახსენდა, როგორ უყვარდა ვონჯას ჭამა, როდესაც პატარები ვიყავით. მახსოვს, ყოველთვის, როდესაც მისი სახლის წინ გავივლიდი, ვონჯა აივანზე იჯდა და დაკეპილ ბატატსა და წვნიანს შეექცეოდა. მაშინაც გამხდარი იყო, მაგრამ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ როდესაც გაიზრდებოდა, ლამაზი და ფერ-ხორციანი იქნებოდა. თუმცა, რატომღაც არ გასუქებულა.

გავიდა ხანი. ვონჯას მეგობარი გოგონები მომწიფდნენ და ერთიმეორის მიყოლებით გათხოვდნენ. იმ დროისათვის, როდესაც ვონჯა ცხრამეტისა შესრულდა, მთელ სოფელში მისი ასაკის მხოლოდ სამი გასათხოვარი გოგონაღა დარჩა. ერთ-ერთი მათგანი საკუთარ უიღბლობაში თვითონვე იყო დამნაშავე: ეს დედისერთა გოგონა გაანებივრა დედამ, რომელმაც შვილი დაარწმუნა, მთელ მსოფლიოში შენი ღირსი მამაკაცი ძნელად თუ მოიპოვებაო. ამიტომ გოგონამ უარი უთხრა ცოლობაზე ფერმერს, რომლის ფერმა ძალზე შორს, ტყეში იყო და გოგონას არ სურდა ყოველდღე ეცადა, სანამ ქმარი შინ საჭმელს მოუტანდა. მან უარი უთხრა მეზობელი სოფლის მკვიდრ მეთევზესაც, რომელსაც თითქოსდა თევზის სუნი უდიოდა. რა გასაკვირია: თუკი კაცი მეთევზე იყო, რის სუნი უნდა ჰქონოდა? თაფლი-

სა და მზესუმზირასი?

ოჰ, რა არიან ეს ქალები!

მახსოვს, როგორ ვმუსაიფობდით მე და ვონჯა ჩვენს აივანზე, როდესაც ორივენი ოცდახუთი წლისანი ვიყავით. სამზარეულოდან ჩემი ცოლის ღიღინი მოისმოდა. არც მას და არც სხვა რომელიმე ქალს ჩვენს სოფელში არ ეშინოდა, რომ ვონჯა ქმარს წაართმევდა.

ზოგჯერ, საღამოობით, სხვა მეგობრებიც გვიერთდებოდნენ - მამაკაცები და ქალები, ისინი დაოჯახებულები იყვნენ და შვილებიც ჰყავდათ. ზოგიერთი მათგანი ნუწუნებდა, ქმარი (ან ცოლი) არ მივარგაო, და ვონჯას თვალები ცრემლებით ევსებოდა. ნეტავ, ქმარი ჰყოლოდა და ჯანდაბას, მასთან კინკლაობას როგორმე აიტანდა.

ერთხელ, როდესაც ვონჯა ოცდაოთხი წლისა იყო, ლამის შეუყვარდა ერთი კაცი.

გვალვის სეზონის დროს ვონჯა დედამისთან ერთად ქვეყნის მეორე კიდეზე გაემგზავრა, რათა მოენახულებინა თავისი ძმა, რომელიც ბანანების პლანტაციაში მუშაობდა. როდესაც დაბრუნდა, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა ახალგაზრდა კაცზე, თავისი ძმის მეგობარზე, რომელიც იქ გაიცნო. თურმე, ეს კაცი ვონჯას ყოველი შეხვედრისას ნაზად უღიმოდა და მართლა უყვარდა ვონჯა. უბრალოდ, მორიდებული იყო და არ იცოდა, როგორ დაახლოებოდა გოგონას.

ჩვენ უნდობლად ვუყურებდით ერთმანეთს. ნუთუ შესაძლებელია, მამაკაცი იმდენად მორიდებული იყოს, რომ ვერ გაუბედოს ქალს იმის თქმა, მომწონხარო? ვონჯას ნაამბობმა თვით ყველაზე მიამიტნიც კი დაგვაეჭვა. უფრო სავარაუდო იყო, რომ სასოწარკვეთილმა ვონჯამ ვაჟს მიაწერა ის გრძნობები, რომლებიც ამ უკანასკნელს არ ჰქონდა. მაგრამ არ გვინდოდა, ქალისთვის გული გვეტკინა, ამიტომ ვუთხარით, რომ, ალბათ, ვაჟი თავის რიდს დაძლევდა და ჩვენს სოფელში ჩამოვიდოდა ვონჯას მშობლების გასაცნობად. ის ყმაწვილი არ ჩამოსულა, მაგრამ მოდიოდნენ სხვა მამაკაცები, რომლებსაც ვონჯას დები მოსწონდათ.

იმ დღეს, როდესაც მისი ბოლო და გათხოვდა, ვონჯამ თავი ველარ შეიკავა.

მან თვალი მიმოავლო შეკრებილ სტუმრებს, რომლებიც აპირებდნენ ეცეკვათ და ემხიარულათ ქორწილში, და აქვითინდა. მისი ორი დეიდა მივარდა და დააპირეს სახლში შეეყვანათ, რათა სტუმრებს არ გაეგოთ მისი ყვირილი: "რატომ მე არავინ მთხოულობს? ნუთუ, ყველაზე უარესი ვარ?"

ყველაზე უარესი ნამდვილად არ იყო. გარკვეული ღირსებებიც ჰქონდა. კარგი კულინარი იყო. მშვენივრად მღეროდა და მელოდიურად იცინოდა. მძიმე სამუშაოს არ უფრთხოდა. შეეძლო ფერმაზე წასულიყო, ქარიშხლიან ამინდში ემუშავა, შემდეგ შინ დაბრუნებულიყო და უდრტვინველად მოემზადებინა ვახშამი ოჯახისთვის. როდესაც მამამისი ისე დაბერდა, რომ აღარ შეეძლო სახლის სახურავზე აძრომა, ვონჯა კიბეზე აძვრა და აყრილი ყავარი შეასწორა. თუკი სოფელში ვისმე დახმარება სჭირდებოდა, ვონჯა აუცილებლად ეხმარებოდა მას. ჭაბუკები, რომლებიც პატარა კუნა ქალიშვილებს ანიჭებდნენ უპირატესობას, ვონჯას ღირსებებს არად დაგიდევდნენ, მაგრამ ბულუს მშობლებმა, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ ვონჯას, იცოდნენ, რომ მათი ვაჟი უკეთეს ცოლს ვერ იპოვიდა.

მას შემდეგ, რაც ვონჯას ოცდახუთი წელი შეუსრულდა, ქალის მშობლები სულ უფრო ნაკლებ მოთხოვნებს უყენებდნენ სასიძოებს: თავდაპირველად გამოაცხადეს, რომ მზად იყვნენ, მიეთხოვებინათ ვონჯა ნებისმიერი მამაკაცისთვის, რომელიც საპატარძლოს მინიმალურ გამოსასყიდს გადაიხდიდა, შემდეგ თქვეს, რომ ამ თანხის ნახევარზეც ყაბულს იყვნენ, ბოლოს ხელები გაასავსავეს და თქვეს, რომ მინიმალური თანხის ოც პროცენტსაც დათანხმდებოდნენ და ქორწილს თავიანთი ხარჯებით გადაიხდიდნენ. ისევე, როგორც ყველა კეთილგონიერი მშობელი ამქვეყნად, ისინიც მზად იყვნენ, ყველაფერი ეღონათ, ოღონდ გაეთხოვებინათ თავიანთი ქალიშვილი, სანამ საშო გაუხმებოდა და გამოეფიტებოდა.

როდესაც ბულუს დედ-მამა ეწვია მათ, ვონჯას მშობლები სიხარულისგან ატირდნენ. "როგორც იქნა, სირცხვილს გადავრჩით" - ღიღინებდნენ ისინი რამდენიმე კვირის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ბულუს მშობლებმა მათ საპატარძლოს გამოსასყიდი მოუტანეს. ზეიმს მთელი სოფელი შეუერთდა, რადგან არც ერთ ჩვენგანს არ სიამოვნებდა, როდესაც გადაბერებული საპატარძლოები თავიანთი მშობლების სახლებში დიდხანს რჩებოდნენ.

ბულუს სახლში ვონჯას დაბინავებიდან ერთი კვირის თავზე დავინახე, როგორ მიდიოდა ის ჭისკენ. "აბა, ვონჯა", - ვკითხე მას, - "მიამბე, როგორია გათხოვილი ქალის ბედნიერი ცხოვრება!". მას თვალები ცრემლებით აევსო. იმავ წუთს ენაზე ვიკბინე. "ოჰ, ვონჯა" - ვუთხარი ქალს, - "ჩემი ოჯახური ცხოვრებაც ისეთია, რომ ზოგჯერ ვტირი, მაგრამ რას გააწყობ?". ამ სიტყვებზე ქალს კი არ გაეცინა, არამედ კიდევ უფრო დასევდიანდა და გზა გააგრძელა.

მივხვდი, რომ სანამ ჩვენ ქორწილს ვზეიმობდით, ვონჯა იტანჯებოდა.

ამას მხოლოდ ერთი მიზეზი შეიძლებოდა ჰქონოდა: ბულუს არ უყვარდა ცოლი.

სოფლელები ერთმანეთს უამბობდნენ, რას ხერხებს მიმართავდა ვონჯა, რომ ბულუს შეეყვარებინა ის. თურმე, იმ დღეს, როდესაც ვონჯა ბულუს სახლში დაბინავდა, ხოლო მშობლებზე განაწყენებული, გაავეთრებული ბულუ სადღაც წავიდა - ვონჯამ სახლი გაანიავა, მტვერი გაწმინდა, იატაკი გამოხვეტა, ბულუს ტანსაცმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეცხა და დააუთოვა. შემდეგ ქმრისათვის ოთხი სხვადასხვა კერძი დაამზადა და დედამისის ნაჩუქარ ლამაზ თეფშებზე დაანყო. ვონჯას ბრძენმა დედამ იცოდა, რომ საჭმელი განსაკუთრებით გემრიელია, როდესაც ის ლამაზ ჭურჭელზეა დანყობილი, უსახურ ვონჯას კი მსოფლიოში არსებული ყველა ლამაზი თეფში დასჭირდებოდა ქმრისთვის თავის მოსაწონებლად.

როგორ მოიქცა ბულუ, როდესაც იმ ღამით შინ დაბრუნდა? როგორ ფიქრობთ, რა უთხრა ცოლს, რომელმაც სახლი დაალაგა, ტანსაცმელი გარეცხა და დააუთოვა და გემრიელი ვახშამი მოუმზადა?

ბულუმ მხოლოდ თვალი შეავლო სასტუმრო ოთახში მჯდარ ცოლს, არაფერი უთხრა და დასაძინებლად დაწვა.

რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც ვონჯას ვკითხე, მართლა ასე მოხდა თუ არა-მეთქი, მან ყველაფერი დამიდასტურა. კიდევ ერთი მეგობრის ნაამბობიც დაადასტურა. ამ მეგობრის თქმით, როდესაც ვონჯა მიხვდა, რომ ბულუ მას არ ეკარებოდა, ერთ ღამეს შიშველი დაწვა - ბულუ ამ დროს თავის მეგობრებთან იმყოფებოდა. ვონჯა იმედოვნებდა, რომ როდესაც ბულუ დაბრუნდებოდა და შიშველი ცოლის გვერდით დაწვებოდა, ის ისე მოიქცეოდა, როგორც მამაკაცები იქცევიან ხოლმე ამგვარ ვითარებაში. მაგრამ როდესაც ბულუ დაბრუნდა და საწოლში ცოლის გვერდით დაწვა, მაშინვე წამოხტა და ცოლს შეუღრინა, ღამის პერანგი ჩაიცვიო.

ვონჯამ მითხრა, რომ მან თავის მშობლებს დახმარებისთვის მიმართა, მათ კი, უბრალოდ, ურჩიეს, მოეთმინა - იქნებ, დროთა განმავლობაში, ბულუს შეეცვალა თავისი დამოკიდებულება ცოლის მიმართ? მერე ვონჯამ ბულუს მშობლებს მიმართა, მაგრამ მათაც იგივე ურჩიეს. მათ, ისევე, როგორც ჩვენი სოფლის ყველა მკვიდრმა, იცოდნენ, რომ ბულუ, ჯერ ერთი, გულგრილი იყო ცოლის მიმართ და, გარდა ამისა, ცდილობდა დაევიწყებინა ლამაზკბილებიანი ქალი, რომელიც მეზობელ სოფელში ცხოვრობდა. ქალს უყვარდა ბულუ, მაგრამ მისმა მშობლებმა დაიწუნეს სასიძო და თავიანთი ქალიშვილი გაათხოვეს მდიდარ მონადირეზე - კაცზე, რომელიც დაჰპირდა, ნანადირევს თვეში სამჯერ მოგიტანთო. რომელი მშობელი გაუძლებდა ამგვარ ცდუნებას?

მას შემდეგ, რაც ბულუს სატრფო სხვა მამაკაცზე გათხოვდა, ყმაწვილი ქალებს აღარ ეკარებოდა, რაც ბევრს აკვირვებდა. მეგობრები აქილიკებდნენ იმის გამო, რომ ძველი სიყვარული ვერ დაევიწყებინა. სოფელში ჭორაობდნენ, თითქოს ბულუს შიშს აღუძრავდა ქალის შიშველი სხეული, მაგრამ ამ ჭორისა არავის სწამდა - ყველამ იცოდა, რომ ნებისმიერი მამაკაცი დღეში რამდენჯერმე წარმოიდგენს ხოლმე შიშველ ქალს.

მშობლები ბულუს სხვადასხვა ქალს ურიგებდნენ, ის კი მხოლოდ აქეთ-იქით აქნევდა თავს, უარყოფის ნიშნად. იმედგაცრუებულმა მშობლებმა გადაწყვიტეს იმის ინსცენირება, რასაც ოდესღაც "გალიას" უწოდებდნენ. მისი არსი ის იყო, რომ ბერბიჭას დედ-მამას მეზობელი სოფლებიდან თავიანთ სახლში მოჰყავდა ყველაზე ლამაზი ახალგაზრდა ქალები და მათ საძინებელ ოთახში, სასტუმრო ოთახის უკან მალავდნენ. შემდეგ მშობლები ვაჟს სასადილოდ ინვევდნენ. როდესაც ვაჟი დანაყრდებოდა და სასიამოვნოდ მოდუნდებოდა, მშობლები საძინებელი ოთახის კარს აღებდნენ. იქიდან გამოდიოდნენ ლამაზად ჩაცმული, ლამაზად სახეშეღებილი და თმადავარცხნილი ახალგაზრდა ქალები, რომლებიც ჩამწკრივდებოდნენ ხოლმე ბერბიჭას წინაშე. მშობლები აცხადებდნენ, რომ მათი შვილი სახლიდან ვერ გავიდოდა იმის გარეშე, რომ ერთ-ერთი ახალგაზრდა ქალი თავის საცოლედ არ გამოეცხადებინა.

ბულუსთვის მშობლებმა მოძებნეს შვიდი ახალგაზრდა ქალი. ყველამ იცოდა, რომ ბულუ გამრჯე ყმაწვილი გახლდათ. ახალგაზრდა ქალებმაც იცოდნენ, რომ ბულუს ცოლს შიმშილისგან მუცელი არასოდეს აუბუყბუყდებოდა, ამაზე მნიშვნელოვანი კი არაფერი იყო. ჰოდა, ისინი ბულუს წინაშე ჩამწკრივდნენ და იღიმებდნენ. თითოეული მათგანი თითქოს სთავაზობდა, გთხოვ, გევედრები, მე ამირჩიეო. მოგვიანებით ბულუს დედა მეგობრებს უყვებოდა, რომ ბულუ ერთი საათის განმავლობაში იჯდა და სივრცეს გაჰყურებდა. გეგონებოდათ, ქალების სილამაზე ბულუს სულაც არ აღელვებდა. ბოლოს მან ქალებს უთხრა, ჩემი მშობლები ამაოდ გაისარჯნენ და ვიმედოვნებ, თქვენს სოფლებში მშვიდობიანად დაბრუნდებითო. ამის შემდეგ ბულუ წამოდგა და სახლიდან გავიდა. რამდენადაც ვიცი, ის ერთადერთი მამაკაცია , რომელმაც "გალია გატეხა".

დიახ, ბულუს გული სიყვარულისთვის დახშული იყო.

ერთ საღამოს, ბულუს და ვონჯას დაქორწინებიდან ერთი წლის თავზე, გვესტუმრა ჩემი მეგობარი კოცო, რომელიც ვონჯასთანაც მეგობრობდა. ჩემი ცოლი მაგიდაზე სავახშმო კერძებს ანყობდა. ზრდილობიანი მამაკაცები, როდესაც შემთხვევით სადილობისას შეგესწრებიან, შეგარგოთო, ამბობენ და თქვენი სახლიდან გადიან, რათა ერთი საათის შენდეგ დაბრუნდნენ, როდესაც საჭმელი თქვენს მუცლებში ჩაიტკეპნება. მაგრამ კოცო ასე არ იქცეოდა - მისი ცოლი ხომ უხეირო კულინარი იყო. თავაზიანი კაცი ვარ, და კოცოს შევთავაზე, ჩემთან ერთად ესადილა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყელში გამეჩხირებოდა ყოველი ლუკმა, რომელსაც მისი გადმოკარკლული თვალები ხარბად დააკვირდებოდა.

როდესაც შევექცეოდით სახელგანთქმულ სიმინდის "ფუფუს" და მოთუშულ ბამიას ღორის შემწვარ ბარკლებთან ერთად, კოცომ მითხრა, რომ ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რაც სჭირდა ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუს; ალბათ, მისმა ყოფილმა შეყვარებულმა სიყვარულის ნექტარი დაალევინა, რათა მათი სიყვარული სამარადისო ყოფილიყო. ამ ნექტრის ზეგავლენით ბულუ არც ერთ სხვა ქალს არ გაეკარებოდა.

გულწრფელად გითხრათ, ამას მეც ვვარაუდობდი, მაგრამ ზოგჯერ ჯობია, თქვენი აზრები სხვამ გამოთქვას. ამიტომ კოცოს ვუპასუხე, რომ ვონჯასთან უნდა მივსულიყავით და ჩვენი ეჭვები მისთვის გაგვეზიარებინა;

კოცოს აზრით, ვონჯას გულს ატკენდა ეს დაუსაბუთებელი ეჭვები. მან შემომთავაზა, მეგობრები შეგვეკრიბა, შექმნილი ვითარების შესახებ გვემსჯელა და სამოქმედო გეგმა დაგვესახა. ჩვენი მშობლები და ჩვენი მშობლების მშობლები პრობლემებს სწორედ ამგვარად წყვეტდნენ ხოლმე.

ჰოდა, ერთ გრილ საღამოს სოფლის მოედანზე ვონჯას კბილა ახალგაზრდები შევიკრიბეთ, რათა გვემსჯელა ჩვენი საბრალო მეგობრის შესახებ, რომელსაც მშობლები ვერაფრით ეხმარებოდნენ, დები კი გათხოვდნენ, სხვა სოფლებში გადასახლდნენ და მშობლებზე ზრუნვა ვონჯას დააკისრეს. შეკრებილნი ვონჯასთან ერთად გაიზარდნენ, ერთად აიდგეს ფეხი, ერთად თამაშობდნენ, სეირნობდნენ და, შიშველნი, წვიმის ქვეშ ცეკვავდნენ. ვონჯას გათხოვებამ ძალიან გაგვახარა, ახლა კი გული დაგვწყვიტა მისმა ოჯახურმა უსიამოვნებებმა; ყოველთვის, როდესაც ვონჯას ვხედავდით, მისი სევდიანი სახე ჩრდილავდა ჩვენს ბედნიერებას. შეუძლებელი იყო, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლე ასეთ ვაივაგლახში გაეტარებინა.

რა თქმა უნდა, გვიხაროდა, რომ ვონჯა გათხოვდა, რომ იძულებული არ გახდა, მშობლების სახლში დარჩენილიყო და ეოცნება იმაზე, რომ მამაკაცს, ნებისმიერ მამაკაცს წაეყვანა ის, სანამ სხეული დაუჭკნებოდა და სახე დაუნაოჭდებოდა. მაგრამ ისიც გვინდოდა, რომ მცირეოდენი ბედნიერება მაინც ეგრძნო ცხოვრებაში. ამ ბედნიერებას ვონჯას მხოლოდ ბულუს სიყვარული მოუტანდა. არც ერთ ჩვენგანს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყოფილმა სატრფომ ბულუს სიყვარულის ნექტარი დაალევინა. სხვაგვარად ვერ ავხსნიდით მ ის დამოკიდებულებას ვონჯას მიმართ.

მეორე დღეს - ისეთსავე გრილ საღამოს - კვლავ შევიკრიბეთ სოფლის მოედანზე.

ამჯერად ვონჯასაც შევთავაზეთ, მოსულიყო. ჩვენი ჯგუფის სახელით დაველაპარაკე. ვუთხარი, რომ ბულუს გონება და გული სიყვარულის ნექტრით ჰქონდა დაბანგული; ვუთხარი, რომ შეეძლო შეგუებოდა ბულუს ქცევას, მაგრამ ქორწინების არსი ხომ ისაა, რომ შეცვალო სხვა ადამიანი შენდა სასიკეთოდ. ჩვენი მეგობრები დამეთანხმნენ - ყველამ საკმაოდ დიდი დრო დავუთმეთ იმას, რომ ჩვენი ცოლები და ქმრები ისეთ ადამიანებად გვექცია, რომლებიც რაც შეიძლება მეტ ბედნიერებას გვაგრძნობინებდნენ და რაც შეიძლება ნაკლებად გვატკენდნენ გულს.

ვონჯას ვურჩიე, ქურუმთან მისულიყო და სიყვარულის ნექტრის საწინააღმდეგო წამლის დამზადება ეთხოვა. დავპირდი, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი წაჰყვებოდა; რომ მივცემდით მას სამსხვერპლოდ შესაწირავ ცხოველებს, რომლებიც ქურუმისთვის უნდა შეეძლია; რომ გავუგებდით, თუკი ჩვენს შეთავაზებებზე უარს იტყოდა (რადგან ეს შეიძლებოდა სახიფათო ყოფილიყო); მეორე მხრივ, თუკი ჩვენს რჩევებს არ გაითვალისწინებდა, ეს, ალბათ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სანანებლად დარჩებოდა.

ვონჯამ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

მან იცოდა, რომ სხვა გზა არ დარჩენოდა - აუცილებლად უნდა წასულიყო ქურუმთან და სიყვარულის ნექტრის საწინააღმდეგო წამალი მოეპოვებინა.

რვა დღის შემდეგ ჩვენი ერთ-ერთი მეგობარმა და ვონჯამ სამი სოფელი გადაიარეს და ქურუმთან მივიდნენ. ამ კაცს ძალიან აქებდნენ. ძლიერმოქმედ წამლებს ამზადებდა - ერთ უშვილო კაცს ისეთი წამალი მისცა, რომ ამ კაცის ცოლმა სამ წელიწადში სამჯერ გააჩინა ტყუპები.

ქურუმმა მოისმინა ყველაფერი, რაც ვონჯამ ბულუს შესახებ უამბო და უთხრა, რომ თანაუგრძნობდა მას, მაგრამ გააფრთხილა, რომ აჯობებდა, სიყვარულის ნექტრის საწინააღმდეგო წამალი არ გამოეყენებინა.

ქურუმმა ვონჯას ისიც უთხრა, თუკი წამალს შეუსაბამო დროს გამოიყენებ (მაგალითად, მაშინ, როდესაც მთვარე თითქოსდა სავსეა, მაგრამ, სინამდვილეში, სავსე არ არის), ამან შეიძლება შეშლილობა გამოიწვიოსო. ქურუმის აზრით, ვონჯას უნდა დაეცადა და იმედი არ დაეკარგა, რომ ბულუს ორგანიზმი თანდათან დაიცლებოდა სიყვარულის ნექტრისგან.

მაგრამ რამდენ ხანს უნდა ეცადა ვონჯას? ზოგიერთის აზრით, სიყვარულის ნექტარი შეიძლება წლების ან ათწლეულების განმავლობაში დარჩეს ორგანიზმში, ზოგჯერ კი - მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც.

ვონჯა სასოწარკვეთილი იყო.

"არ შემიძლია" - მითხრა მან, როდესაც შევთავაზე, სხვა ქურუმის აზრიც შევიტყოთ-მეთქი. ეს სახიფათო არისო, მიმეორებდა. "თუ ასეა, მაშინ მთელი დარჩენილი სიცოცხლე სიყვარულის გარეშე უნდა გაატარო!", - ვუპასუხე მე. ვონჯამ ამოიოხრა. მას შემდეგ, რაც გათხოვდა - ესე იგი, თხუთმეტი თვის განმავლობაში - განუწყვეტლივ იტანჯებოდა.

მაგრამ მან მაინც მიმართა დასახმარებლად სხვა ქურუმს, რომელიც ჩვენგან ოთხი სოფლის დაშორებით ცხოვრობდა. ამჯერად მარტო წავიდა, რადგან არ სურდა, რომ ჩვენ მასზე რამე ზეგავლენა მოგვეხდინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზუსტად ვერ გეტყვით, როგორ წარიმართა ამ ქურუმთან ვონჯას შეხვედრა, მაგრამ მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ იმ კაცმა ვონჯას სიყვარულის ნექტრის საწინააღმდეგო წამალი კი არ მისცა, არამედ - თვით სიყვარულის ნექტარი. სამწუხაროდ, მას დაავიწყდა, შეეხსენებინა ვონჯასთვის, რომ ნექტარი მხოლოდ სავსემთვარეობისას უნდა გამოეყენებინა. ამიტომ საღამოს, როდესაც მთვარე თითქოს (მაგრამ არა ნამდვილად) სავსე იყო, ვონჯამ სამი წვეთი ნექტარი ჩაუსხა ბულუს კერძში - შებოლილი ხორცის რაგუში.

როგორ ფიქრობთ, რა მოხდა მეორე დღეს?

ვონჯა შეიშალა.

თავდაპირველად სოფელში დადიოდა და თავის თავს ელაპარაკებოდა. შემდეგ, ერთ დილას, ვონჯა მანგოს ხის ქვეშ ვიპოვეთ. მალე მან საბოლოოდ მიატოვა ბულუს სახლი და მანგოს ხის ჩრდილი თავის ახალ ადგილსამყოფლად აქცია.

დეტალურად აღარ აგიწერ, როგორ გამოიყურება ვონჯა ახლა. გეტყვი, მხოლოდ, რომ ახლა მთელი დღეების განმავლობაში სოფელში დადის და სევდიანად მღერის: "მხოლოდ სიყვარული მწყუროდა. მინდოდა, ვინმეს ვყვარებოდი". ხან ხმადაბლა მღერის, ხანაც - ხმამაღლა. და მარტოდმარტო ცეკვავს.

ჩემი საბრალო, საბრალო მეგობარი.

ზოგჯერ მანგოს ხეს შორიდან მოვუვლი ხოლმე, რომ ვონჯა არ დავინახო.

უბრალოდ, გული მტკივა, როდესაც მას ვხედავ.

იმედი მაქვს, არ დამადანაშაულებ იმაში, რომ ეს ამბავი მოგიყევი. შენ ხომ თვითონ მთხოვე ეს. შემეძლო მხოლოდ ის მეთქვა, თუ სად შეიძლება მოიპოვო სიყვარულის ნექტარი, მაგრამ შენ გაინტერესებდა, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის დალევას. და ახლა ყოველივე იცი.

გამხნევდი, ჩემო კარგო. ის, რაც ვონჯას შეემთხვა, იშვიათად ხდება ხოლმე.

ამ რჩევას არ მოგცემდი, დარწმუნებული რომ არ ვიყო შენს სულიერ სიჯანსაღეში. ასე არავითარ შემთხვევაში არ მოგექცეოდი. სიყვარულის ნექტარი ერთადერთი ცნობილი წამალია ვნებით შეპყრობილი ან გულგატეხილი ადამიანებისთვის და, საერთოდ, ყველასთვის, ვის გულსაც მკურნალობა სჭირდება. თუკი გთხოვ, რომ სიყვარულის ნექტარი მოჰპარო შენი სოფლის ქურუმს, რომ ხიფათში ჩაიგდო თავი, რის გამოც სოფლის მამასახლისმა სოფლის მოედანზე შეიძლება ორმოცი წკეპლა დაგარტყას შიშველ უკანალზე, ისე, რომ მთელი სოფელი გიყურებდეს, შენ კი დედას, მამას და ყველა წინაპარს შებღალავ, მიშველეთო, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ვიცი - სიყვარულის ნექტარზე უკეთესი წამალი არ არსებობს.

თანამედროვე ახალგაზრდებმა, სამწუხაროდ, ბევრი რამ როდი იცით.

როდესაც ხედავ ბედნიერ წყვილებს, რომლებიც საღამოობით ვერანდებზე სხედან და ფიალყურს ადევნებენ თავიანთ მოთამაშე ბავშვებს, ალბათ, გგონია, რომ თითოეულმა მათგანმა იპოვა სწორედ ის ადამიანი, რომელიც სჭირდებოდა და ახლა ტკბება ბედნიერი ოჯახური ცხოვრებით. სისულელეა. უაზრობა და სისულელეა. სიყვარულის საზღაური აუცილებლად უნდა გადაიხადო - ნურასოდეს დაივიწყებ ამას.

დიახ, არიან წყვილები, რომლებსაც ბედმა არგუნა ბედნიერება, მაგრამ უამრავი ადამიანია ისეთი, რომლებმაც ქურდობისა და სიცრუის საშუალებით გაიკვალეს გზა სამარადისო სიყვარულისკენ.

ხომ იცნობ ბებერ გიტას, ჭის მახლობლად რომ ცხოვრობს შენს სოფელში? რა თქმა უნდა, იცნობ. შენ ხომ მის შვილიშვილებთან მეგობრობ. მახსოვს, გიტას ქმრის, იკოლოს გასვენებასაც დაესწარი ერთი თვის წინ. მეგობართან ერთად ვიჯექი, რომელიც განუწყვეტლივ მელაპარაკებოდა იმაზე, თუ როგორი სანიმუშო ცოლი იყო გიტა, რომელმაც ქმარს რვა შვილი გაუჩინა, რომ შვილებს, თავის მხრივ, ოცდაათი შვილი ეყოლათ, რომ გიტა და იკოლო შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ, რომ იკოლომ ახლა მშვიდად უნდა განისვენოს, რადგან გიტასთან ერთად ბედნიერად იცხოვრა. მაგრამ თითქმის არავინ იცის ის, რაც მე ვიცი, და ვიცი ის, რომ გიტამ ბედნიერება სიყვარულის ნექტრის წყალობით მოიპოვა.

ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვები, განგაცვიფრებს.

იმ დროისათვის, როდესაც ამ ამბის მოყოლას დავამთავრებ, უკვე დაეჭვდები, მართლაც ასეთი საყვარელი ქალია თუ არა ეს სანდომიანი მოხუცი გიტა.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, და რაც მოხდა, იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ შენს სოფელსა და მიმდებარე სოფლებშიც ერთი ახალმთვარეობიდან მეორე ახალმთვარეობამდე ადამიანები მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ.

როდესაც გიტა თვრამეტი წლისა იყო, ის და მისი ბიძაშვილი გოგონა, ტიტი ქორწილში წავიდნენ. იმხანად ქორწილებს ისევე იხდიდნენ, როგორც - ახლა: პატიჟებდნენ ნათესავებს, საცოლის ან სასიძოს ნაცნობ-მეგობრებს, ზოგიერთი იმიტომ მიდიოდა, რომ უხაროდა პატარძლის გათხოვება ან სასიძოს დაქორწინება, მაგრამ ბევრ სტუმარს მხოლოდ ის უნდოდა, რომ კარგა გემრიელად დანაყრებულიყო და სასმელიც მიერთვა. და კიდევ - მთელი ღამის განმავლობაში ვარსკვლავებქვეშ ეცეკვა. რა თქმა უნდა, ქორწილის დროს ახალგაზრდა ქალები თავს იწონებდნენ მათ მიერ შეკერილი კაბებით ჭაბუკების წინაშე, რომლებიც საცოლეებს ეძებდნენ.

ამგვარად, გიტა და მისი ბიძაშვილი - საუკეთესო მეგობრები - სხვებთან ერთად ისხდნენ საპატარძლოს ოჯახის წევრთა მახლობლად და ტაშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრავდნენ, როდესაც ორი ოჯახი შეთანხმდა პატარძლის გამოსასყიდის ოდენობაზე. ბიძაშვილები ახვა სტუმრებთან ერთად ცეკვავდნენ, როდესაც საპატარძლო გამოიყვანეს მისი სახლიდან და საიძოს წარუდგინეს.

როდესაც გიტა და მისი ბიძაშვილი ცეკვავდნენ, როდესაც მედოლეები უკრავდნენ და მღეროდნენ, გოგონებს ყურადღებით აკვირდებოდა მოხდენილი ყმაწვილი, რომელიც მალე მათკენ გამოემართა. გიტამ შენიშნა ის და გული აუჩქროლდა. ყმაწვილს თვალები უბრწყინავდა, თეთრი კბილები უელავდა. მან გიტას ჩაუარა და ტიტისთან მივიდა.

ტიტიმ უცნობისკენ ზურგშექცეული იდგა. წარმოიდგინეთ მისი გაოცება და აღტაცება, როდესაც უცნობი მის წინაშე დადგა და ჰკითხა, რა გქვიაო. გიტა წყვილს შუაში ჩაუხტა. "თქვენ ხომ ჩემი სახელის გაგება გსურთ!" - უთხრა მან ყმაწვილს და თვალები ისე აახამხამა, თითქოს მამაკაცები ქალებს თვალების სწრაფი ხამხამის მიხედვით აფასებდნენ. ყმაწვილმა თავი გააქნია. "არა, ამ მშვენიერ გოგონასთან მოვედი" - თქვა მან და ტიტიზე მიუთითა. გიტა იმედოვნებდა, რომ ტიტი ყურადღებას არ მიაქცევდა ამ ყმაწვილს ან გულუბრყვილოდ ჰკითხავდა, რად გინდათ ჩემი სახელის შეტყობაო. მაგრამ ტიტი ასე არ მოქცეულა - და განა რომელი ქალიშვილი მოიქცეოდა ასე იმ ჭაბუკის წინაშე, რომლის ხელფეხი იროკოს ხის ტოტებივით მკვრივი და ძლიერი იყო?

ტიტიმ ჩაიხითხითა და უცნობს თავისი სახელი უთხრა. მეორე დღეს ყმაწვილი ეწვია გოგონას მის სოფელში, და იქ დარჩა მომდევნო დღეს, და კიდევ ერთ დღეს. სახლის მეორე ნაწილიდან გიტა აკვირდებოდა, როგორ ნეტარებდა მისი ბიძაშვილი იმ ყმაწვილის მახლობლად, რომელიც გიტას თაყვანისმცემელი გახდებოდა, ტიტისთან რომ არ მისულიყო ქორწილის საღამოს, სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო. მახსოვს, პატარაობისას, ქალები, რომლებიც ვერანდებზე არაქისს არჩევდნენ, ჰყვებოდნენ ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ წაართვა გიტამ თავის ბიძაშვილს საქმრო; ზოგიერთი ამბობდა, რომ გიტა იმ ყმაწვილის ფერმაში მივიდა და შესთავაზა, ბატატისა და კვახების ვამარგვლაში მოგეხმარებიო, ყმაწვილმა კი, უბრალოდ, გაუღიმა და უთხრა, დიდი მადლობა, ამ ამუშაოს თვითონ გავართმევ თავსო. სხვების თქმით, გიტამ სცადა დაეშორებინა ქალ-ვაჟი და ამ მიზნით ტიტის უთხრა, რომ მის შეყვარებულს, სულ ცოტა, ორი ქალი ჰყავდა შერჩეული საცოლედ. იმასაც ჰყვებოდნენ, რომ ერთხელ გიტა ორი დღის განმავლობაში იწვა მაღალი სიცხით, ერთგვარი სიყვარულის ციებ-ცხელებით - მაგრამ ბევრი ქალი უარყოფდა ამ ჭორს და ამბობდა, რომ გიტა მართლაც ავადმყოფობდა.

მაგრამ არავინ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ ტიტის ქორწილის მოახლოებასთან ერთად გიტა, რომელიც მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა, კვლავ ისეთივე მოყვარული ბიძაშვილი გახდა ტიტისთვის, როგორიც ყოველთვის იყო. ქორწინებამდე ხუთი კვირით ადრე ის ტიტის მკერავ ქალთან მიჰყვა და თავის ბიძაშვილთან ერთად აღტაცებით ლაპარაკობდა იმის შესახებ, როგორი არაჩვეულებრივი იქნებოდა ქორწინების დღე, როგორ დაკლავდნენ მამაკაცები ნიწილებს, თხებსა და ღორებს; როგორ შეგროვდებოდნენ ქალები მზის ამოსვლის წინ, რომ სიმღერებისა და ცეკვების თანხლებით შეეწვათ თხის ხორცი, მწიფე ბანანები და ღორის ბეჭები; როგორ იმღერებდნენ დაქირავებული გუნდები მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ზეიმი გაგრძელდებოდა და როგორი ბედნიერი ცხოვრება ელოდა ტიტის.

მაგრამ ტიტი არ გათხოვილა.

ქორწინებამდე ცხრა დღით ადრე იკოლოს მშობლები ტიტის მშობლებს ეწვივნენ და უთხრეს, რომ უცნაური რამ ხდებოდა: იკოლოს ქორწილის გაუქმება სურდა. აღარ ფიქრობდა, რომ ტიტი მისთვის ერთადერთი შესაფერისი საცოლე იყო.

როგორ ტიროდა ტიტი...

ის და გიტა იკოლოს სოფელში მივიდნენ. ტიტი მივარდა იკოლოს და სთხოვა აეხსნა მისი გადაწყვეტილების მიზეზი. მათ ირგვლივ ხალხი შეგროვდა. იკოლო განუწყვეტლივ იმეორებდა, რომ წუხდა, გულწრფელად წუხდა, მაგრამ ცოლად ვერ შეირთავდა ქალს, რომელიც აღარ უყვარდა. რატომ აღარ გიყვარვარო, ჩააცივდა ტიტი. იკოლო არაფერს პასუხობდა. სიმართლე უთხარიო, უყვიროდნენ მათ ირგვლივ შეკრებილი ქალები, რომლებსაც მამაკაცებმა არაერთი ტკივილი მიაყენეს და რომლებიც, შესაძლოა, იმედოვნებდნენ, რომ იკოლოს პასუხი სალბუნივით დაედებოდათ უამრავ ნაიარევზე, რომლებიც გულზე დაჩნეოდათ. იკოლოს მშობლებიც კი შეუერთდნენ ბრბოს და სთხოვდნენ თავიანთ ვაჟს, ეთქვა, რატომ გადაიფიქრა ტიტიზე დაქორწინება. გონიერი მშობლები იყვნენ და იმედოვნებდნენ, რომ თუ შვილისგან პასუხს ვერ მიიღებდნენ, ყოველ შემთხვევაში სირცხვილის ლაქას მაინც ჩამოირეცხავდნენ.

არაფერი გამოუვიდათ.

ატირებული ტიტი თავის სოფელში დაბრუნდა. გიტა ეხვეოდა და ანუგეშებდა ბიძაშვილს.

როგორ მოხდა, რომ სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ იკოლოს მშობლები გიტას დედ-მამის სახლში მივიდნენ და უთხრეს, იკოლოს გიტას ცოლად შერთვა სურსო?

ოჰ, რა ტკივილი მიაყენა გიტამ თავის ოჯახს მამაკაცის გულისთვის.

ტიტის მამა ისე გარდაიცვალა, რომ თავის ძმას, გიტას მამას არ დალაპარაკებია. ვერ გაეგო, რატომ მიიღო მისმა ძმამ იკოლო სიძედ მას შემდეგ, რაც იკოლომ ტიტი უმიზეზოდ მიატოვა.

მაგრამ რა უნდა ექნა გიტას მამას? მას ხომ ხუთი გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდა. სასიძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ები რომ დაეწუნებინა, ქალიშვილები შინ ჩაუბერდებოდნენ.

გიტას და იკოლოს ქორწილს მცირეოდენი ხალხი დაესწრო.

მე ვიყავი იქ დედასთან ერთად, რადგან დედაჩემი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ყველა წვეულებას ესწრებიან. მახსოვს, მაგიდებზე უამრავი საჭმელი ხელუხლებლად დარჩა.

გიტას და იკოლოს ქორწილამდე ჭორაობდნენ, თითქოს გიტა ქურუმს ეწვია. ათი წლისა ვიყავი, როდესაც ეს მოხდა და ჯერ კიდევ მახსოვს, როგორ ვეკითხებოდი თავს, რატომ ნაართვა გიტამ საქმრო თავის ბიძაშვილს, რომელთანაც ერთად აიდგა ფეხი, რომელთან ერთადაც იცინოდა და ტიროდა. ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემ. შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ გიტას გულწრფელად სჯეროდა: იკოლომ უდიდესი შეცდომა ჩაიდინა, როდესაც მას გვერდით ჩაუარა და ტიტისთან მივიდა. შეცდომა, რომელიც გიტას უნდა გამოესწორებინა ყველას სასიკეთოდ.

იმის შესახებ, რომ გიტამ დახმარებისთვის ქურუმს მიმართა, მისი ქორწილის შემდეგაც ჭორაობდნენ.

არავინ იცოდა, სახელდობრ რომელ ქურუმს მიმართა გიტამ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ქურუმის ჩაურევლად ის ვერაფერს შეძლებდა. არც ერთი საღად მოაზროვნე მამაკაცი არ გადაიფიქრებს ერთ ქალზე ქორწინებას იმისთვის, რომ - სულ რამდენიმე თვეში მისი ბიძაშვილი შეირთოს ცოლად. არც ერთი ჭკუათმყოფელი მამაკაცი არ მიატოვებს თავის სახლს და ცოლის სოფელში არ გადასახლდება, იკოლო კი, გიტაზე დაქორწინებიდან ერთ კვირაში - სწორედ ასე მოიქცა. ოჯახის წევრები ცდილობდნენ გონს მოეყვანათ ყმაწვილი და ეუბნებოდნენ, რომ, ჩვეულებრივ, მამაკაცი თხოულობს ცოლს და არა - პირიქით, და რომ გიტას იკოლოს სახლში უნდა დაედო ბინა, მაგრამ ჭაბუკი თავისას არ იშლიდა.

როგორც კი ქალ-ვაჟი დასახლდა გიტას ერთ-ერთი ნათესავისგან მემკვიდრეობით მიღებულ სახლში, ხალხში ხმა გავარდა, რომ იკოლო ყოველ დილით ხვეტდა სახლს - ამაზე უფრო უარესი რამ კი ვერავის წარმოედგინა. როგორც ჩანს, ნექტარი, რომელიც გიტამ იკოლოს დაალევინა, იმდენად ძლიერმოქმედი იყო, რომ იკოლო გიტას ტანსაცმელსაც რეცხავდა, აუთოებდა კიდეც და სამზარეულოშიც ეხმარებოდა ცოლს. ალბათ, ტვინის დიდი ნაწილი დაუზიანდა და ამიტომ არ შეეძლო, საღამოობით ვერანდაზე დაესვენა და პალმის ღვინით დამტკბარიყო (როგორც ამას ნებისმიერი ღირსეული მამაკაცი სჩადის), სანამ მისი ცოლი თავის მოვალეობებს ასრულებდა.

ყველა იმედოვნებდა, რომ მომდევნო წვიმების სეზონისთვის იკოლო შეიცვლებოდა და გიტას მიატოვებდა, მაგრამ ამგვარი არაფერი მომხდარა. წყვილს ჯანსაღი ბავშვი შეეძინა, მათი ოჯახი კი კვლავ მყარი იყო. მათ ერთმანეთი ისევე ძლიერ უყვარდათ, როგორც - ქორწილის დროს. ნაშუადღევს ყველა ხედავდა ვერანდაზე მჯდომ, ხელიხელჩაკიდებულ ცოლ-ქმარს.

მალე მათ მეორე შვილიც შეეძინათ.

გავიდა წლები. როგორი ნექტარიც უნდა დაელია იკოლოს, მისი მოქმედება არ შესუსტებულა. მალე ყველას დაავიწყდა, როგორ მოექცა გიტა ტიტის, რომელიც მოგვიანებით სხვა კაცზე გათხოვდა და სიცოცხლის ბოლომდე თავისი ბიძაშვილი არ უხსენებია. სოფლელებს დაავიწყდათ, რომ სიყვარულის ნექტარი იმ ბედნიერების საფუძველი იყო, რომელიც გიტას და იკოლოს სახლიდან მოედინებოდა, და, რადგან ადამიანებს იზიდავს ბედნიერება, ყველანი ცდილობდნენ, ზიარებოდნენ გიტას და იკოლოს სიხარულით აღსავსე ცხოვრებას.

ისე მოხდა, რომ გიტა და იკოლო სოფელში ყველაზე უფრო პოპულარული წყვილი გახდა. მათ სახლში სტუმრები არ ილეოდნენ - ყველას სურდა, ემხიარულა ამ სახლში, რომელიც სიყვარულის ნექტარზე იყო აგებული.

ამაში ხომ თვითონ დარწმუნდი, ასე არაა? მაშინაც კი, როდესაც მათ რვა შვილი და უამრავი შვილიშვილი ეყოლათ, როდესაც ისინი მხრებში მოიხარნენ და კბილები დასცვივდათ, გიტა და იკოლო კვლავ ხელიხელჩაკიდებულნი ისხდნენ ხოლმე თავიანთი სახლის ვერანდაზე, შვილებისა და შვილიშვილების გარემოცვაში.

ჰოდა, თუკი გთავაზობ რამე უჩვეულოს ჩადენას, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ეს იმიტომაა, რომ მინდა, შენც ეზიარო უჩვეულო ნეტარებას. კიდევ ერთხელ გავიმეორებ - ბევრმა ადამიანმა იპოვა თავისი სატრფო ისე, რომ სიყვარულის ნექტარი არ გამოუყენებია და ერთ-ერთი მათგანი მე ვარ, მაგრამ შენ მე არ მგავხარ. მე რომ მგავდე, ახლა ცალმხრივი სიყვარულით არ დაიტანჯებოდი.

როგორი ბედნიერიც უნდა ვიყო საკუთარ ოჯახში, როდესაც დასაძინებლად ვწვები, მაინც ვონჯაზე ვფიქრობ. ნეტავ, ხომ არ შევცდით, როდესაც ვუბიძგეთ, ბულუს გულის მონადირება ეცადა? მაგრამ სხვა რა უნდა ექნა? როგორ უნდა ეპოვა სიყვარული? შეეძლო, ბულუსთვის მთვარე და ვარსკვლავები ეჩუქებინა, მაგრამ მის სიყვარულს მაინც ვერ მოიპოვებდა. რა გასაკვირია, რომ ვონჯას შინიდან წასვლის შემდეგ სამი თვის თავზე ბულუ განიკურნა და ცოლიც შეირთო - ქალი, რომელიც სულაც არაა ისეთი ღირსეული პიროვნება, როგორიც ვონჯა იყო.

ახლა ისინი ბედნიერნი არიან და შვილებიც ჰყავთ, თმაგაწეწილი და ტანსაცმელშემოფლეთილი ვონჯა კი დახეტიალობს და მღერის: "მხოლოდ სიყვარული მწყუროდა. მინდოდა, ვინმეს ვყვარებოდი".

**The New Yorker**
**22 მარტი, 2021**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცოტნე ავსაჯანიშვილი

# მეთორმეტეკლასელები



ახმეტელის მეტროსთან, კიბეებიან ტოტალიზატორში, რომლის შესასვლელიც ძალიან ჰგავს იტალო-ამერიკული ბარების კონსპირაციულ გასასვლელს, ხუთი ლარის გასამაზად ადიოდნენ არასრულწლოვანი ნიკუშა აკობია და მისი ძმაკაცები, გიო ფარესაშვილი და სოსო შვანგირაძე. შვანგირაძე ახურებდა, გინდა თუ არა უკვე ზროსლებს ვგავართ, ჩვიდმეტისები ვართ და შეგვიშვებენ, მე შემიშვეა გუშინწინო. აი ნიკუშა შეიძლება არ შეუშვან, წვერი არ ამოსდისო.

ბილეთი ერთად გააკეთეს და ოცი კუში შეკრეს, რო ასი ლარი მაინც მოეგოთ. აკობიამ კიევო-კალიარის ნაკლები დაწერა. ფარესაშვილმა რეალის ლაბავოი ორიანი ვილიარეალთან და ადებაიორის უეჭველი გოლი ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან. საერთოდაც, კუში სწორედ ადებაიორის გოლმა გაბერა, მაგრამ ისე ჩანდა, ზუსტად ეგ გატეხავდა ბოლოს. შვანგირაძე კი ცოტა მოდებილო იყო და ბარსას ერთიანი დაწერა ხეტაფესთან.

ტოტალიზატორის წინ საჩებურეკესთან ვილაცა გლდანელი იგროკი ბირჟაობდა. ეცვა შავი უნარწერო მაიკა და ნიუ ბალანსის ბოტასები. მოდით აქაო - ბიჭებს დაუძახა. თქვენ ხო მეორელები ხართო? ამათ - რა მეორელები, ლიქიორელები ვართო. ვააარ, არადა მეორელებს გავხართ, ჩემ პატარა ძმებსო. მერე ფიქრობდა, უბანს რა მნიშვნელობა აქ მაინც ხურდები უნდა მეთხოვაო და ბრაზობდა, რომ გადაავიწყდა.

“ზდაროვა.” - ტოტალიზატორის დაცვას ეუბნება შვანგირაძე.

“რამდენი წლისები ხართ?” - წარბი აწია დაცვამ.

“ცხრამეტის!” - წამოიძახა აკობიამ.

“ყველა, ტო?”

“კლასელები ვართ...” - გასძვრა შვანგირაძეს.

“დავაი ნახუით ბიჯო აქედან.” - კარს ჩაავლო ხელი დაცვამ.

“მაიცა ეეე, ჯგუფელები უნა ეთქვა.” - აყვირდა აკობია.

“ჰოო, პირველ კურსზე ვარ და ვერ შევეჩვიე რა.” - ალუღლუღდა შვანგირაძე.

“ეგ ჩანთები რაღაა?!” - გაიცინა დაცვამ.

“სტუდენტებსაც გვაქ ჩანთები.” - ჩაერია საუბარში გიო ფარესაშვილი.

“მანახე აბა რა გიდევს.” - ჩანთისკენ გაიწია დაცვამ.

“კაი ჩვენხელა არ ყოფილხარ ტო? ორ კვირაში ვხდებით თვრამეტის, შეგვიშვი რა.” - აწუწუნდა შვანგირაძე.

“სამივე ორ კვირაში ხდებით?”

“ხო რა...”

“არ გავხართ ერთმანეთს და ტყუპები ვერ იქნებით.”

“ეეე, მასე რეზიც ხო არ გავს იმ ორს...” - გაიცინა შვანგირაძემ.

“რეზი არაა ტყუპი, შეჩემა!” - დაიღრინა აკობიამ.

“კაი აახვიეთ ეხლა, დავიღალე.”

“ძმურად მაყუთს და ქალალდს მოგცემთ და შენ მაინც დაგვიდე, ტო.” - ხუთლარიანი გაუწოდა გიომ.

“აახვიეთ-მეთქი, ბიჭო!” - დაცვამ კარი მოიჯახუნა.

“აუ, შვანგირ, იმენა ზარალი ხარ რა.” - თქვა ნი-

კუშამ.

"მე რა შუაში ვარ შეჩემა, ჩანთებზე დაგეწვა."

"წამო, წამო ჩებურეკი ვჭამოთ." - საჩებურეკესკენ წავიდა გიო.

"რა ჩებურეკი, საჩალიჩო გვაქ მაყუთი." - არ ნებდებოდა შვანგირაძე.

"რა აბიზალოვკაა, რად გინდა?" - ჰკითხა გიომ.

"ბანკეტისთვის ლიმუზინი ხო უნდა დავიადოთ. გაჭედავენ გოგოები. შიგნით შამპანურები, სიგარები, რამე. იმენა ტოპ ჰარდები გავეძრობით. მაგრა გაასწორებს. პროსტა უნა მოვიგოთ რა. სახლში არ მოგვცემენ მაგის მაყუთს. ისედაც ორასი ლარი უნა დადონ რესტორნის."

"ლიმუზინი არა ისა. მამაჩემის მანქანით წამოვალ მე." - გაიბლატავა აკობიამ.

"მე ვაბშე მკიდია ბანკეტი. მაგარი ქაჯობაა. პროსტა მაწვებიან სახლიდანაც და მასწავლებლებიც. აუ მართლა, სად ვუცადო ბანკეტს, ეს გავკუროთ რა." - გიომ ჩანთიდან ათლარიანი სიგარა ამოიღო.

"მე არ მინდა." - იუარა ნიკუშამ.

"ბიჭო, ხო აღარ თამაშობ და რატო არ ეწევი?" - დაიბნა შვანგირაძე.

"არ მინდა რო მოვკვდე და იმიტო."

"ეს გაჟანაა, არ მოგკლავს. მაიტა გიო რა."

"მაცადე რა ორი წუთი." - გიო სიგარას ნაპასებს ურტყამდა.

"რა გოიმია ნახე, სიგარას ნაპასებით ეწევა." - დასცინა შვანგირაძემ.

"სიგარეტი არ გვაქ და იმიტო ბიჭო. ამ ხუთი ლარით სიგარეტს ხოარ ვიყიდით, ცოდოა ნიკუშა. აპა, მიდი გამოართვი ხუთი ჩებურეკი მართლა."

"ხუთი რათ გვინდა?"

"ორი მე მინდა, დალშე თქვენ იცით რავი."

"ბიჭო, გიზი რატო არ მოდის ბანკეტზეე?" - იკითხა აკობიამ.

"დასადებ ორას ლარს ასი უნა დავამატო და გიტარა ვიყიდოო. ბენდი უნა შეკრას. ჭკვიანია, თქვენ კიარ გგავთ."

"ჩვენ რა... შენც მოდიხარ." - თქვა შვანგირაძემ და ჩებურეკები ჩამოარიგა.

* * *

ბანკეტზე მეწყვილეები ვიყოთო, შესთავაზა ახლადგადმოსულმა გუჯამ სათვალიან მაიას. გუჯა უკრავდა ფანდურზე და დოლზე. ტომით იმერელი, ჩუმად ოცნებობდა ხევსურობაზე და მღეროდა დოლრიალა სიმღერებს კისკისა ქალებსა და ალესილ კლდეებზე. ფიქრობდა, ვისაც ეს ყველაფერი არ უყვარს, სამშობლოს მოღალატეაო. მისი საყვარელი მიმართვის ფორმა იყო "ძმი", საძულველი კი - "ბრო."

აქამდე მაია ბიჭებს მხოლოდ წყევლიდა და ეტლიკინებოდა. ბიჭებსაც ნერვები ეშლებოდათ და მაგრად დასცინოდნენ, ხან პრიჩოსკაზე, ხანაც ბანძი მუსიკების მოსმენის გამო. ერთხელ ვალერი ლეონტიევის კაზანოვა უპოვეს ტელეფონში და მთელს სკოლაში გაუბაზრეს. გუჯამ კი ლადაობის გარეშე გაუშანსა რომანტიკული ზახოდი და მაიამაც ეგრევე მოიხსნა სათვალე. სახეც გაუნითლდა, როგორც ბუხართან მიფიცხებულ ჩუქჩას, თოვლში დიდხანს ბუტრაობის შემდეგ.

გუჯას პირველი ნაბიჯის მერე მაიას მაგრად გაეხსნა და ბიჭს შესთავაზა, მაინც [illegible] ბი ვართ და მართლა ლოველები [illegible] თვალებს მოვთხრი და თან ბანკეტზეც ყველა ფოტოში ჩვენ ვიქნებითო. კაცმა რომ თქვას, გუჯა სულაც არ გახლდათ საოცრად გამოხატული აპოლონი და არც არაფერი ჰქონდა საამაყო გონებრივ თუ ფიზიკურ მახასიათებლებში. მაგრამ მაიას ეგ ფეხებზე ეკიდა. ისედაც სძულდა აპოლონები, რადგან არც თავად იყო თამთა სირაძე. მაია ყოველთვის ბრაზობდა აპოლონებზე, რადგან მათ მისთვის არასდროს ემეტებოდათ ლამაზი სიტყვები. სინამდვილეში ეგ მაია იყო მჟავე და უხასიათო, მაგრამ ვინ იტყვის მაგას, ცუდი რალაცები ჩემი ბრალიაო. ამიტომაც ეკიდა ფეხებზე მაიას, მისი ახლად გამომცხვარი ლავსთორი თავიდან რომ გაიკვირვეს, მაგრამ მთლიანობაში მაინც არავის რომ შურდა. მერე რა, რომ ჩემი ბიჭის ერთადერთი უპირატესობა ჯოკრის დიდოსტატური თამაშიაო. სამაგიეროდ სკოლის მერე რესტორანში დაიწყებს მუშაობას მომღერლად და კაი ხელფასი ექნებაო - ფიქრობდა მაია.

მაიას ბანკეტი მისი პირადი ბენეფისი და შურისძიება რომ ეგონა, სწორედ ამიტომ უთხრა დამრიგებელს საბანკეტო დარბაზს მე და გუჯიკო მოვძებნით და მერე ვარიანტებს ჩამოგითვლითო.

ორი კვირა დაბოდიალობდნენ მაია და გუჯა ხელჩაკიდებულნი თბილისის თეთრკედელა რესტორნებში. ეს ყველაზე ბედნიერი ორი კვირა იყო სათვალიანი მაიას ცხოვრებაში.

"მაიკო, რესტორანი გაგრა მოგეწონა?" - ჰკითხა გუჯამ.

"კი, მაგრამ იმ დამპალმა ფარესაშვილმა დაგვცინა კომენტარში. გაგრაში ვინ შეგიშვებთ, ოჩამჩირემდეც ვერ მიყალთო."

"ეგ რას ნიშნავს?"

"მე რა ვიცი. ბავშვობიდან ეგრე იგონებს რაღაცებს და დაგვცინის თავის ჭკუაში. ჯაან წკვიანი გონია თავი."

"კაი მიდი დაპოსტე აბა, კრუიზიც მოგვეწონათქო."

"მაცადე." - მაიამ კლასის ჯგუფში რესტორანი კრუიზის ფოტო ჩააგდო.

"დაწერეს რამე?"

"ჯერ არა... არა, მოიცა. აუუუუ, კიდე ეს დამპალი ფარესაშვილია!"

"ჩასაფრებულია, ტო? გავუხევ თავს. რაო რას ამბობს?"

"ვერ გაუხევ, ბიჭები მაგას დამასტავენ. მოიცა წავიკითხო. ბანკეტის ღამეს კრუიზი რომ დაინგრეს და მტკვარში მის რომელიღაც ნატეხზე აღმოჩნდე, გუჯას ადგილს დაუთმობ თუ როუზივით გაიმხლართებიო?"

"ეგ რას ნიშნავს?"

"არ ვიციიი!! გაეთრიოს რა. რატო შემოიყვანეს ჩვენს კლასში საერთოდ."

* * *

საღამოს ვერიკო ჩაჩუა და თამთა სირაძე უბანში ტასაობდნენ. მაისი მაგრად უყვარდათ გოგონებს, რადგან გამომწვევად გაზმანვაზე მაისში უკვე ხსნილი იყო. თამთას ჯინსის მოკლე კაბა ეცვა, ველოს ტრაკზე მოჭერილი ტყავის შარვალი. თამთას კაბა ძონძებში იყო ნაყიდი, მაგრამ ვაიკიკში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზმანულ ვერიკოს ნაშობაში და ელეგანტურობაში სადაც გინდა იქ ჩახევდა.

ვერიკოა მარჯვენა ხელში აიფონ რომელიღაცა ეჭირა, მარცხენაში ცელოფანი, რომლიდანაც დაქალები ალუჩას ჭამდნენ, ოღონდ ნელა და დაკვირვებით, რომ გზად ვინმე სიმპატიურ ნაცნობს არ შეემჩნია როგორ ახრამუნებდნენ.

თამთას მაგრად არ უნდოდა, რომ საიდანმე მამამისი გაჩითულიყო. ამ კაბას თავზე დამახევს და ხალხში შემარცხვენსო - ფიქრობდა.

"აუ, დაჯე იქ რა, თამსიუ. დავილალე ბოდიალით." - პატარა სკვერისკენ მიუთითა დაქალს ვერიკომ.

"აუ ვილაცები არიაან..."

"ბავშვები არიან, დაიკიდე."

"კაი მიდი."

"მომეფარე რა. ნაცნობმა არ გამოიაროს ვინმემ." - ვერიკომ მენთოლიან მარლბოროს მოუკიდა.

"დამიტოვე."

"მეწყვილედ ვინ გყავს ბანკეტზე ბოლო-ბოლო?" - ჰკითხა ვერიკომ.

"ნამიკომ თქვა მე წამოგყვებიო."

"ჰაჰაჰაჰა... არ ლადაობ?"

"არა. ვანომაც მითხრა, რომ მეც მირჩევია რო მანაშენმა იმასქნასო."

"ვანოს არ შემოუშვებენ ბანკეტზე ხო იცი?!"

"ველაპარაკე დამრიგებელს და როგორც ჩემს ფოტოგრაფს, ისე შემოუშვებენ. თუ არ შემოუშვეს ისე გაჭედავა, მეც არ გამომიშვებს."

"აუ რა ეჭვიანი მასტია. ნიკუშა თუარ ჯობდეს ათასჯერ."

"რა ნიკუშა გოგო, ეგ არც მესალმება."

"რა პონტში?"

"რავი, იმ დღეს სკოლაში, მეთქი პრივეტ ნიკუშ და ნივიღუ დამირტყა. მერე ბოლო ზარზე, მეთქი ნიკუშ რამე დამაწერე და ჯერ კინაღამ ნახუი გამიშვა და მერე მარტო გილოცავ დამაწერა."

"აბა რა გეგონა..."

"რავიცი."

"ისე ორი წლის წინ დაადე და აქამდე არ მისალმებიხარ? რო იძახი, აიო, იმ დღეს არ მომესალმაო..."

"არააა... ხოიცი რო მრცხვენოდა, რეებს მეკითხები."

"ხო რავი. ისე ეგეც და გიოც მაგარი ლამაზი ბავშვები არიან."

"აუ არ დამიტოვეეე?"

"დამავიწყდა. იზვინი. აუ ნაღდად გინდა შენ ვანოსნაირი ეჭვიანი ქმარი?"

"რავი. უეჭველი მაგას უნა გავყვე. მაგან გამზარდა ფაქტიურად."

"აუ, წამო სემიჩკას დავითრევ."

თამთა და ვერიკო გზის მეორე მხარეს მარკეტ "თეაში" გადავიდნენ. სკვერში კი დარჩნენ მათი სკოლელი მერვეკლასელები.

"გავიწიე მე ბრატცი." - წამოდგა ერთ-ერთი მერვეკლასელი.

"სად მიდიხარ ტო, სონებში არ ავიდეთ?" - ჰკითხა მეორე მერვეკლასელმა.

"ჩამოვალ მანამდე."

"სირაძეზე დაანძრევს და ჩამოვა." - ხითხითებდა მესამე მერვეკლასელი.

* * *

უცნაურია დამამთავრებელი კლასის ბოლო დღეები. დღეები, როცა ყველა დადის სკოლაში და მეცხრე კლასში გაგდებული ოროსნებიც ჯოგებად ბრუნდებიან მშობლიური და გაუცხოვებული დაწესებულების ეზოში, იქნებ ბანკეტზე ჩვენც გაგვჩითონო. ასეთ დღეებში ყველამ შეიძლება იტიროს. ზუბრიაჩკა ათოსანმაც და შურიანმა გოგონამაც. ცინიკოსმა სნობმაც და მომავალმა პრეზიდენტმაც. პოპულარულმაც და შეუხედავმაც.

მსოფლიოში ყველაზე ცივი და პრაქტიკული ჩრდილო ევროპელი ბანკირიც რომ იყოთ, ნურასდროს გაგიკვირდებათ სენტიმენტების მანიფესტაცია, როცა რაღაცის სამუდამო დასასრულის მოახლოვებას იგრძნობთ.

სულაც კალბასის ცეხის დაცვად რომ მუშაობდეთ... ათი წელი თუ იმუშავებთ კალბასის ცეხის დაცვად, წამოსვლისას აუცილებლად იტირებთ. მოგენატრებათ კორფუჯის ციცქნა შავთეთრი ტელევიზორი, რომელიც თქვენს საყარაულო ჯიხურში გიხალისებდათ ცხოვრებას. ბოლოს და ბოლოს, უამრავი საფეხბურთო მატჩი გექნებათ ერთად ნანახი. იქნებ, მსოფლიოს ორიათასექვსი წლის ჩემპიონატის ფინალიც.

სწორედ ამიტომ, დამამთავრებელი კლასის ბოლო დღეებში, ყოველ საღამოს სკოლის კიბეებთან ბირჟაობდნენ მეთორმეტე კლასის მოსწავლეები. ერთმანეთის და სკოლის დაკარგვის შიშით გათანგულები. ისევ ცანცარებდნენ, სერიოზულად არაფერს აღიარებდნენ, მაგრამ სულ ერთად უნდოდათ ყოფნა. ალბათ, ერთმანეთი სულაც ფეხებზე ეკიდათ, მაგრამ სადღაც იმასაც ფიქრობდნენ, ეხლა რო დავიშლებით, ბავშვობაც დაიშლება და დიდობა კიდე არ გვინდაო. თავიდან უნდოდათ, რომ დიდები ყოფილიყვნენ, მერე მიხვდნენ, რომ ჯერ არ შეეძლოთ და შეშინებულები შვებას ისევ ერთმანეთში ეძებდნენ. ჭამდნენ მარილიან მზესუმზირას, სვამდნენ ლარიან გერმანულ ლუდს და მარიაჟობდნენ საზაფხულო ზმანებით.

ეს იყო პერიოდი, როცა ცინიკოს გიო ფარესაშვილს გულის სიღრმეში ოდნავ მაინც უყვარდა შურიანი სათვალიანი მაია. როცა ნიკუშა აკობიამ ცოტა ხნით მაინც აპატია თამთა სირაძეს ვანო ხრიკულის პასტაიანკობა. როცა სოსო შვანგირაძე და ვეკო ჩაჩუა ერთმანეთს ეკრძალობოდნენ და ვერიკო არ ფიქრობდა, ეს მძრეველი შპინგალეტი რაღას მეტენებაო...

"გიო შენ სად აბარებ?" - ჰკითხა თამთა სირაძემ გიო ფარესაშვილს.

"ილიაში." - მოკლედ მოუჭრა გიომ.

"რა გინდა მაგ იაღოველების კანტორაში ტო?" - მეორე კუტოკიდან გამოეხმაურა გიოს ფანდურა გუჯა.

"ფრენა უნა ვისწავლო." - უპასუხა გიომ.

"ჩამეხუტე..." - მაჯებზე დაეჯაჯგურა გუჯას სათვალიანი მაია.

"ეგა ვარწყევ ბოზი ვიყო." - ჩურჩულებდა ნიკუშა აკობია.

"არ იზასაონ თორე გამეცინება შენძმობასფიცავარ." - ჩურჩულებდა შვანგირაძეც.

"გუჯექს, შენ კონსერვატორიაში აპირებ?" - გიომ გუჯას კითხვა შეუბრუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"რა ბრაატ?!"

"კონსერვატორიაში აბარებ?"

"მანდ რა მინდა?"

"რავი მუზიკანტი ხო ხარ..."

"მერე კონსერვი რა შუაშია?"

"გეპეიში უნდა გუჯას." - განმუხტა სიტუაცია მაიამ. იცოდა, რომ ჩხუბი თუ ატყდებოდა გარშემო ყველა გიოს დაიცავდა.

"შენ რას აპირებ ძეტკა?" - თამთას მიუახლოვდა გუჯა.

"შიგ ხოარ აქ ამას ე?" - კვლავ აჩურჩულდა ნიკუშა.

"დანყნარდი. რამე ნიტო და მაია გაწენავს." - დაამშვიდა გიომ.

"ნიკუშ, კიდე გიყვარს თამთა ბიჭოო?" - დაიბნა შვანგირაძე.

"მე ვთხოვდები." - უპასუხა გუჯას სირაძემ და მორცხვად ჩაიღიმა.

"ვა სალოლ. ქართული ოჯახი და რამე." - თქვა გუჯამ და მაიასთან დაბრუნდა.

"გიო, შვანგირ, წავედი მე რა!" - ნერვიულად წამოიყვირა ნიკუშამ.

"დაიცა, მოვდივართ ჩვენც." - გიო და შვანგირაძე აკობიას მიყვნენ.

"ეეე, სად მიდიხააართ?! მე არ მითქვამს ჯერ სად ვაბარებ დამპლებო." - წამოიკივლა ვერიკო ჩაჩუამ.

"სად აბარებ?" - მოტრიალდა გიო.

"სეუში იასნა."

"სალოლ." - თქვა ფარესაშვილმა და გზა გააგრძელა.

"აუ გუშინ აივანზე გავედი და ძაან სასაცილო ფურცელი ვიპოვე." - დაიწყო თამთამ.

"რა ფურცელი?" - ცალყბად გახედა მაიამ.

"აუ რავი, გავშალე და რაღაცები ეწერა. ვანო და ნიკუშა დამპლები არიახო და მე ყველაზე ძაან მიყვარხარო. დებილის ნაწერს გავდა. უბანში ვინმე დებილი გყავს?" - სერიოზულად იკითხა თამთამ.

"რამდენიც გინდა. სამნი მარტო აქ იყვნენ წეღან." - წაკბინა ბიჭებს მაიამ.

"აუ ზეგ ბანკეტი გვაქვს. არ მჯერა იმენა." - თამთას პადრუჩკა დაეკიდა ვერიკო ჩაჩუა.

* * *

სკოლის ეზოში ძალიან ბევრი შუა ხნის ქალბატონი იქნევდა მარაოს. არც თუ ლამაზად და ისე, როგორც სჩვევიათ მეორე ხარისხოვან კვარტლებში დაბერებულ, ოდნავ მოპუტკუნებულ, სევდიან ადამიანებს.

ამ ქალებიდან ზოგი შვილს მიჰყვებოდა ბანკეტზე, ზოგს ფერადი კაბების ნახვა უნდოდა, ზოგი კი, რესტორანში დაპატიჟებული მასწავლებელი იყო. აქა-იქ უტყვი მამები აბოლებდნენ სამამულო წარმოების პაპიროზ "პირველს". დედ-მამებს დაუდგათ ჟამი გალიების გახსნისა და ბელურების გაფრენისა. ზოგი დარდობდა, ზოგს ეშინოდა, ზოგი ბრაზობდა... ზოგი იძახდა - გაიზარდა არა, ჩემი ფეხები, ერთი ნიტო დვიჟენია და დედა აქ მოტყნულიო. იყვნენ ისეთებიც, ვისაც უხაროდა. გახარებულები ფიქრობდნენ - აეხლა ჩემი გოგო სკოლას დაამთავრებს, მერე მუშაობას დაიწყებს, მერე საჭმლის ჩალიჩს დაამულამებს და მერე ნახუი ქირით და ფრიდოოომ, ფრიდოოოომ, პარარამპამპაო...

ეზოს პერიფერიებში გუნდებად იდგნენ მეცხრემეათე კლასელი უპატრონოები. მაგრად უყვარდათ ბანკეტის პრელუდიების ყურება. სიცილით იხეოდნენ ბიჭების გოიმური პიჯაკების დანახვაზე. გოგოებზე კი არაერთგვაროვანი შეგრძნებები ეუფლებოდათ.

ფიზკულტურის დარბაზში ჭაჭით იჟყიპებოდა კლასიკურ ჟილეტში მაგრად შეკრული სოსო შვანგირაძე. ღიპიანი შვანგირაძე მაგრად ჰგავდა პინგვინს. ზმანიც პინგვინისას მიუგავდა. მიგნით თეთრი, გარშემო კი შავი, როგორც იმ ფილმში, ბეტმენი რომ ბოროტ პინგვინს ერევა.

სათვალიან მაიას ეცვა იასამნისფერი კაბა. ესვა დოხუია ტონალური და ეკეთა შეყვარებული გუჯა. ეკეთა ძალიან მაგრად და დედამიწაზე არავის მეეძლო მისთვის გუჯას მოძრობა. მაიას გუჯა მაშინაც კი არ სძვრებოდა, როცა ბიჭი მანქანის რულს ატრიალებდა. სწორედ ამიტომ, სანამ სკოლის ეზომდე მივიდოდნენ, სათვალიანი მაია არა მანქანის უკანა, ანუ საპატიო სავარძელზე, არამედ წინ, მძღოლის, ანუ გუჯას გვერდით იჯდა, რომელიც მამამისის პრიუსის მართვას ვერავის ანდობდა და ამიტომ, რესტორანში მისვლამდე წვეთის დალევას არ აპირებდა. მერე დავთვრები, მანქანასაც იქ დავტოვებ და ხვალ დილით წამოვიყვანო - ფიქრობდა ფანდურა გუჯა.

"რას იპრანჭები, შე ჩემისავ, არ ვიცოდეთ მაინც რა ხარ, შენი დეის პროჭი მოვტ..." - ბუტბუტებდა მთვრალი სოსო შვანგირაძე, რომელიც ფანჯრიდან უყურებდა სკოლის ეზოს და ყველას აგინებდა, მაინც არ ესმითო.

"ზდაროვა გუჯექს ტოოო..." - გუჯას მიადგა გიო ფარესაშვილი.

"გაუმარჯოს ბრატ. გილოცავ." - ხელი გაუწოდა გუჯამ.

"რას ტო?" - ვითომ ვერ მიხვდა გიო.

"დამთავრებას რა..." - ენა დაება გუჯას.

"აუ არა. მე მიტყდება. მაგრა მევასება სკოლა."

"იზვინი. აბა მე რა ვიცოდი... ეგ რა გაცვია?!" - გუჯა გიოს მაიკით დაინტერესდა.

"ფარფლია. იცი ფარფლი?"

"არა. რაარი?"

"როკ-ბენდია. ყველაზე თესლი."

"როკერი ხარ? ღმერთის არ გწამს?"

"შენ რა გაცვია?"

"რავი როგორც არი ჩვენ ქართულ ტრადიციებში..."

"ჩვენ ტრადიციებში ბანკეტი ყაბში არ არი."

"არაა? რავი ყველა იმასშვება სულ და."

"გიოოოოო, წამო რა. შვანგირა დაიკარგა." - თავისკენ იხმო ფარესაშვილი ნიკუშა აკობიამ.

* * *

მხოლოდ თამთა სირაძეს ჰყავდა პირადი ფოტოგრაფი. დანარჩენები ტელეფონებით იღებდნენ ფოტოებს და კლასის მიერ დაქირავებულ ფოტოგრაფს უცდიდნენ, რომელიც ძალიან ბევრ დროს ანდომებდა სკოლის ეზომდე მოსვლას.

მხოლოდ თამთა სირაძეს ჰყავდა პირადი ფოტოგრაფი, რადგან თუ ფოტოგრაფია ხელოვნებაა, მაშინ მხოლოდ თამთა სირაძე იმსახურებდა ფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა




ტოების გადაღებას.

მხოლოდ თამთა სირაძეს ჰყავდა პირადი ფოტოგრაფი, რადგან მისი საქმრო ვანო ხრიკული ექვიანი ბიჭი იყო და მის გარდა ვერავინ გადაუღებდა ფოტოებს თამთაჩო დებილაჩოს. რავი, ობიექტივში ან ტრაკი არ მოაახლოვონ, ან ძუძუო... - ფიქრობდა ვანო ხრიკული.

"აუ ვანიკო გადაგვიღე რააა..." - დაუჯღანა ხრიკულს ვერიკო ჩაჩუა.

"გადი გოგო იქით."

"აუ სიყვარულო, მართლა რა. რა პონტია. მარტო ჩვენ გვყავს ფოტოგრაფი და არ გვიღებ." - აწუწუნდა თამთაც.

"გადაგიღო ის კიარ ვარ ბოზიშვილივიყო..." - ბუტბუტებდა ხრიკული.

"აბა რას წამომყევი?"

"ხმა ეხლა, ბოზიშვილივიყო." - თვალები დაქაჩა ხრიკულმა.

"ბიდა ფოტოგრაფი რო მოვა, ის გადამიღებს!" - არ თმობდა თამთა.

"გადაგიღებს და გადავაყლაპებ ლენტებს."

"ჰაჰაჰაჰა. რა გაიხსენა. თამთუ შენ გახსოვს ლენტიანი აპარატები?" - უადგილოდ ჩაერთო ვერიკო ჩაჩუა.

"აბა რა ვქნა ვანოოო, შენ არ მიღებ და დავრჩე ისე?" - ცრემლი მოადგა თამთას.

"მაიცა ცოტა დავთვრები და გადაგიღებ შეჩემა. აჰა მამენტ ცოტა გახურდით. დაილოცეთ." - ხრიკულმა მუცლის ჩანთიდან ნახევარლიტრიანი კონიაკის ბოთლი ამოიღო და ვერიკო ჩაჩუას მიაწოდა.

"აი იმენა ჩვენ გაგვიმაჯოს და ჩვენ მომავალს და მიზნებს და რავი, ოდესმე თუ დავამთავრებდი, რას ვიფიქრებდი და რავი აი, უბედნიერესი თუარ ვიყო." - მოიქოქა ჩაჩუა.

"აუ, აი თუ მჯეროდეს პროსტა." - თქვა და გადაკრა თამთა სირაძემაც.

ყველაზე შორეული ხის გვერდით კი იდგა კაცი, რომელსაც ბევრი რამ უტყდებოდა, ბევრი რამ ეზარებოდა, ყველაფერზე ბრაზდებოდა და ნერვებს უმლიდა ქალიშვილის სილამაზე. ის იდგა მარტო, როგორც ყველა სერიოზული ადამიანი. სწევდა თუთუნს და არ ხსნიდა შუბლს, როგორც ყველა ბრაზიანი ადამიანი. ეს იყო ალეკო სირაძე, თამთა სირაძის მამა და ნანა ურუმაშვილის ქმარი. ალეკო სირაძე ძალიან ხშირად სვამდა არაყს და უყურებდა ჩხუბებს, რუსული გახმოვანებით. ყველაზე მეტად უყვარდა "ბრუსლი ვ იტალიი". ყველაზე ნაკლებად ჯეკი ჩანის ყველა კინო. მისი თანამეცხედრე, ქალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი ნანა ურუმაშვილი ოპერის მომღერალი იყო, ათას ცხრაას ოთხმოცდა თოთხმეტ წლამდე. შემდეგ ალეკო გაიცნო. ერთი წლის შემდეგ ქვეყანას თამთაჩო მოევლინა. მამა სულ ეჩხუბებოდა თამთას, ნუ იპრანჭები და ლამაზი ნუ ხარო, მაგრამ თამთა მაინც ლამაზი იყო და ბიჭებსაც ეზასავებოდა. მამას რომ ეს სცოდნოდა, ეგრევე გააგდებდა მშვენიერ ასულს მერეს დედათა მონასტერში, სადაც ასწავლიდნენ ქარგვას, გალობას და წერა-კითხვასაც კი.

"ალეკო ბიძია როგორ ხართ?" - მიეჭრა ალეკოს ნიკუშა აკობია.

"ვა ზდაროვა. შენ რომელი ხარ?"

"თამთას კლასელები ვართ." - ჩაერთო საუბარში გიო ფარესაშვილი.

"ეგ იასნია. მაგ ჩემისას ბანკეტია და... მარა ეგ რა გაცვია შენა?" - ამრეზით შეხედა ალეკომ გიოს.

"ფარფლია."

"ვა ბიტლები? მაგარია ბიტლები. მაგათი სოლისტი ირტყამდა ხოიცი? მერე დაიბრიდა. ულვაშები ქონდა. ბარსელოონააა..."

"ეგ ფრედია."

"ხო რავი რაც ერქვა. მარა ეხლა რატო გაცვია? ბანკეტზე მიდიხარ თუ სან-რემოზე?"

"სან-რემო რაღაა?"

"რავი რაღაცაა. მღეროდნენ ადრე ეგეთი გაწეწილი როყეები. ტოტო კუტუნიო ხო იცი?"

"კაი გიო ნამო შევაკეთოთ." - ხელი ჩაავლო გიოს ნიკუშამ.

"რა უნდა შეაკეთოთ ტო?" - დაინტერესდა ალეკო.

"არა, ალეკო ბიძია, ჩვენ ვაბშე არ იმასვშვებით. პროსტა ბანკეტი როა, მაგ პონტში..." - ბუტბუტებდა შერცხვენილი ნიკუშა.

"შემახვედრებთ?" - თვალები უბრწყინავდა ალეკოს.

* * *

მელიქიშვილის გამზირი ხომ არ ჩავურთოთო, შესთავაზა სკოლის დირექტორმა სასწავლო ნაწილს. აქედან ჯავახიშვილში ვერაფინ მოეწყობა და ტყუილად გული უნდა დავწყვიტოთო, გააჩერა სასწავლო ნაწილმა. არადა ამ სკოლის მოსწავლეებმა სულაც არ იცოდნენ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მელიქიშვილის გამზირზე იყო. ერთხელ კი ჰყავდათ ექსკურსიაზე მერვე კლასში, თუმცა მეორე დღეს ყველა იძახდა რუსთაველზე ვიყავითო.

გუჯა მღეროდა სევდიან სიმღერას ვაჟა-ფშაველას ახალგაზრდობაზე. ფანდური ბანკეტზეც მოჰქონდა. მას შემდეგ რაც გაიგო, რომ დარბაზში სცენაც იქნებაო, მაგაზე ოცნებობდა. ოცნებობდა, რომ ოდნავ მთვრალი, ოდნავ სველი და ძალიან თეთრსაროჩკიანი მოფერებოდა სამშობლოს და საყვარელ ადამიანებს თავისებურად და თანაც ძალიან ბევრი ხალხის, ასკაციანი აუდიტორიის, თითქმის ნახევარი მსოფლიოს წინაშე.

"აუ რამე ისეთ პონტში გააჯაზე რა..." - ჩამოსძახა კიბეზე ჩამომჯდარ გუჯას თამთა სირაძემ.

"მე უცხოურებს არ ვუკრავ ძეტკა."

"ქართულად გააჯაზე. უცნობის რამე არ იცი?"

"არა."

"ოოოო, აბა ისე გოიმობებს იმასშვებიიი."

"ეგრეა. ეხლა ყველაფერ ნამდვილს და ქართულ[...] დასცინით."

"აუ შენ იმენა ის ხარ ხო? დავით ალმაშენებელ[...] რო უყვართ და რაღაც."

"წყაროზეს დაგიკრავ, გინდა?"

"არ ვიცი, რომელია ეგ?"

"სირაძე, რა ხდება აქ?!" - სახეაწითლებული მოვარდა სათვალიანი მაია.

"რავი, მუსიკებს ვაკერევიებ."

"ამასთან არ გაგივა ეგენი გაიგეე?!" - ცრემლები წასკდა მაიას.

* * *

სკოლის უკან, სწორედ იქ, სადაც დიდი ბეტონის ფილებია წარწერით "მერანი 91", ფოლგაში მაგრად ჩაპრესილ გამხმარ ნიწვებს ენეოდა ალეკო სირაძე. მიამიტი კაცი იყო ალეკო სირაძე და დაიჯერა, რომ მისი შეილის კუანა კლასელებს მაგარი პლანის შოვნა შეეძლოთ. თანაც იტყუებოდნენ ნაბიჭვრები, უზბეკურია, ეხლა ნახე როგორ გაგიხსნას, ალეკო ძიაო. ალეკომ კი ისიც დაიჯერა, რომ ძალიან მაგრა დაიბოლა და ფრენასაც მოახერხებდა, გასატეხი რომ არ ყოფილიყო ამხელა დასტოინი მუჟიკი კაცი ადგა და გაფრინდაო.

"უი, ალეკო ბიძია, გილოცავთ." - დაიწყო აკობიამ.

"რას მილოცავ, ბიჯო?"

"რავი კაი ბიჭია. ბედნიერები იქნებიან."

"ვინ ბიჭი, ტო?"

"თამთას საქმრო. აგე ფოტოაპარატი რო ჰკიდია. მოიცა, თქვენ არ იცით?!"

"ჩემი დედა მო.... მაგათ მოუ.... თამთააააა, შენი დედა შევეციიიიი!!!" - მოუვლელი ალეკო სირაძე ძალიან სწრაფად გაიქცა სკოლის წინ შეკრებილი გაპრანჭული ადამიანებისკენ.

ასე დასრულდა თამთას და ვანოს სიყვარულის ისტორია, რადგან ხრიკულს მაგრად ეკიდა იმ კაცის შვილთან ქორწინება, ვინც ორასი კაცის წინ კვერცხებში ამოარტყა, წააქცია, ფოტოაპარატი თავზე დაალეწა და თან უყვირა - სანამ შენ შვილს გამიფორმებ, მე დედაშენს გავაფორმებ შე ჩემის ფარაჯანოვოო. ფარაჯანოვს ფოტოგრაფობის გამო ეძახდა. ალბათ, იურა მეჩითოვის თქმა უნდოდა...

თამთა ტიროდა. ტიროდა ვეკო ჩაჩუაც. მერე ყველანი საქეიფოდ წავიდნენ. ვეკო ჩაჩუაც წავიდა. თამთა კი იჯდა სკოლის კიბეზე და ფიქრობდა, ბარემ ეროვნულ გამოცდებზე ხომ არ გავიდეო?!

"გაწყენინეს ხო?"- თავს წაადგა მერვეკლასელი.

"შენღა მაკლიხარ რა." - არც შეხედა თამთამ.

"დედას გეფიცები მსოფლიოში ყველაზე ძაან მე თუარ მიყვარდე. მამაშენმა რო მცემოს, მაინც არ დაგახვევინებ."

"კაი ბიჭი ხარ." - გული აუჩუყდა თამთას.

"მე მოგწერე ის წერილი."

"აუ... მე კიდე დებილი მეგონე. თურმე პაწუნა ხარ." - გაიცინა ატირებულმა სირაძემ.

"ოეეეეე, სად წახვედით, თქვე ბოზებოო?!!" - ბოლო სართულის ფანჯრიდან თავი გამოყო სოსო შვანგირაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიმა ბახუტაშვილი



***

რამდენიმე ცხოვრება მქონდა
ერთში უცხო ენიდან შემოსული მოუქნელი ზმნა ვიყავი
კომფორტს ვერსად მივაგენი
შინაარსი ვერსად დავთესე
კავშირი ვერ დავამყარე მყოფადთან

რამდენიმე ცხოვრება მქონდა
მეორეში ყველაფერი დავკარგე
დავრჩი ორი-სამი პოპულარული მოსაზრება
ლოზუნგური სიმართლე
პლაკატების პრიალი
და სამოქალაქო თვითშეგნება

რამდენიმე ცხოვრება მქონდა
ერთში სტატისტიკას ვითვლიდი და ვისწავლე,
რომ 300 ათას აცრილ ბავშვზე რამდენიმე დაღუპული ნორმაა და სიკეთეა
რადგან ამ პოპულაციაში ამავე დაავადებით
უფრო მეტის გარდაცვალების რისკებს გამორიცხავს
სახელმწიფო კი ღმერთზე ღმობიერია

რამდენიმე ცხოვრება მქონდა
ერთში პოეტი ვიყავი
ყველაფერი მქონდა გარდა კეთილხმოვანი სახელისა
რომ მრქმეოდა გარსია ლორკა ან გიიომ აპოლინერი
მეც შედევრებს გამოვაცხობდი
მაგრამ ღმერთო რა ცუდად ჟღერს ეს დიმიტრი ბახუტაშვილი



რამდენიმე ცხოვრება მქონდა
ერთში პოლიტიკა მიყვარდა
ტრამპი კენედის ციტირებდა
კიმ ჩენ ინი რაკეტებს აგებდა
ვენესუელაში რუსები ხლართავდნენ ინტრიგებს
ჩინეთის კომუნისტური პარტია კრიპტოვალუტის ტოტალური კონტროლისთვის გამოყენებაა გეგმავდა
შიმშილით მოკვდა ჩემი მეზობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ცხოვრება მქონდა
ერთში მზარეული ვიყავი
პირველი კერძი უსახსრობის გამო ვერ გავაკეთე
მეორისთვის ახალი ხორცი ვერ ვიშოვე
მესამესთვის მოტივაცია შემომაკლდა
და პოეზიას დავუბრუნდი.

* * *

ჰრქუა იესუ პეტრეს:
დადევ მახჳლი ქარქაშსა!
სასუმელი, რომელი მომცა მე მამამან,
არა შევსუაა იგი?

ვიხილე შენი წერილი,
ქათქათა ბარათი,
არც მოკლე, არც გაწელილი,
არც სავსე დარდუბალათი.
ვიცანი, ცრემლი მადინა,
სხვა სიხარულში შეველი,
რატოა ასე ადვილად
დასანვავ-დასახეველი
იმის უბრალო სინათლე
ტანში ზღვასავით გაშლილი?
სიზმარშიც აღარ მიმართლებს:
ხან, ხელები აქვს წაშლილი,
ხან, ხმას ვერ აწვდენს, სანყალი,
ვაი, რას აღარ ვიზამდი,
რომ თვალში მედგეს სხვა წყალი
ამ სულის მეგობრისათვის.
-
სოფლის ხენეში მინდვრიდან,
მზეს სად ნახაედა ღიღილო,
სანამ მზე ჩამოიელიდა,
ჩემო ღიმილის ღიმილო,
ის ვიცან
ვგავარ რომელსაც -
შენი სიცოცხლის წყაროდან,
რა მწარე წყალიც მომეცა
ზუსტად იმდენი მკმაროდა.

* * *

ერთხელ, ყველაფრით დაღლილი,
ყველა სიკვდილის შემდეგ,
ნანანნალები ძალლივით
შენს ცრემლის წყალთან შევდექ.
ვიცოდი, ვერ მიმიღებდი,
ვერ მოაღწევდი ჩემთან
შენ - შვიდი და-ძმის იმედი
შენ - ასი ბიჭის დედა.
ვიცოდი, შემოგცქეროდი
ჩემი გამშრალი ჭიდან
და ისევ იმას ემღეროდი
რაც ბავშვობიდან მჭირდა:

გზა იყო, მაგრამ არც იყო
თოვდა და არცა თოვდა,
ცოცხალი წყალმა წაილო,
მკვდარი იმ წყალსა მთხოვდა.
მე სულ პატარა ვიყავი
ბნელში ვეძებდი ლუკმებს,
დამსდევდა ყოფის ჭილყვავი
არ მამყოფებდა უკეთ.
-
სად შენი დიბის საბანი
შენი მინჯაფის ზედა,
სად ჩემი დაუსაბამო
და უსურვილო სევდა.
რადგან ამ სიკვდილს ვერ ამხსნი,
ამ საბნებს ველარ დახევ,
ცრემლები მაინც შემასვი
ცრემლით მომბანე სახე.

* * *

ჩემი უკვდავი სული ხარ
ნუ ეფერები წკვარამს,
რომელმაც არც მიგულისხმა,
არათუ შემიყვარა.
იქნება ვერც ჰყო გულისხმა,
ისედაც ეჭვით მამჩნევ,
დამპალი მეგაპოლისის
შიშველ ზღაპარში დამრჩე.
იქნებ საერთოდ ვერ მიხვდე
ხვეწნა-ძახილის წყვეტილს,
ვერ დაიბერტყო ფეხიდან
ბრჭყვიალა სამხეცეთი...
გიგზავნი ცრემლის ბარათებს,
"მოვალს ღრუბელთა თანა",
შენ, ვინც ჩემს მკერდში ანათებ,
ვინც ჩემ ეშმაკებს თვალავ.
შვიდივე შვიდი ფერიდან,
სამი ჩიტიდან ერთი,
გამოდი შენი ბნელიდან
ჩემს სიბნელეში შედი.

* * *

დაიწერა და იქმნა
გაფერადდა და გაჩნდა
გულის გულისკენ მირქმა,
უუნაზესი განცდა.
მუფარახო და ბრძამო
ჩემო უტკბესო სულო,
ერთხორცო, ერთოცალო,
მინდვრების დასასრულო.
გულისხმავ, დარდისგოგოვ,
ცხადო და შესახებო,
როგორ მიყვარხარ, როგორ,
საკუთარ სხეულს ვერ ვცნობ.
მომენატრე და ახდი,
ვამბობ, ვამბობ და გხედავ,
ვინაა შენზე ნაღდი
საყვარელი და დედა?!
საითაც გინდა გახე,
საითაც გინდა მიცან,
გჩუქნი საკუთარ სახელს,
განდობ ლურსმანს და ფიცარს.
შეყვარებულის დარდით,
უფსკრულებიდან ცამდე,
სადმე გიპოვი ნამდვილს,
ნამდვილს გიპოვი სადმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სიკვდილი ჩემი ლვიძლი ძმა არის
გაგაცნობ, როცა ჩემთან იქნები
მოგისმენია გლოვის საარი?
მოგასმენინებ და ჩაფიქრდები.
აქეთ არაა მზე და ნიავი
ყინულის ცეცხლით წვავს ჩემი ღამე,
გზად ვერ შეხვდები ადამიანებს
და მით უმეტეს ვერ შეიყვარებ.
ბნელია ჩემი ბინა და ტანი
ხშირად მძულს თავი, როგორც მძულს სხვები,
გაგიჭირდება, რომ ამიტანო,
დაგისველდება ცრემლით მუხლები.
ღმერთს ირონიით რას ვაჯობებდით
რა გზები ხატა, როგორ შეგვყარა,
აჰა, დღეები უგამარჯვობო,
მიიღე ჩემი ზიზღის ქვეყანა.
როგორ შემომწვდი მაგსიშორიდან,
ხელები მხრებში როგორ ჩამკიდე
და სანამ სტუმრად ძმები მოვიდნენ,
რა უცნაური გახდა მაგიდა.
როგორ გამომყვა შენი სურნელი,
ორი შავი მზით როგორ გამათბე,
მაგრამ შენ არ ხარ ვინმე სულელი
და იცი, არც მე ვარ მოღალატე,
სიკვდილს ერთგული ძაღლივით ვიცავ,
სიკვდილს ვუმღერი, სიკვდილს ვემდობი,
ჩემი არსობის პურია შიშა,
ჩემი სულია უამინდობა.
გაგიჭირდება ჩემთან დარჩენა,
ჩემი ცისფერი თვალების ხათრით
და ნეშინია ცრემლი გაჩვენო
ამ თვალებიდან, რომლებიც დათხრილ
ორმოებს გვანან, ნაღმების მერე,
ეგება ვინმემ ესაც დაგვეგმა.
აგატირდები და მოწეფერე,
თუ აიყვარულში სახლი დამენგრა.



* * *

ბაღის გოგოა ჩემი გოგო, ბაღმა დაფარა,
ბაღმა დაიცვა, დაუყვავა, ბაღი ემშობლა,
ბაღის სულია ჩემი გოგო, ბაღი პატარა,
სულ პატარაა, ჩემი ცხელი სულის ეზოდან,
ჩემი გამლილი უდაბნოდან, მტკივან თავიდან
ბაღია შრიალა ფოთლები ჩანს, ბნელი და ცივი,
ეუმზერ ისეთი დაჟინებით, ლამის გავგრილდი,
ლამის ფესვები ამოვგლიჯე ზღაპრის კაცივით.
მაგრამ დიდი ვარ სამოთხისთვის, მოუხეშავი
მტვრიანი, ცხელი, მოუქნელი, შეუსაბამო,
შორია ბაღი, სანუკვარი და საესავი,
და ყველა დილა მეზიზღება, ყველა საღამო,
სადაც ჩემ გოგოს ბაღი ფარავს, ნატერფალებზე
კვლავ ამოდიან გვიმრები და არაბიკები,
სადაც დავეძებ, ან ვკვდები და აღარ დავეძებ,
მზეში ვიქნები, ვიქნები თუ აღარ ვიქნები.

* * *

სხივმა გამოხრა ნისლები
სულიც მეწვის და ხორციც
სინათლის შხამით ვივსები,
ბნელ კუთხეებში გკოცნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მცველი ძაღლი ვარ, ავეშვი
ჯაჭვიც გამოხრა სხივმა,
ვდგავარ ჯადოსნურ ღამეში,
შენი სიკვდილი ვღირჯვარ,
ყინულის კლდეში მოძვრები
რა ცხელი ხარ და მწარე
მიყეფენ ჯიშის მოძღვრები
ჩემს სახსენებელს წვავენ,
მიწას ჩავხედავ, ჩავყმუვლებ,
თეოზე მიწევს გული,
ვდარაჯობ შენს ლურჯ საცურეს,
შენს ფერად რიდეს ვუვლი.
ფრთა მომაფარე მძინარეს
თუ დავიღლები, თორემ,
სიკვდილი მაინც წინ არის
არც როდის მიგვატოვებს.

* * *

ამ ლექსს შენი თმის ფერსაც ვერ გავუმხელ
და იძულებული ვარ მეტაფორები მოვიფიქრო
ამ საშინელ რეალობაში.
უსულო საგანთა თვისებები აქ არ გამომადგება.
ჯერ ისედაც როგორი შეზღუდული ვარ:
ქვა, ხე, სახლი, ზეცა -
ამათ ვერ სცდება ჩემი ობიანი ენა
და მილიარდ მნიშვნელობას შორის
მხოლოდ შემჩნეულებს იყვარებს
და თანაც, უსულო რაცაა
შენ საერთოდ არ შეგეფერება.
სულიერ საგანთა თვისებებიც დიდად არ გამომადგება,
აქაც ასეა:
ბელურა ჩიტი, თოვლის ქალი,
სახელი ისტორიიდან, ან რომანიდან,
გვარიც შესაძლებელია, -
ამათ სინათლეს და სიცხადეს შენზე ვერ გადმოვიტან,
ფრაზის ელვარებისთვის ჩრდილად ვერ გამოგიყენებ.
არადა, როგორღაც ხომ უნდა აღინიშნო,
ვიფიქრე პირიქით უფრო შეიძლება,
შენი თვისებები სხვებს გავუნაწილო
და ვწერ სახლებზე, ჩიტებზე, ათას სისულელეზე.
სიყვარულით იცვლება კონტექსტი
და ჩიტი ჩიტი არაა
და სახლი სახლი არაა
არც სისულელე გამოდის სისულელე.

* * *

სად მოხვალ ღრუბლის ანგელოზო?
სულ ტყუილად მიღებ ფოტოებს
თავსხმა წვიმაში
მე ფეხიც კი არ ამერევა!

და ამოგძახი ქარის ენაზე, რომ თვალებიდან გაშრე,
აივნებიდან უცხო ბავშვები დამცინიან და სცივათ.
აივნებიდან - უცხო ბავშვები. და არ მაძლევენ საშველს -
აივნებიდან - ჩემი ცრემლები და ბავშვებივით მცვივა.

ერთი ვარსკვლავი - ვიწრო ფანჯარა ამ გზის ბოლოში ლანდობს,
იქვე ტირიფის ძველი კუნძია და შეჩვეული ხველა.
მხოლოდ ტირიფის ძველი კუნძია. და მამა არის მარტო,
ერთი ვარსკვლავი-ვიწრო ფანჯარა, სულ ხელისგულისხელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟილ დელეზი

# რა არის საუბარი? რისთვის არის ის?[1]

ფრანგულიდან თარგმნა გიგლა გონაშვილმა



ინტერვიუ, დიალოგი, საუბარი - ძალიან რთულია "ახსნა". ხშირად, როცა შეკითხვას მისვამენ, თუნდაც იმ შეკითხვას, რომელიც მე მეხება, ვგრძნობ, რომ სინამდვილეში არაფერი მაქვს სათქმელი. შეკითხვებს იგონებენ, როგორც სხვა ყველაფერს. თუ არ მოგცემენ საშუალებას, რომ გამოიგონოთ თქვენი შეკითხვები, რომლებშიც უამრავ სხვადასხვაგვარ ელემენტს მოუყრით თავს, თუ შეკითხვებს "დაგისვამენ", მაშინ სათქმელი ბევრი არაფერი გექნებათ. პრობლემის აგების ხელოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს: სანამ ამოხსნას ვიპოვით, ჯერ პრობლემას ვიგონებთ, პრობლემის ადგილს. ამგვარი რამ საერთოდ არ ხდება ინტერვიუში, საუბარში, დისკუსიაში. რეფლექსიაც კი - იქნება ეს მარტო თუ ორში და სამში - არ კმარა. განსაკუთრებით რეფლექსია არაა საკმარისი. შეპასუხებები კიდევ უფრო უარესია. ყოველ ჯერზე, როცა საწინააღმდეგოს მეუბნებიან, სურვილი მიჩნდება, ვთქვა: "კარგი, კარგი, გადავიდეთ სხვა რამეზე". შეპასუხებებს არასოდეს მოუტანიათ რამე. იგივე შემთხვევაა, როდესაც ზოგად შეკითხვას მისვამენ. მიზანი შეკითხვებზე პასუხის გაცემა კი არ უნდა იყოს, არამედ გამოსვლა, შეკითხვებიდან გამოსვლა. ბევრი ფიქრობს, რომ გამოსვლა მხოლოდ შეკითხვების ტრიალით შეიძლება. "როგორ არის ფილოსოფიის საქმე? მკვდარია ფილოსოფია? გადავლახავთ მას?" ძალიან უხერხულია. კვლავ და კვლავ უბრუნდებიან შეკითხვას, რათა იქიდან გამოსვლა მოახერხონ. მაგრამ გამოსვლა

1 თარგმნილია წიგნიდან: Gilles Deleuze, Claire Parnet, Dialogues. Flammarion, 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე არასოდეს ხდება. მოძრაობა ყოველთვის მოაზროვნის ზურგს უკან სრულდება ან იმ მომენტში, როდესაც თვალებს ახამხამებს. გამოსვლა ან უკვე მომხდარია, ან არასოდეს მოხდება. შეკითხვები, როგორც წესი, მომავლისკენ (ან წარსულისკენ) არის მიმართული. ქალების მომავალი, რევოლუციის მომავალი, ფილოსოფიის მომავალი, ა.შ. მაგრამ ამ დროს, როდესაც შეკითხვების წრეზე ვტრიალებთ, არის ქმნადობები [devenirs], რომლებიც სიჩუმეში აღსრულდება და რომლებიც თითქმის შეუმჩნეველია. მეტისმეტად ვუკირკიტებთ ისტორიას, რომელიც ხან პერსონალურია, ხანაც უნივერსალური. ქმნადობები კი გეოგრაფიაა - ორიენტაციები, მიმართულებები, შესასვლელები, გამოსასვლელები. არის ქალად ქცევა [devenir-femme], რომელიც არ უტოლდება ქალებს, მათ წარსულსა თუ მომავალს და ქალები უნდა შევიდნენ ამ ქმნადობაში, რათა გამოვიდნენ თავიანთი წარსულიდან და მომავლიდან, თავიანთი ისტორიიდან. არის რევოლუციონერად ქცევა, რომელიც არ იგივდება რევოლუციის მომავალთან და არაა აუცილებელი, რომ იგი მებრძოლების [militants] მეშვეობით მოხდეს. არის ფილოსოფოსად ქცევა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ფილოსოფიის ისტორიასთან და რომელსაც უფრო ისინი ახდენენ, რომელთა კლასიფიკაციასაც ფილოსოფიის ისტორია ვერ ახერხებს.

ქმნადობა არასოდესაა მიბაძვა, თავის მოკატუნება თუ რაიმე მოდელთან შეწყობა, თუნდაც ეს სამართლიანობის ან ჭეშმარიტების მოდელი იყოს. არ არსებობს ნიშნული [terme], საიდანაც გავეშურებით, სადაც ჩავალთ, თუ უნდა ჩავიდეთ. და არც ისეა, თითქოს ერთი ნიშნული მეორეს ანაცვლებდეს. შეკითხვა "რად იქცევი?" განსაკუთრებით ბრიყვულია. იმდენად, რამდენადაც ვიღაც იქცევა [რაღაცად], რადაც იგი იქცევა, იცვლება იმდენადვე, რამდენადაც თავად ის. ქმნადობები არის არა იმიტაციის ან ასიმილაციის, არამედ ორმაგი ჩავლების [capture], არაპარალელური ევოლუციის, ორ სამეფოს შორის ქორწინების ფენომენები. ქორწინება ყოველთვის ბუნების საწინააღმდეგოა. ქორწინება წყვილის საპირისპიროა. აქ აღარაა ბინარული მანქანები: შეკითხვა-პასუხი, მამაკაცური-ქალური, ადამიანი-ცხოველი და ა.შ. საუბარიც შეიძლება ეს იყოს - უბრალოდ ქმნადობის მოხაზვა. მაგალითს კი კრაზანა და ორქიდეა გვაჩვენებენ. ორქიდეა თითქოს აყალიბებს კრაზანის ხატს, მაგრამ სინამდვილეში ხდება ორქიდეის კრაზანად, ხოლო კრაზანის ორქიდეად ქცევა, ორმაგი ჩავლება, რადგან "ის, რადაც" თითოეული იქცევა, ისევე იცვლება, როგორც "ის, ვინც" იქცევა. კრაზანა ორქიდეის რეპროდუქციული მოწყობილობის ნაწილი ხდება და, ამავე დროს, ორქიდეა იქცევა კრაზანის სასქესო ორგანოდ. ერთი და იგივე ქმნადობა, ქმნადობის ერთადერთი ბლოკი ან, როგორც რემი შოვენი ამბობს, "ორი არსების აპარალელური ევოლუცია, რომელთაც აბსოლუტურად არაფერი აქვთ საერთო". არსებობს ადამიანის ცხოველად ქცევა, რომელიც არ გულისხმობს კატისა თუ ძაღლის გათამაშებას, რაკი ცხოველი და ადამიანი ერთმანეთს მხოლოდ საერთო, მაგრამ ასიმეტრიული დეტერიტორიალიზაციის გზაზე ხვდებიან. როგორც მოცარტის ჩიტები: ამ მუსიკაში არის ჩიტად ქცევა, მაგრამ მოხელთებული ჩიტის მუსიკად ქცევაში; ორივე ერთადერთ ქმნადობას, ერთადერთ ბლოკს, ერთადერთ არაპარალელურ ევოლუციას აყალიბებს, რომელიც გაცვლა-გამოცვლა კი არაა, არამედ, როგორც მოცარტის ერთი კომენტატორი ამბობს, "განდობა შესაძლებელი მოსაუბრის გარეშე". მოკლედ, საუბარი.

ქმნადობა ყველაზე შეუმჩნეველი რამაა - აქტია, რომელსაც მხოლოდ სიცოცხლეში შევხვდებით და რომელსაც მხოლოდ სტილი გამოხატავს. სტილი, ისევე როგორც ცხოვრების წესი, არ არის კონსტრუქცია. სტილში მნიშვნელოვანი არაა სიტყვები, ფრაზები, რითმები და ფიგურები, ხოლო ცხოვრებაში - ისტორიები, პრინციპები და შედეგები. ყოველთვის შეგიძლიათ ერთი სიტყვა მეორით შეანაცვლოთ. თუ ერთი არ გსიამოვნებთ, თვალში არ მოგდით, მეორე აიღეთ და პირველის ადგილას ჩასვით. თუ თითოეული გაიღებს ამ ძალისხმევას, ყველას შეეძლება ერთმანეთის გაგება და შეკითხვებისა და შეპასუხებების მიზეზი, ალბათ, აღარც იქნება. არ არსებობს საკუთარი სიტყვები, არც მეტაფორები (ყველა მეტაფორა გასვრილი სიტყვაა, მეტაფორა სიტყვებს სვრის). რაღაცის ზუსტად აღსანიშნად მხოლოდ არაზუსტი სიტყვები არსებობს. შევქმნათ არაჩვეულებრივი სიტყვები, იმ პირობით, რომ მათ ძალზე ჩვეულებრივ გამოყენებას მოვუძებნით და ერთეულს, რომელსაც ისინი აღნიშნავენ, ისევე მივცემთ არსებობის საშუალებას, როგორც ყველაზე ჩვეულებრივ, საზიარო ობიექტს. დღეს ჩვენს ხელთაა წაკითხვის და ასევე, ალბათ, წერის ახალი ხერხები. არსებობს უვარგისი და წახდენილი ხერხებიც. მაგალითად, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი წიგნი დაწერილია მიმოხილვისთვის, რომელიც მოგვიანებით ჟურნალისტმა უნდა გააკეთოს, და ისე, რომ მიმოხილვა აღარც კი არის საჭირო: აქ უკვე ცარიელ სიტყვებს (ეს უნდა წაიკითხოთ! დიდებულია! მიდით, ნახეთ!) შეუძლიათ, გადაიბარონ წიგნის წაკითხვისა და სტატიის მომზადების როლი. წაკითხვის კარგი ხერხი კი დღეს ისაა, რომ წიგნის მიმართ გამოვიჩინოთ ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც გვაქვს დისკის მოსმენისას, ფილმის ან სატელევიზიო გადაცემის ყურებისას, მაშინ, სიმღერის მოსასმენად რომ ვემზადებით - ყველა სხვა დამოკიდებულება, რომელიც წიგნისათვის განსაკუთრებულ პატივისცემას, განსხვავებულ ყურადღებას მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ითხოვს, სხვა ეპოქას ეკუთვნის და წიგნისათვის განაჩენი გამოაქვს. სირთულის ან გაგების შესახებ შეკითხვა უადგილოა: ცნებები ხმებივით, ფერებივით ან სურათებივითაა; ისინი ინტენსივობებია, რომლებიც ან გაკმაყოფილებს, ან არა, ან გამოგადგება, ან არა. პოპ-ფილოსოფია. არაფერია გასაგები, არაფერია განსამარტი. მინდა ვთქვა, რა არის სტილი. იგი ეკუთვნის ადამიანებს, რომლებზეც, როგორც წესი, ვამბობთ: "მათ სტილი არ აქვთ...". ის არც რაიმეს მანიშნებელი სტრუქტურაა, არც გააზრებული ორგანიზაცია, არც მყისიერი შთაგონება, არც ორკესტრირება და არც მუსიკალური ნაწარმოები. იგი განლაგებაა, გამოთქმათა [enonciation] განლაგება. სტილი არის ზორძიკამდე მისვლა საკუთარ ენაში. ეს რთულია, რადგან ამგვარი ბორძიკის აუცილებლობა უნდა იყოს. საკუთარ სიტყვაში კი არ ბორძიკობდე, არამედ თავად ენის [langage] ბორძიკი იყო. იყო როგორც უცხო საკუთარ ენაში. ხილული გახადო გაქცევის ხაზი [ligne de fuite]. ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითებია: კაფკა, ბეკეტი, გერასიმ ლუკა, გოდარი. გერასიმ ლუკა დიდი პოეტია უდიდესთა შორის: მან საკვირველი ბორძიკი გამოიგონა, საკუთარი. თავისი ლექსები საჯაროდაც წაუკითხავს, ორასი ადამიანის წინაშე და ეს მოვლენა იყო; მოვლენა, რომელიც ამ ორასი ადამიანის მონაწილეობით მოხდა და რომელიც არც რომელიმე სკოლას ეკუთვნის, არც რომელიმე მოძრაობას. რაღაცები არასოდეს ხდება იქ და იმ გზებით, როგორც ჩვენ გვგონია.

შეიძლება შემეწინააღმდეგონ და მითხრან, რომ ხელსაყრელ მაგალითებს ვიღებ: კაფკა - ჩეხი ებრაელი, გერმანულად წერდა; ბეკეტი - ირლანდიელი, ინგლისურად და ფრანგულად წერს; ლუკა წარმოშობით რუმინელია და არც გოდარია ფრანგი - შვეიცარიელია. მერე რა. ეს არაა პრობლემა რომელიმე მათგანისათვის. ჩვენ ერთ ენაშიც კი ორენოვანი უნდა ვიყოთ, უნდა გვქონდეს მეორეული ენა [langue mineure] საკუთარი ენის შიგნით, უნდა შევძლოთ ჩვენივე ენის მეორეულად გამოყენება. მრავალენიანობა მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რამდენიმე სისტემას ფლობდე, რომელთაგან თითოეული თავისებურად ჰომოგენური იქნებოდა, არამედ ესაა უპირველესად გაქცევის ხაზი ან ვარიაცია, რომელიც გავლენას ახდენს თითოეულ სისტემაზე და ხელს უშლის მის ჰომოგენურობას. ირლანდიელივით ან რუმინელივით კი არ ილაპარაკო სხვა ენაში, არამედ, პირიქით, ილაპარაკო საკუთარ ენაში როგორც უცხომ. პრუსტმა თქვა: "დიდებული წიგნები ერთგვარი უცხო ენითაა დაწერილი. თითოეულ სიტყვაში თითოეული ჩვენგანი დებს აზრს ან ხატს, რომელსაც ხშირად საპირისპირო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ დიდებულ წიგნებში საპირისპირო მნიშვნელობით გაგების ეს შეცდომები ასევე დიდებულია". წაკითხვის კარგი ხერხი ესაა: ყველა საპირისპირო მნიშვნელობა კარგია, თუმცა იმ პირობით, რომ ინტერპრეტაციებისგან კი არ წარმოდგებიან, არამედ ეხებიან თავად წიგნის გამოყენებას, სიმრავლე შემოაქვთ მის გამოყენებაში, ქმნიან კიდევ ერთ

ეროვნული

ენას ენის შიგნით. "დიდებული წიგნები დაწერილია ერთგვარი უცხო ენით..." ესაა სტილის განსაზღვრება. აქვეა ქმნადობის საკითხიც. ხალხი ყოველთვის აღმატებულ [majoritaire] მომავალზე ფიქრობს (როცა დიდი ვიქნები, როცა ძალაუფლება მექნება...). არადა, პრობლემა მეორეულად [minoritaire] ქცევა უნდა იყოს: არა ის, რომ ბავშვს, გიჟს, ქალს, ცხოველს, ენაბრგვილს ან უცხოს მიბაძო და თავი ასეთად მოაჩვენო, არამედ იქცე ამ ყველად, რათა გამოიგონო ახალი ძალები თუ ახალი იარაღები.

ცხოვრებაშიც ასეა. ცხოვრებაში არის ერთგვარი სიტლანქე, მყიფე ჯანმრთელობა, სუსტი აგებულება, ვიტალური ბორძიკი და ეს ვიღაცის შარმია. შარმი სიცოცხლის წყაროა, როგორც სტილი - წერისა. სიცოცხლე არ არის თქვენი ისტორია; ვისაც შარმი არ აქვს, არც სიცოცხლე აქვს, მკვდარივითაა. მაგრამ შარმი არაა პიროვნება. იგი გვანახვებს პიროვნებებს, როგორც კომბინაციებს და იმას, თუ რაოდენ ცალკეული შანსებიდან შეიქმნა ეს კომბინაციები. ესაა გაგორება კამათლისა, რომელიც აუცილებლად იმარჯვებს, რაკი საკმარისად განამტკიცებს შემთხვევას, ნაცვლად იმისა, რომ იგი დაანაწევროს, დაასახიჩროს და ალბათობად აქციოს. თითოეულ მყიფე კომბინაციაში ცხოვრების ძლიერება თავს განიმტკიცებს - ძალით, სიჯიუტით, ტოლდაუდებელი ჟინით ყოფნაში. უცნაურია, რომ დიდ მოაზროვნეებს მყიფე პირადი ცხოვრება, მერყევი ჯანმრთელობა აქვთ და ამავდროულად სიცოცხლე აბსოლუტურ სიძლიერემდე ან "დიდ ჯანმრთელობამდე" აჰყავთ. ისინი პიროვნებებს კი არ წარმოადგენენ, არამედ საკუთარი კომბინაციის ციფრს. შარმი და სტილი წარუმატებელი სიტყვებია; მათი სხვა სიტყვებით ჩანაცვლება აჯობებდა. შარმი სიცოცხლეს უპიროვნო, ინდივიდზე აღმატებულ ძლიერებას ანიჭებს, ხოლო სტილი წერას გარეგან ასრულებს, ნაწერის მიღმა. სხვა სიტყვებით: წერას არ აქვს თავისთავადი მიზანი, სწორედ იმიტომ, რომ სიცოცხლე არ არის პირადული რამ. წერის ერთადერთი მიზანი სიცოცხლეა, რომელიც კომბინაციებში ვლინდება. ეს კი "ნევროზის" საპირისპიროა, სადაც სიცოცხლე გამუდმებით დასახიჩრებული, დამცრობილი, პერსონალიზებული და მოკვდინებულია, და სადაც წერა მიზნად საკუთარ თავს ისახავს. ნიცშე, რომელიც ნევროტიკის საპირისპირო იყო და მყიფე ჯანმრთელობის მიუხედავად - უაღრესად ცოცხალი, წერს: "ხანდახან ისე ჩანს, თითქოს ხელოვანი და განსაკუთრებით ფილოსოფოსი სხვა არაფერია, თუ არა შემთხვევა თავის ეპოქაში... მისი გამოჩენისას და მისი გამოჩენით ბუნება, რომელიც არასოდეს ხტის, აკეთებს ერთადერთ ნახტომს, უფრო მეტიც, სიხარულის ნახტომს, რაკი პირველად გრძნობს, რომ მიზანთანაა, კერძოდ, იქ, სადაც ხვდება, რომ მიზნებზე ხელი უნდა აიღოს და სიცოცხლისა და ქმნადობის თამაშში ძლიერ მოწინააღმდეგესთან ქონია საქმე. ამის შეცნობით იგი გარდაისახება და სახეზე უშფოთველობა მოეფინება, საღამოს მოქანცულობა, ადამიანები რომ "მშვენიერებას" უწოდებენ".

მუშაობის დროს ვერ ავცდებით აბსოლუტურ სიმარტოვეს. ვერც სკოლას შევქმნით და ვერც რომელიმე სკოლის ნაწილი გავხდებით. მუშაობა ყოველთვის თვალს მოფარებულია და საიდუმლოდ ხდება. მაგრამ ეს უკიდურესად სავსე, დასახლებული [peuplee] სიმარტოვეა. მაგრამ სავსე არა ოცნებებით, მოლანდებებით, გეგმებით, არამედ შეხვედრებით. შეხვედრა, ალბათ, იგივეა, რაც ქმნადობა ან ქორწინება. და მხოლოდ ამ სიმარტოვის სიღრმიდან შეგვიძლია ნებისმიერი შეხვედრის განხორციელება. ვხვდებით ადამიანებს (ზოგჯერ ისე, რომ ვერც ვცნობთ ან არც არასდროს გვინახავს) და ასევე მოძრაობებს, იდეებს, მოვლენებს, საგნებს. ყოველ მათგანს საკუთარი სახელი აქვს, მაგრამ საკუთარი სახელი საერთოდ არ აღნიშნავს პიროვნებასა თუ სუბიექტს. იგი აღნიშნავს ეფექტს, ზიგზაგს, რომელიც ხდება ან არ ხდება ორს შორის - შესაძლებლის განსხვავებაში: "კომპტონის ეფექტი", "კელვინის ეფექტი". ქმნადობაზეც ამავეს ვამბობდით: ეს არაა ერთი ნიშნული [terme], რომელიც მეორედ იქცევა, არამედ თითოეული მეორეს ხვდება; ესაა ერთეული ქმნადობა, რომელიც ორში კი არ ზიარდება, რადგან ერთს მეორესთან არაფერი ესაქმება, არამედ ორს შორისაა, საკუთარი მიმართულება აქვს, ქმნადობის ბლოკი, არაპარალელური ევოლუციაა. ესაა ორმაგი ჩავლება, კრაზანა და ორქიდეა: არა რაიმე, რაც ერთში ან მეორეში იქნებოდა, ან რომლის გაცვლა თუ შერწყმაც მოუწევდათ; იგი ორს შორისაა, ორს გარეთაა და სხვა მიმართულებით მიედინება. შეხვედრა არის პოვნა, ჩავლება, მოპარვა; მაგრამ არ არსებობს საამისო მეთოდი - მხოლოდ ხანგრძლივი მომზადება. მოპარვა პლაგიატის, ასლის, იმიტაციის საპირისპიროა. ჩავლება ყოველთვის ორმაგი ჩავლებაა, ქურდობა - ორმაგი ქურდობა და ეს ქმნის არა რაიმე ორმხრივს, არამედ ასიმეტრიულ ბლოკს, არაპარალელურ ევოლუციას, ქორწინებას, "შორის"-ს და "გარე"-ს. საუბარიც ეს იქნებოდა.

*კი, ფიქრებს ვიპარავ*
*მაგრამ სულების ქურდად ნუ დამსახავ*
*რა აღარ ვაშენე და დავაშენე*
*იმას, რაც ლოდინს მისჩვევია*
*რაკი ქვიშაა, ნაპირებზე*
*ციხე-სიმაგრეები რომ უკვეთია*
*მასზე, რაც ღია იყო*
*ჩემამდე დროში*
*სიტყვა, სიმღერა, ამბავი, სტრიქონი*
*გასაღები ქარში გონების გასახსნელად*
*ჩემი ფარული ფიქრების გასანიავებლად*
*რა ჩემი საქმეა, ვიჯდე, თავს ვიქექდე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მიკვირდეს, დროს ვხარჯავდე*
*ვფიქრობდე ფიქრებს, რომლებიც არავის უფიქრია*
*ვფიქრობდე სიზმრებს, რომლებიც არავის ზმანებია*
*ანდაც იდეებს, ჯერ რომ არ დაწერილა*
*ან ახალ სიტყვებს გასარითმად*
*რატომ ვიდარდო ახალ წესებზე*
*ჯერ რომ არ შექმნილა*
*ჰოდა, იმას ვამბობ, რაც მელილინება*
*ვიცი, ამ ახალ წესებს*
*შევქმნით მე და ჩემი მსგავსნი*
*თუ ხვალინდელ ხალხს*
*დღევანდელი წესი ველარ დაუთმია*
*მაშ, შექუჩდით, ბრალმდებელნო*
*სხვა რა ყოფილა სამყარო, თუ არა*
*სასამართლო*
*მაგრამ ბრალდებულთ უკეთ ვიცნობ*
*და სანამ თქვენ დევნა საქმედ გაგიხდიათ*
*ჩვენ ვუსტვენთ*
*სასამართლოს ვასუფთავებთ*
*ვუსვამთ და ვუსვამთ ცოცხს*
*ვუგდებთ და ვუგდებთ ყურს*
*ერთი მეორეს ვუკრავთ თვალს*
*ფრთხილად*
*ფრთხილად*
*თქვენი ჯერიც დგება*

როგორი ამაყი და საუცხოო, მაგრამ, ამავე დროს, სისადავით გამორჩეულია ბობ დილანის ეს ლექსი. იგი ყველაფერს ამბობს. მეც, როგორც პროფესორი, ვისურვებდი კურსის ისე წაყვანას, როგორც დილანი ალაგებს სიმღერას - დილანი, რომელიც უფრო გასაოცარი მწარმოებელია [producteur], ვიდრე ავტორი. და რომ ჩემი კურსიც ისევე დაიწყოს, როგორც ის აკეთებს - ხელის ერთი დაკვრით, მასხარის ნიღბით, შეთანხმებული, მაგრამ, ამასთანავე, იმპროვიზებული დეტალების ხელოვნებით. ეს არის პლაგიატის და ასევე ოსტატის ან მოდელის საპირისპირო. ხანგრძლივი მომზადება, მაგრამ მეთოდების, წესებიაა თუ რეცეპტების გარეშე. ქორწინება და არა დაწყვილება ან შეუღლება. მქონდეს ტომარა, რომელშიც ყველაფერს ჩავდებ, რასაც კი შევხვდები, მაგრამ იმ პირობით, რომ მეც ჩამდებენ ტომარაში. იპოვო, შეხვდე, მოიპარო - ნაცვლად იმისა, რომ დაადგინო, შეიცნო, განსაჯო. რადგან შეცნობა შეხვედრის საპირისპიროა. განსჯა ბევრი ადამიანის ხელობაა და ეს არ არის კარგი ხელობა; არადა, ბევრი წერას სწორედ ამისთვის იყენებს. სჯობს, ქუჩას გვიდე, ვიდრე განსჯიდე. რაც უფრო მეტად შევცდებით ცხოვრებაში, მით უფრო ბევრ გაკვეთილს მივიღებთ; ვერავინ აჯობებს სტალინისტს ანტისტალინიზმის გაკვეთილების ჩატარებაში და "ახალი წესების" გამოცხადებაში. არსებობს მოსამართლეთა მოდგმა და აზრის ისტორიაც ტრიბუნალის ისტორიას ერწყმის; წმინდა გონებისა თუ წმინდა რწმენის ტრიბუნალს მოითხოვს... ამიტომაცაა, რომ ადამიანებს არ უჭირთ, სხვისი სახელით ან სხვის ნაცვლად ილაპარაკონ, და ასე ძლიერ უყვართ შეკითხვები, ასე კარგად იციან მათი დასმა და პასუხების პოვნაც. არსებობენ ისინიც, რომლებიც მოითხოვენ, რომ ვილაცამ განსაჯოს, თუნდაც დამნაშავედ ცნონ. სამართალშიც კონფორმულობას მოვითხოვთ, იმ წესებისადმიც კი, რომლებსაც თავად ვიგონებთ, იმ ტრანსცენდენტობისადმი, რომელსაც თითქოსდა ალმოვაჩენთ ან იმ გრძნობებისადმი, რომლებიც გვამოძრავებენ. სამართლიანობა [justice], სისწორე [justesse] უხეირო იდეებია. ამას შევუპირისპიროთ გოდარის ფორმულა: არა სწორი სურათი, არამედ სწორედ სურათი [pas une image juste, juste une image]. ფილოსოფიაშიც იგივეა, რაც ფილმში ან სიმღერაში: არა სწორი იდეები, არამედ სწორედ იდეები. ეს კი შეხვედრაა, ქმნადობა, მიტაცება და ქორწილი, სიმარტოვე, რომელიც არის "ორს შორის". როდესაც გოდარი ამბობს, რომ უნდა, წარმოების ბიურო იყოს, ცხადია, არ გულისხმობს საკუთარი ფილმებისა თუ წიგნების გამოშვებას. უბრალოდ, იდეებზე ფიქრობს, იმიტომ, რომ როცა საქმე ამაზე მიდგება, სიმარტოვეს ვერ ავცდებით, და თან ბოროტმოქმედთა დაჯგუფებასაც ვგავართ. ავტორი კი ალარ ვართ, არამედ - წარმოების ბიურო, უკიდურესად შევსებული [peuple]. იყო "ბანდა": ბანდები უაღრესად სახიფათოდ ცხოვრობენ; მოსამართლეების, ტრიბუნალების, სკოლების, ოჯახებისა და მეუღლეობის შეცვლა, გადაკეთება უწევთ; მაგრამ ბანდაში, ზოგადად, კარგი ისაა, რომ თითოეული თავის საქმეს აგვარებს, თან ისე, რომ დროდადრო სხვებსაც ხვდება; თითოეულს თავისი ნადავლი მოაქვს და ქმნადობაც ფორმას იღებს; მოძრაობას იწყებს ბლოკი, რომელიც აღარავის ეკუთვნის, მაგრამ ყველას "შორისაა", როგორც პატარა ნავი, რომელსაც ბავშვები უშვებენ და კარგავენ, და რომელსაც სხვები იპარავენ. სატელევიზიო საუბრებში "6 x 2" გოდარი და მიევილი სწორედ იმას აკეთებენ, რომ მრავალფეროვნად იყენებენ თავიანთ სიმარტოვეს, იყენებენ როგორც შეხვედრის საშუალებას, ორ ადამიანს შორის ხაზის ან ბლოკის შემოსაპარებლად, ორმაგი ჩავლების ფენომენების გამოსავლენად, იმის საჩვენებლად, თუ რა არის მაკავშირებელი "და", რომელიც არც გაერთიანებაა, არც გვერდიგვერდ მოთავსება, არამედ ბორძიკის დაბადება, დატეხილი ხაზის კვალი, რომელიც ყოველთვის სადღაც ახლოს იწყება - მოქმედი და შემოქმედი გაძვრენის ხაზი. და... და... და...

ორმა პროფესორმა ჩამომაყალიბა, რომლებიც აღმაფრთოვანებდნენ - ალკიე და იპოლიტი.

ყველაფერი ცუდად შემოტრიალდა. ერთს გრძელი, თეთრი ხელები ჰქონდა და ენას უკიდებდა - არ ვიცოდით, ეს ბავშვობიდან მოდიოდა თუ, პირიქით, მშობლიური აქცენტის დასაფარავად იყო, თუმცა კი კარტეზიანულ დუალიზმებს ედგა სამსახურში. მეორეს მძლავრი სახე ჰქონდა დაუმთავრებელი ნაკვთებით, ჰეგელიანურ ტრიადებს მუშტით რითმავდა და სიტყვებს ამატებდა. პარიზის გათავისუფლების შემდგომ პერიოდში კვლავ ფილოსოფიის ისტორიაში ვიყავით უცნაურად გაჭედილები. ჰეგელს, ჰუსერლსა და ჰაიდეგერს ვუტრიალებდით; ლეკვებივით მივექანებოდით სქოლასტიკაში, რომელთან შედარებითაც შუა საუკუნეები შვება იყო. საბედნიეროდ, სარტრი გვყავდა, რომელიც ჩვენი სხვა, გარე სივრცე იყო - უკანა კარიდან შემოსული ნიავი (და ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმის ცოდნას, მაინც რა აკავშირებდა მას ჰაიდეგერთან და რა გამოჩნდებოდა მომავალში, ისტორიის გადმოსახედიდან). სორბონის ალბათობებს შორის იგი ერთადერთი კომბინაცია იყო, რომელიც ახალი წესრიგის ატანის ძალას გვაძლევდა. და სარტრი ყოველთვის ეს იყო - არა მეთოდი და მაგალითი, არამედ ცოტაოდენი სუფთა ჰაერი, მონაბერი, თუნდაც კაფე "ფლორიდან"[2]; ინტელექტუალი, რომელიც მარტოდმარტო ცვლიდა ინტელექტუალის მდგომარეობას. სისულელეა, ვიკითხოთ, რისი დასაწყისი ან დასასრულია სარტრი. როგორც ყოველივე ის, რაც და ვინც შემოქმედია, სარტრიც შუაშია, შუიდან ამოიზრდება. უბრალოდ, იმ დროს მე არც ეგზისტენციალიზმი მიზიდავდა და არც ფენომენოლოგია; ზუსტად არ ვიცი, რატომ, მაგრამ როცა საქმე მათზე მიდგებოდა, სარტრს თუ არ ჩავთვლით, უკვე ისტორია ჭარბობდა: მეთოდი, იმიტაცია, კომენტარი, ინტერპრეტაცია. მოკლედ, გათავისუფლების შემდეგ ვერც მივხვდით, ისე მოგვაქცია ფილოსოფიის ისტორიამ კიდევ უფრო დიდ სივიწროვეში იმ საბაბით, რომ ჩვენთვის უნდა გაეხსნა აზროვნების მომავალი, რომელიც თან უძველესი აზროვნება იქნებოდა. "ჰაიდეგერის საკითხი" ჩემთვის ის კი არაა, ცოტა ნაცისტი ხომ არ იყო. რა თქმა უნდა, იყო. მაგრამ რა როლი შეასრულა მან იმაში, რომ ხელახლა გაგვჟღინთეს ფილოსოფიის ისტორიით? იმ ხალხს თუ არ ჩავთვლით, რომელსაც თავი მოაზროვნედ ან პროფესიით ფილოსოფოსად მოაქვს, არავინ უდგება სერიოზულად [ფილოსოფიურ] აზრს. და მაინც, ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ამ აზრს თავისი ძალაუფლების მექანიზმები ჰქონდეს; და მისი ძალაუფლების მექანიზმის ეფექტი იყოს, როდესაც ხალხს ეუბნება: სერიოზულად ნუ მომიდგებით, რადგან მე თქვენთვის ვფიქრობ, რადგან კონფორმულობას, ნორმებს, წესებსა და სახე-ხატს გაძლევთ, რომლებსაც მით უფრო დაექვემდებარებით, რაც უფრო იტყვით: "ეს ჩემი საქმე არაა, რა მნიშვნელობა აქვს; ეს მხოლოდ ფილოსოფოსებისა და მათი თეორიების საქმეა".

ფილოსოფიის ისტორია ყოველთვის იყო ძალაუფლების აგენტი ფილოსოფიაში და აზროვნებაშიც. ჩამხშობის როლს ასრულებდა: როგორ გინდათ იაზროვნოთ, თუ არ წაგიკითხავთ პლატონი, დეკარტი, კანტი და ჰაიდეგერი ან მავანის და მავანის წიგნი მათზე? ეს დაშინების უზარმაზარი სკოლაა, რომელიც აზრის სპეციალისტებს აწარმოებს, და რომლის გამოცაა, რომ მის გარეთ დარჩენილნი არანაკლებ კონფორმულნი ხდებიან იმ სპეციალობისადმი, რომელსაც ტუჩს უბზუებენ. აზროვნების სახე-ხატი, სახელად ფილოსოფია, ისტორიულად ჩამოყალიბდა და მშვენივრად აფერხებს ადამიანების აზროვნებას. სახელმწიფოსთან ფილოსოფიის კავშირი კი მხოლოდ იქიდან არ მოდის, რომ, ახლო წარსულს თუ გადავხედავთ, ფილოსოფოსთა უმეტესობა "საჯარო პროფესორი" იყო (თუმცა ამ ფაქტს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიასა და საფრანგეთში). კავშირი უფრო შორიდან მოდის. საქმე ისაა, რომ აზროვნება თავის ფილოსოფიურ სახე-ხატს სახელმწიფოდან იღებს, რომელიც უზადო სუბსტანციურ თუ სუბიექტურ შინაგანობად წარმოჩინდება. იგი იგონებს სწორედაც გონებრივ სახელმწიფოს, როგორც აბსოლუტურს, რომელიც სულაც არაა ოცნება, რაკი ეფექტურად ფუნქციონირებს სულსა თუ გონებაში. აქედან იძენს მნიშვნელობას ისეთი წარმოდგენები, როგორებიცაა უნივერსალურობა, მეთოდი, შეკითხვა და პასუხი, განსჯა, შეცნობა თუ აღიარება, სწორი იდეები, ყოველთვის სწორი იდეების ქონა. ფილოსოფია გამსჭვალულია წმინდა სახელმწიფოს ოფიციალურ ენად გახდომის სურვილით, ჩანაფიქრით. ამგვარად, აზროვნების გამოვლინება უთანხმდება რეალური სახელმწიფოს მიზნებს, გაბატონებულ აღნიშვნებსა და დამყარებული წესრიგის საჭიროებებს. ამის შესახებ ნიცშემ ყველაფერი თქვა ნაშრომში "შოპენჰაუერი, როგორც აღმზრდელი". რაც კი ეკუთვნის სახე-ხატის გარეშე აზროვნებას, ნომადიზმს, ომის მანქანას, ქმნადობებს, ბუნების საპირისპირო ქორწინებებს, ჩავლებებსა და მოპარვებს, ორ სამეფოს შორის არსებულს, მეორეულ ენებს [langues mineurs] თუ ენაში ბორძიკს - ყველაფერი წაშლილია და წესრიგისათვის ხელის შემშლელადაა გამოცხადებული. რა თქმა უნდა, აზრის ჩამხშობის ამ როლის თამაში, ფილოსოფიისა და მისი ისტორიის გარდა, სხვა დისციპლინებსაც შეუძლიათ. იმასაც კი ვიტყოდით, რომ რომ დღეს ფილოსოფიის ისტორია გაკოტრებუ-

2 კაფე პარიზში, რომელიც ცნობილი იმით იყო, რომ ინტელექტუალები სტუმრობდნენ (მთარგმნ. შენიშვნა).

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ლია და "სახელმწიფოს აღარ სჭირდება ფილოსოფიის დასტური". მაგრამ მისი ადგილი შეუპოვარმა კონკურენტებმა დაიკავეს. ეპისტემოლოგიამ ფილოსოფიის ისტორიის ესტაფეტა გადაიბარა. მარქსიზმი ისტორიის განაჩენით ან სულაც ხალხის ტრიბუნალით იქადნება, რაც სხვებზე უფრო შემაშფოთებელია. ფსიქოანალიზი უფრო და უფრო მეტს მუშაობს "აზრის" ფუნქციაზე და ტყუილად არაა, რომ მოკავშირედ ლინგვისტიკა ესახება. ეს ძალაუფლების ახალი მექანიზმებია თავად აზროვნებაში, და მარქსი, ფროიდი, სოსიური წარმოადგენენ უცნაურ, სამთავა ჩამხშობს - გაბატონებულ, მთავარ ენას [langue majeure]. ინტერპრეტაცია, ტრანსფორმაცია, წარმოთქმა - "სწორი" იდეების ახალი ფორმებია. ჩომსკის სინტაქსური მომნიშვნელიც კი, პირველ რიგში, ძალაუფლების მომნიშვნელია. ლინგვისტიკამ გამარჯვება იზეიმა იმ დროს, როცა ინფორმაცია ვითარდებოდა, როგორც ძალაუფლება და თავს გვახვევდა აზრისა და ენის საკუთარ სახე-ხატს, ინსტრუქციების გადმოცემისა და უსარგებლო გამეორებების ამოცანით. დიდი აზრი არ აქვს, ვიკითხოთ, მკვდარია თუ არა ფილოსოფია, მაშინ, როცა მისი ფუნქცია ბევრმა სხვა დისციპლინამ გადაიბარა. ჩვენ არ ვითხოვთ სიგიჟის უფლებას, რადგან სიგიჟემ უკვე იპოვა გასავალი ფსიქოანალიზისა და ლინგვისტიკის გაერთიანებაში, რომელიც გამსჭვალულია სწორი იდეებით, ძლიერი კულტურითა და ისტორიით ქმნადობის გარეშე, და რომელსაც თავისი მასხარები, პროფესორები და პატარა ბელადები ჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიტო შტაიერლი

# თავისუფალი ვარდნისას - ვერტიკალური პერსპექტივის ექსპერიმენტული გააზრება

*ინგლისურიდან თარგმნა და შესავალი დაურთო თინათინ ხომერიკმა*

*ჰიტო შტაიერლი 1966 წელს გერმანიაში, მიუნხენში დაიბადა და დღეს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი თანამედროვე ხელოვანია. 2017 წელს ის "არტ რევიუს" ხელოვანთა ასეულის სათავეში მოქცეული პირველი ქალი აღმოჩნდა.[1]*

*შტაიერლი თავს, უპირველესად, ფილმების ავტორად მიიჩნევს. მისი ფილმები და ვიდეონამუშევრები მსოფლიოს არაერთ მნიშვნელოვან სახელოვნებო სივრცეში გვხვდება. თუმცა, გარდა ვიზუალური ხელოვნებისა, შტაიერლი, რომელიც ვენის ხელოვნების აკადემიის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს ფლობს, დოკუმენტური ესეის ჟანრის მნიშვნელოვან ინოვატორადაც მიიჩნევა. მისი ვიდეონამუშევრებისა და ფილმების მსგავსად, შტაიერლის ესეები მედიის, ტექნოლოგიისა და გამოსახულებათა გლობალური წრებრუნვის საკითხებს უტრიალებს. ავტორის თქმით, მისი საქმიანობის არსი ის არის, "რაც ხელოვნებას საუკეთესოდ გამოსდის - დაკვირვება, მოსმენა, მკაფიო ინტერპრეტაცია და ხდომილებათა უშიშრად, უკომპრომისოდ წარმოსახვა".[2]*

*გარდა ფილოსოფიისა, შტაიერლი კინორეჟისურას სწავლობდა - ჯერ იაპონიაში, შემდეგ კი - გერმანიაში[3] და ფილოსოფიური და კინემატოგრაფიული საწყისები მის ესეებში ბრწყინვალედ არის გადაჯაჭვული. "ჰიტოს წერის მანერა აკადემიური და ჟურნალისტური სტილისაგან მკვეთრად განსხვავდება" - ამბობს შტაიერლის კოლეგა, ამერიკელი ხელოვანი ტრევორ პეიგლენი, "მის ტექსტში გაბნეული შეპირისპირებები და ალეგორიები წერის ჩვეულ საზღვრებს სცდება".[4]*

*ესეი "თავისუფალი ვარდნისას - ვერტიკალური პრესპექტივის ექსპერიმენტული გააზრება" 2011 წლის აპრილში, ჟურნალ "E-Flux"-ის 24-ე ნომერში გამოქვეყნდა. მასში ავტორი აკვირდება, როგორ ანაცვლებს ჩვენს საზოგადოებაზე ოდესღაც გაბატონებულ ტრადიციულ, ჰორიზონტალურ პერსპექტივას ვერტიკალური ხედვა და როგორ ებმის ეს, ერთი შეხედვით, დამოუკიდებელი მოვლენა ძალაუფლების ღერძებისა და წერტილების საბედისწერო გადანაცვლებას.*

*პოლიტიკის, ხელოვნებისა და ტექნოლოგიის გარდამტეხი ცვლილებების მკაფიო, გამჭოლი ანალიზის გზით, შტაიერლი იმის მოხელთებას ახერხებს, რასაც თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურობაში გამოსახულებების, აზრისა და განცდის წყვეტილი გაელვებების ფორმით, ინტუიტიურად გრძნობს. ამისათვის, ის რამდენიმე გაბედულ შეკითხვას სვამს - როგორ ქმნის და კვლავწარმოქმნის საზოგადოება საზიარო წარმოსახვას სივრცის შესახებ? რატომ ჩნდება და შემდეგ - ქრება მხატვრობაში ჰორიზონტი? საიდან მოდის უმწეობისა და უნიადაგობის საფრთხის განცდა, რომელიც საინფორმაციო ეპოქის ადამიანს დღითიდღე უფრო ღრმად მსჭვალავს? მაინც, რას ნიშნავს "ნიადაგის ქონა" და გვჭირდება კი არსებობისათვის რაიმე საყრდენი?*

წარმოიდგინეთ, რომ ვარდებით, თუმცა ფეხქვეშ ნიადაგი გამოცლილი გაქვთ.

არაერთი თანამედროვე ფილოსოფოსი მიგვითითებს, რომ ჩვენს აწმყოზე უნიადაგობა გაბატონებულა. მეტაფიზიკური იდეებისა თუ პირველსაწყისი პოლიტიკური მითების დასაფუძნებლად მყარი ნიადაგი არსად გვეგულება. საუკეთესო შემთხვევაში, დამიწების დროებითი, შემთხვევითი, არასრული მცდელობების მოწმენი ვხდებით. თუკი ჩვენს სოციალურ ცხოვრებასა და ფილოსოფიურ მისწრაფებებს მყარი ნიადაგი არ მოეძებნება, სუბიექტები და ობიექტები მუდ-

1 ჟურნალ "არტ რევიუს" ე.წ. "გავლენიანთა ასეული" მსოფლიოს ხელოვანთა ყოველწლიური რეიტინგია.

2 Ana Janevski, Roxana Marcoci, and Hito Steyerl. "Conversation: Hito Steyerl with Ana Janevski and Roxana Marcoci. June 20, 2018

3 1980-იანებში შტაიერლი რეჟისორ ვიმ ვენდერსის ასისტენტადაც მუშაობდა და კლასიკურ დოკუმენტურ კინოში მუშაობას გეგმავდა, თუმცა, საბოლოოდ, საკუთარი ბედი სხვაგვარად გადაწყვიტა.

4 Kimberly Bradley, "Hito Steyerl Is an Artist With Power. She Uses It for Change". The New York Times. December 15, 2017. https://www.nytimes.com/2017/12/15/arts/design/hito-steyerl.html

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ჰანს ვრედემან დე ვრისი, "პერსპექტივა", 1604-1605*

მივი ან პერიოდული თავისუფალი ვარდნის მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდნენ. მაგრამ, თუკი ასეა, ამას რატომ ვერ ვამჩნევთ?

პარადოქსია, რომ ვარდნისას, თავს, სავარაუდოდ, ისე იგრძნობთ, თითქოს ტივტივებდეთ, ანდა მოძრაობის განცდა სრულებით არ გექნებათ. ვარდნა ფარდობითია - თუკი არ არსებობს ზედაპირი, რომლისკენაც ვარდნისას მიემართებით, შესაძლოა, ვარდნის პროცესს ვერც კი აცნობიერებდეთ. თუკი ნიადაგი არსადაა, მიზიდულობის ძალა მცირე იქნება და თავს უწონოდ იგრძნობთ. თუ ნივთებს ხელს გაუშვებთ, ისინი ჰაერში დაეკიდება. თქვენს მსგავსად, შესაძლოა, მთელი საზოგადოებები ცვიოდნენ. ეს სრულ უძრაობად შეიძლება განიცდებოდეს - თითქოს ისტორია და დრო შეჩერდა და არც კი გახსოვთ, თუკი დრო ოდესმე წინ მიიწევდა.

გარდა ამისა, ვარდნისას ორიენტაციის შეგრძნებამაც შეიძლება თავგზა აგიბნიოთ. ჰორიზონტი მოცახცახე, ვარდნილი ხაზების ლაბირინთად იქცევა და შესაძლოა, "ზევითის" და "ქვევითის", "-მდესა" და "შემდეგის", საკუთარი თავისა და მისი საზღვრების ყოველგვარი განცდა დაკარგოთ. როგორც პილოტები მოგვითხრობენ, თავისუფალი ვარდნისას, კაცი ზოგჯერ ველარ გრძნობს განსხვავებას საკუთარ თავსა და საფრენ აპარატს შორის. ვარდნისას ადამიანები თავს ნივთებად შეიძლება განიცდიდნენ, ნივთები კი - ადამიანებად. ხედვისა და შეგრძნების ტრადიციული მოდუსი იმსხვრევა. წონასწორობის ყოველგვარი განცდა ირღვევა. პერსპექტივა მრუდდება და მრავლდება და ვიზუალობის ახალი ტიპები იბადება.

ამ დეზორიენტაციას, ნაწილობრივ, ისიც იწვევს, რომ ჰორიზონტი, რომელიც წარსულში მუდამ სადღაც გვეგულებოდა, ახლა აღარსად ჩანს. ჰორიზონტის დაკარგვას თან ორიენტაციის სტაბილური პარადიგმის გაუჩინარებაც ახლავს, რომელიც მოდერნულობის ხანაში სუბიექტისა და ობიექტის, დროისა და სივრცის ცნებებს ადგილს მიუჩენდა. ვარდნისას ჰორიზონტის ხაზები წყდება, იგრიხება და ერთმანეთს მსჭვალავს.

## ჰორიზონტის ისტორიის მცირე მიმოხილვა

უკანასკნელი წლების მანძილზე, სივრცესა და დროში ორიენტაციის ჩვეულები განცდა მკვეთრად შეიცვალა. თვალთვალის, კვალის ძიებისა და მიზანში ამოღების ახალმა ტექნოლოგიებმა ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა. ამ ტრანსფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაციის ერთ-ერთი სიმპტომი საჰაერო ხედების - ზედხედების, "გუგლის რუკებისა" და სატელიტური პანორამების - მზარდი მნიშვნელობაა. დღითიდღე სულ უფრო მეტად ვუშინაურდებით იმას, რასაც წინათ "ღმერთის თვალს" უწოდებდნენ. მეორე მხრივ, ვიზუალობის იმ პარადიგმის მნიშვნელობის დაღმასვლასაც ვამჩნევთ, რომელიც ჩვენს მხედველობაზე დიდხანს იყო გაბატონებული. ეს ყოვლისმომცველი იდეა წრფივი პერსპექტივის პარადიგმა იყო. მის ოდესღაც მხოლობით და უცვლელ ხედვის წერტილს დღეს მრავლობითი პერსპექტივა, ურთიერთგამსჭვალავი ჩარჩოები, ფრენის სახეცვლილი მიმართულებები და გაუჩინარების სხვადასხვა წერტილი ემატება, ზოგჯერ კი, სულაც, ანაცვლებს. როგორ უკავშირდება ეს ცვლილებები უნიადაგობისა და მუდმივი ვარდნის ფენომენს?

უპირველეს ყოვლისა, მოდი, ერთი ნაბიჯით უკან დავიხიოთ და მთელს ამ ვითარებაში ჰორიზონტის საკვანძო როლს დავაკვირდეთ. ორიენტაციის ჩვენი ტრადიციული განცდა - და მასთან ერთად, დროისა და სივრცის თანამედროვე ცნებები - ჰორიზონტის სტაბილურ ხაზზეა დაფუძნებული. ამ უკანასკნელის უძრაობა დამკვირვებლის უძრაობას ემყარება, რომელიც გარკვეულ ნიადაგზე, სანაპიროზე, ან გემზე დგას - საყრდენზე, რომელიც მაშინაც კი სტაბილურად წარმოგვიდგენია, როცა სინამდვილეში, ასე არ არის.

ჰორიზონტის ხაზი ტრადიციული ნავიგაციის უკიდურესად მნიშვნელოვანი ელემენტი იყო. ის კომუნიკაციისა და აღქმის საზღვრებს ადგენდა. ჰორიზონტს მიღმა მხოლოდ მტკნარი სიჩუმე იყო გამეფებული. მასში საგნები უჩინარდებოდა. მაგრამ, ამასთან ერთად, ის ადამიანის მდებარეობის გამოსათვლელად და გარემოსთან, დანიშნულების ადგილთან და მისწრაფებებთან მისი მიმართების დასადგენადაც გამოიყენებოდა.

ადრეული ნავიგაციის ენა ჰორიზონტის ალაგის მიმთითებელი ჟესტებისა და პოზებისგან შედგებოდა. "თავდაპირველად, [არაბი ნავიგატორები] ერთი, ან ორი თითის სიგანეს, გაშლილ მკლავსა და ცერს და ნეკს, ანდა, მკლავის გასწვრივ მიმართულ ისარს იყენებდნენ, რათა ქვევით ჰორიზონტის, ზევით კი - პოლარული ვარსკვლავის განლაგება განესაზღვრათ".

ჰორიზონტსა და პოლარულ ვარსკვლავს შორის მდებარე კუთხის სიდიდე კაცს ზღვის დონესთან საკუთარ მიმართებას ატყობინებდა. გაზომვის ამ მეთოდს ობიექტის *მოხელთებას*, ობიექტის *მონადირებას* ან *მიზანში ამოღებას* უწოდებდნენ. მისი მეშვეობით ადამიანი უხეშად განსაზღვრავდა თავის ადგილსამყოფელს.

ჰორიზონტისა და ვარსკვლავების მეშვეობით გზის გაგნების ეს მეთოდი ასტროლაბის, კვადრანტისა და სექსტანტის მსგავსი ინსტრუმენტების გამოგონების შემდეგ დაიხვეწა. ამ ტექნოლოგიას ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ის უქმნიდა, რომ საყრდენი, რომელზეც მეზღვაური იდგა, უძრავი როდი იყო. სტაბილური ჰორიზონტი, უმეტესად, პროექციად რჩებოდა, სანამ სტაბილურობის ილუზიის შესაქმნელად, ადამიანმა თანდათანობით ხელოვნური ჰორიზონტები არ გამოიგონა.



***სექსტანტი - საზღვაო-სანავიგაციო ინსტრუმენტი, რომელიც ციურ სხეულსა და ჰორიზონტს შორის კუთხეს ადგენდა.***

მდებარეობის ჰორიზონტით განსაზღვრა ზღვით მოგზაურებს ორიენტაციის შესაძლებლობას აძლევდა. შესაბამისად, მანვე გაუხსნა გზა კოლონიალიზმსა და გლობალურ კაპიტალისტურ ბაზარს. მაგრამ, ამასთან ერთად, იმ ოპტიკური პარადიგმების კონსტრუირების ინსტრუმენტადაც იქცა, რომლებმაც, საბოლოოდ, მოდერნულობა განაპირობა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან პარადიგმად კი ეგრეთ წოდებული "წრფივი პერსპექტივა" იქცა.

ჯერ კიდევ 1028 წელს, აბუ ალი ალ-ჰასან იბნ ალ-ჰაიათამმა (965-1040), რომელსაც ალჰაზენის სახელით ვიცნობთ, ვიზუალური თეორიის ტრაქტატი - "ქითაბ ალ-მანაზირ" [მანძილი - თ.ხ.] დაწერა. 1200 წლის შემდეგ წიგნი ევროპელებისათვის გახდა ხელმისაწვდომი და მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში ვიზუალური პროდუქციის დარგის უამრავ ექსპერიმენტს დაედო საფუძვლად. ამ პროცესის კულმინაციად წრფივი პერსპექტივის განვითარება იქცა.

დუჩოს "უკანასკნელ სერობაში" (1308-1311) ჯერ კიდევ ცხადად ჩანს გაუჩინარების რამდენიმე წერტილი. ამ სივრცეში პერსპექტივები არც ჰორიზონტის ხაზს ერწყმის და არც გაუჩინარების ერთ წერტილში იკვეთება. თუმცა, პაოლო უჩელოს "წმინდა ძღვენის შებღალვის სასწაულში" (სცენა I) (1465-69), რომლის ავტორი წრფივი

ელექტრონული ბიბლიოთეკა



*პაოლო უჩელო, "წმინდა ძღვენის შებღალვის სასწაული" (სცენა I და V), 1465-69.*

პერსპექტივის განვითარების დარგში ერთ-ერთი ყველაზე თავდადებული ექსპერიმენტატორი იყო, პერსპექტივა წრფეს მიუყვება და კულმინაციას გაუჩინარების ერთადერთ წერტილში აღწევს, რომელიც თვალის სიმაღლეზე განლაგებულ წარმოსახვით ჰორიზონტზე მდებარეობს.

წრფივი პერსპექტივა რამდენიმე დაშვების მტკიცე უარყოფას ემყარება. ამ დაშვებათაგან პირველი - დედამიწის ზედაპირის სიმრუდე - ჩვეულებრივ, უგულებელყოფილია. ჰორიზონტი ჩაფიქრებულია, როგორც აბსტრაქტული, ბრტყელი ხაზი, სადაც ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განლაგებული წერტილები იკვეთება. ამასთან, ერვინ პანოფსკის თანახმად, წრფივი პერსპექტივის კონსტრუქცია ერთი თვალის მქონე, უძრავი დამკვირვებლის ხედვას აცხადებს ნორმად - ეს მზერა თავისთავად იგულისხმება ბუნებრივად, მეცნიერულად და ობიექტურად. ამრიგად, წრფივი პერსპექტივა აბსტრაქციას ეფუძნება და სუბიექტურ აღქმას არ შეესატყვისება.

ამის ნაცვლად, ის მათემატიკურ, ბრტყელ, უსასრულო, უწყვეტ და ჰომოგენურ სივრცეს წარმოსახავს და მას რეალობად აცხადებს. წრფივი პერსპექტივა "გარეს" კვაზიბუნებრივი ჭვრეტის ილუზიას ქმნის, თითქოს გამოსახულების სიბრტყე "რეალურ" სამყაროში გამავალი ფანჯარასავით ილებოდეს. ლათინურად *perspectiva* სწორედ ამას - "მილმა ხედვას" ნიშნავს.

წრფივი პერსპექტივით აგებული ეს სივრცე გამოთვლის, ნავიგაციისა და წინასწარმეტყველების შესაძლებლობას იძლევა. ის სამომავლო რისკის გათვლის საშუალებას გვაძლევს, რომელიც წინასწარ შეგვიძლია განვჭვრიტოთ და შესაბამისად - ვმართოთ კიდეც. შედეგად, წრფივი პერსპექტივა არამხოლოდ სივრცეს გარდასახავს, არამედ წრფივი დროის ცნებაც შემოაქვს, რომელიც მათემატიკური წინასწარმეტყველების და, მასთან ერთად, წრფივი პროგრესის შესაძლებლობით უზრუნველგვყოფს. გაანგარიშებად მომავალში გაქრილი ეს ხედი პერსპექტივის მეორე, დროით მნიშვნელობას გვიჩვენებს. ვალტერ ბენიამინის თქმით, დრო ისეთივე ჰომოგენური და ცარიელი შეიძლება გახდეს, როგორც სივრცე.

იმისათვის, რომ ამ წრებრუნვამ იმუშაოს, მყარ ზედაპირზე მდგარი დამკვირვებელი უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ბრტყელ - სინამდვილეში, სრულიად ხელოვნურ - ჰორიზონტზე მდებარე გაუჩინარების წერტილს გასცქერის.

გარდა ამისა, წრფივი პერსპექტივა მჭვრეტელის მიმართ ამბივალენტურ მოქმედებასაც ასრულებს. როცა მთლიანი პარადიგმა ერთი მაყურებლის მზერაში იკვეთება, დამკვირვებელი ამ კვეთით განპირობებული მსოფლხედვის ცენტრად იქცევა. მაყურებელი გაუჩინარების წერტილშია არეკლილი და ამგვარად, მის მიერვე კონსტრუირდება. გაუჩინარების წერტილი დამკვირვებელს სხეულსა და პოზიციას ანიჭებს. თუმცა, მეორე მხრივ, მჭვრეტელის მნიშვნელოვნებას ის დაშვება უთხრის ძირს, რომ მხედველობა სამეცნიერო კანონებს ექვემდებარება. წრფივი პერსპექტივა, რომელიც ხედვის ცენტრში მოთავსების გზით სუბიექტს ძალაუფლებას ანიჭებს, ამავე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დროს ეჭვქვეშაც აყენებს დამკვირვებლის ინდივიდუალობას, რამდენადაც მას რეპრეზენტაციის, ვითომდა, ობიექტურ კანონებს უქვემდებარებს.

უდავოა, რომ სუბიექტის, დროისა და სივრცის ეს ხელახალი გამოგონება დასავლეთის გაბატონებისა და მისი ცნებების დომინაციის ხელშემწყობი დამატებითი ინსტრუმენტი იყო და ამასთან, რეპრეზენტაციის, დროისა და სივრცის სტანდარტების ახლებურად განსაზღვრის იარაღიც. ყველა ზემოთჩამოთვლილი კომპონენტი თვალსაჩინოდ იკვეთება უჩელოს ექვსპანელიან ნახატში, "წმინდა ძღვენის შებღალვის სასწაული" (1465-69). პირველ პანელზე ქალი წმინდა ძღვენს ებრაელ ვაჭარს მიჰყიდის, რომელიც მეორე პანელზე მის "შებღალვას" ცდილობს. ამის გამო, ვაჭარი, საბოლოოდ, განსაცდელში აღმოჩნდება. ცოლსა და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, ის ძელზეა გაკრული, რომელზეც პარალელები ისე იკვეთება, როგორც სამიზნეზე. ამ პანელების შექმნის თარიღი მცირე დროით უსწრებს წინ 1492 წელს ესპანეთიდან ებრაელთა და მუსლიმთა განდევნასა და ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციას ვესტ-ინდოეთში.

ამ ნახატებზე წრფივი პერსპექტივა რასობრივი და რელიგიური პროპაგანდისა და მათთან დაკავშირებული სისასტიკის მატრიცად იქცევა. ამ ე.წ. "სამეცნიერო მსოფლხედვამ" ადამიანების "სხვად", "უცხოდ" მონიშვნის სტანდარტების განსაზღვრას შეუწყო ხელი და მათი დაპყრობისა და მათზე ბატონობის უფლებამოსილება გასცა.

მეორე მხრივ, წრფივი პერსპექტივა თავისსავე წიაღში ატარებს საკუთარი დაღმასვლის ჩანასახს. მისმა სამეცნიერო მიმზიდველობამ და ობიექტივისტურმა ტონმა რეპრეზენტაციის უნივერსალური მოთხოვნა დააწესა. ამით ის "უტყუარობის" ცნებას ებმოდა, რომელიც - თუნდაც გაუბედავად და დაგვიანებით - პარტიკულარისტულ მსოფლმხედველობებს ურყევდა საფუძველს. ასე იქცა წრფივი პერსპექტივა იმ სიმართლის მძევლად, რომელსაც ასე თავდაჯერებით ქადაგებდა. ჩასახვის წამიდანვე, მისი უტყუარობის პრეტენზიის კვალდაკვალ, მისდამი ღრმა ეჭვსაც მიეცა დასაბამი.

## წრფივი პერსპექტივის დაღმასვლა

მიუხედავად ამისა, ამჟამინდელი ვითარება წინანდელისაგან, გარკვეულწილად, განსხვავდება. როგორც ჩანს, ახლა კიდევ ერთი, ან რამდენიმე განსხვავებული ვიზუალური პარადიგმისაკენ გარდატეხის მდგომარეობაში ვიმყოფებით. რამდენადაც წრფივ პერსპექტივას ხედვის სხვა ტიპები სულ უფრო ინტენსიურად ერთვის, შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი, როგორც გაბატონებული ვიზუალური პარადიგმის სტატუსი იცვლება.

მეცხრამეტე საუკუნის ფერწერაში ეს გარდატეხა უკვე აშკარა იყო. ამ ტრანსფორმაციის გარემოებებს განსაკუთრებული სიცხადით ჯოზეფ მალორდ უილიამ ტერნერის ნამუშევარი - "მონებით სავსე გემი" (1840) ასახავს. ნახატზე გამოსახული სცენა რეალურ შემთხვევაზე მოგვითხრობს: როცა მონებით სავსე გემის კაპიტანმა აღმოაჩინა, რომ მისი დაზღვევა მხოლოდ ზღვაში დაღუპული მონების სიცოცხლის საფასურს ანაზღაურებდა და არა - გემბანზე მყოფი ავადმყოფებისა და სულთმობრძავებისას, ბრძანა, მომაკვდავი და სნეული მონები ზღვაში გადაეყარათ. ტერნერის ნახატი იმ მომენტს აღბეჭდავს, როცა მონები წყალქვეშ იწყებენ გაუჩინარებას.

ამ ნახატზე ჰორიზონტის თითქმის შეუმჩნეველი ხაზი დამრეცი, მრუდე და ბუნდოვანია. დამკვირვებელი მდებარეობის სტაბილურ წერტილს კარგავს. გაუჩინარების ერთ წერტილში გადაკვეთილი პარალელები არსად ჩანს. კომპოზიციის ცენტრში მოთავსებული მზე ათინათებშია გაბნეული. მჭვრეტელი საზარელი სანახაობის ხილვით ამღვრეული, თავგზააბნეული და ელდანაცემია. მონები არამხოლოდ ზღვაში ინთქმებიან, არამედ ასო-ასო არიან დანაწევრებულნი. მათ კიდურებს ზვიგენები შეექცევიან, რომელთა სხეულები წყლის ზედაპირზე ბუნდოვან ფორმებად ილანდება. კოლონიალიზმისა და მონობის შემყურე, წრფივ პერსპექტივას - ხედვის ცენტრალურ წერტილს, ბატონობის, კონტროლისა და დაქვემდებარების პოზიციას - ავტორი ბედის ანაბარა ტოვებს. ის პირდაღმა გადაბრუნდება, ფსკერისკენ ეშვება და სივრცისა და დროის, როგორც სისტემატური კონსტრუქციების იდეასაც თან მიითრევს.

გაანგარიშებადი და წინასწარგანჭვრეტადი მომავლის იდეა თავის მომაკვდინებელ მხარეს დაზღვევის სახით ავლენს, რომელიც ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას ცივსისხლიანი მკვლელობის შთაგონების გზით უზრუნველყოფს. სივრცე არაპროგნოზირებადი ზღვის დაუდგრომელი, მუხანათური ზედაპირის ქაოსში ითქვიფება.

მოძრავ პერსპექტივაზე ექსპერიმენტების ჩატარებას ტერნერი ადრევე შეუდგა. ლეგენდის თანახმად, ჰორიზონტის ცვლილებაზე უშუალოდ დასაკვირვებლად, მხატვარმა თავი დუვრიდან კალესაკენ მიმავალი გემის ანძაზე მიიბა. 1843 თუ 1844 წელს მან ზუსტად 9 წუთის განმავლობაში იმგზავრა მოძრავი მატარებლის ფანჯრიდან თავგაყოფილმა. ამ ექსპერიმენტის შედეგად, ტერნერმა ნამუშევარი: "წვიმა, ნისლი და სიჩქარე - დასავლეთის დიდი რკინიგზა" (1844) შექმნა. ამ ნახატზე წრფივი პერსპექტივა ფონს ერწყმის. დეტალების გარჩევა შეუძლებელია, ტილოზე არც

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯ.მ.უ. ტერნერი, "მონებით სავსე გემი", 1840.

გაუჩინარების წერტილი ჩანს და არც წარსულისა თუ მომავლის რაიმე მკაფიო ხატება. აქ უფრო საინტერესო დამკვირვებლის პერსპექტივაა, რომელიც თითქოს რკინიგზის ხიდის ლიანდაგების განაპირა ხაზის გასწვრივ, ჰაერშია გამოკიდებული. მისი სავარაუდო მდებარეობის ადგილის ქვეშ საყრდენი არსად მოჩანს. კაცი იფიქრებს, რომ დამკვირვებელი ნისლში გაფანტულა და არარსებული ზედაპირის თავზე ლივლივებს.

ტერნერის ორივე ნახატზე ჰორიზონტი გადღაბნილი და მრუდეა, თუმცა, მთლიანად როდი გამქრალა. ჰორიზონტის არსებობის ხელაღებით უარყოფის ნაცვლად, ნამუშევრები მას დამკვირვებლის აღქმისათვის მიუწვდომლად წარმოგვიჩენს.

ჰორიზონტის ცნების საფუძველი ირყევა. პერსპექტივები ხედვის მოძრავი წერტილების სახეს იღებს და მათი კომუნიკაცია ერთიანი, საერთო ჰორიზონტის ფარგლებშიც კი შეუძლებელი ხდება. შეიძლება ითქვას, რომ ზღვაში დანთქმული მონების დაღმავალი მოძრაობა მხატვრის ხედვის წერტილზე ახდენს გავლენას. ამ მოძრაობას ავტორი უეჭველობის იდეის კლანჭებიდან გამოგლეჯს და გრავიტაციას, მოძრაობასა და უძირო ზღვის მშთანთქმელ ძალას მიანებებს.

## აჩქარება

მეოცე საუკუნის დადგომასთან ერთად, სხვადასხვა სფეროში წრფივი პერსპექტივის რღვევამ სულ უფრო მეტად იჩინა თავი.

კინო ფოტოგრაფიას სხვადასხვა დროითი პერსპექტივის არტიკულაციის ხერხებით ამარაგებს. მონტაჟი დამკვირვებლის პერსპექტივის დესტაბილიზაციისა და დროის წრფიულობის რღვევის საუკეთესო იარაღად იქცევა. მხატვრობა რეპრეზენტაციაზე, დიდწილად, ხელს იღებს და წრფივ პერსპექტივას კუბიზმის, კოლაჟისა და აბსტრაქციის სხვადასხვა ტიპების მეშვეობით მოშლის. კვანტური ფიზიკა და ფარდობითობის თეორია დროსა და სივრცეს ახლებურად წარმოსახავს, აღქმის რეორგანიზებას კი ომის წარმოების ახლებური ხერხები, რეკლამა და კონვეიერის ლენტი ეწევა. ავიაციის გამოგონებასთან ერთად, იზრდება ვარდნის, შვეული პიკირებისა და დანარცხების შესაძლებლობის ალბათობა. ამასთან ერთად - განსაკუთრებით, ღია კოსმოსის დაპყრობის შემდეგ - ორიენტირების ახალი პერსპექტივებისა და ტექნიკების განვითარება იწყება. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამაზე საჰაერო ხედების მომრავლება მიგვითითებს. თუკი ეს

ყოველივე მოდერნულობის ტიპურ მახასიათებლებს შეგვიძლია მივაწეროთ, უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე იმის მოწმენი გავხდით, თუ როგორ იჟღინთება ვიზუალური კულტურა სამხედრო და გასართობი სფეროსათვის დამახასიათებელი ზედხედებით.

ავიაცია კომუნიკაციის ჰორიზონტს აფართოებს. თვითმფრინავები საჰაერო კამერების როლს ასრულებს და იმ პანორამებს იღებს, რომელთა საფუძველზე რუკებს ადგენენ. დრონები ზვერავს, კვალს ეძიებს და კლავს. თუმცა, არც გართობის ინდუსტრია რჩება უქმად. უფსკრულის სიღრმისაკენ დაღმავალი, თავბრუდამხვევი ფრენის სცენების დასადგმელად, სამგანზომილებიანი კინო განსაკუთრებით ფართოდ და თვალსაჩინოდ იყენებს საჰაერო ხედების ახალ მახასიათებლებს. შეიძლება ითქვას, რომ 3D-სა და წარმოსახვითი ვერტიკალური სამყაროების შესახებ წარმოდგენის კონსტრუირებას (რომელსაც კომპიუტერული თამაშების ლოგიკა გვკარნახობს) ერთმანეთთან არსებითი კავშირი აქვს. 3D იმ მატერიალური საშუალებების იერარქიასაც ამძაფრებს, რომლებიც ამ ახალი ტიპის ვიზუალობის მოსახელთებლად არის აუცილებელი. ტომას ელზესერის თქმით, ტექნიკური აღჭურვილობით გაჯერებული გარემო, რომელიც სამხედრო, სათვალთვალო და გასართობ აპლიკაციებს მოიცავს, ახალი ტექნიკური და პროგრამული აღჭურვილობის ახალ ბაზრებს წარმოქმნის.

ბრწყინვალე ტექსტში, რომელიც ვერტიკალური სამგანზომილებიანი სუვერენულობის კონტექსტში, სუვერენულობისა და თვალთვალის სივრცით შემობრუნებას აღწერს, ეიალ ვაიცმანი პოლიტიკური არქიტექტურის ვერტიკალობას აანალიზებს. მის თანახმად, გეოპოლიტიკური ძალაუფლება ოდესღაც რუკის ბრტყელ ზედაპირზე იყო განაწილებული, რომელზეც საზღვრებს ავლებდნენ და იცავდნენ. თუმცა, დღეისათვის, ძალაუფლების განაწილებამ თანდათან ვერტიკალური განზომილების ოკუპირება წამოიწყო (აქ ვაიცმანი ისრაელის მიერ პალესტინის ოკუპაციას ახსენებს, თუმცა, ბევრი სხვა მაგალითის მოხმობაც შეგვიძლია).

ვერტიკალური სუვერენულობა სივრცეს ჰორიზონტალურ შრეებად ხლეჩს და ერთმანეთისგან არამხოლოდ საჰაერო სივრცესა და ხმელეთს, არამედ - მიწასა და მიწისქვეშეთსაც აცალკევებს, საჰაერო სივრცეს კი სხვადასხვა ფენებად ყოფს. საზოგადოების სხვადასხვა ფენა ერთმანეთისგან Y-ღერძის გასწვრივ არის გამიჯნული, რაც კონფლიქტისა და ძალადობის ალაგებს ამრავლებს. აშილ მბემბეს მტკიცებით, ამგვარად, ცის ოკუპაცია კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს, რადგან დაზვერვა, დიდწილად, ციდან ხორციელდება. ამ დანიშნულებით მრავალი სხვა ტექნოლოგიც არის მობილიზებული - სენსორებიანი უმგზავრო და უპილოტო საფრენი მოწყობილობები (UAV), საჰაერო სადაზვერვო ხომალდები, "ქორისთვალას"[5] ტიპის თვითმფრინავები ადრეული შეტყობინების ფუნქციით, საბრძოლო ვერტმფრენები, დედამიწაზე დასაკვირვებელი სატელიტები და "ჰოლოგრამატიზაციის" ტექნიკები.

## თავისუფალი ვარდნა

როგორ უკავშირდება ეს აკვიატებული ზედამხედველობა, დაყოფა და დედამიწის რეპრეზენტაცია ფილოსოფიურ დაშვებას, რომ თანამედროვე საზოგადოებებში ნიადაგი გამქრალია? როგორ ებმის ეს საჰაერო რეპრეზენტაციები (რომელთა კვალად, ფრენის აკრძალვა პრივილეგირებულ სუბიექტს ქმნის) იმ ჰიპოთეზას, რომ ამჟამად თავისუფალი ვარდნის მდგომარეობაში ვცხოვრობთ?

პასუხი მარტივია - მრავალი საჰაერო ხედი, სამგანზომილებიანი პიკირება, "გუგლის რუკები" და დაზვერვის გზით მოხელთებული პანორამები, სინამდვილეში, მტკიცე ზედაპირს როდი ასახავს. ამის ნაცვლად, ისინი ნიადაგის არსებობის ვარაუდს წარმოქმნის. რეტროაქტულად, ეს ვირტუალური ზედაპირი დისტანცირებულ, ზემდგომ, ცაში უსაფრთხოდ მოლივლივე დამკვირვებელს უყალიბებს ზემოდან ჭვრეტისა და დაზვერვის პერსპექტივას. ზემოდან მომავალი პერსპექტივა სწორედ ისე წარმოქმნის წარმოსახვით, ჰაერში გამოკიდებულ დამკვირვებელსა და წარმოსახვით მყარ ნიადაგს, როგორც წრფივი პერსპექტივა ქმნიდა წარმოსახვით, უძრავ დამკვირვებელსა და ჰორიზონტს. ეს ახალ ვიზუალურ ნორმალურობას ადგენს - ახლებურ სუბიექტურობას, რომელიც საიმედოდ გახვეულა სათვალთვალო ტექნოლოგიისა და ყურადღების გამფანტავი ეკრანების საბურველში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სინამდვილეში, ეს წრფივი პერსპექტივის პარადიგმის თუნდაც არა ყოვლისმომცველი, მაგრამ მაინც - რადიკალიზებული სახეა. საქმე ის არის, რომ უწინდელი სხვაობა ობიექტსა და სუბიექტს შორის გამწვავდა და ზემდგომებისგან ქვემდგომებისკენ მიმართულ ცალმხრივ მზერად - ზევიდან ქვევით ჭვრეტად იქცა. ამასთან, პერსპექტივის ჩანაცვლება უსხეულო, დისტანციურ კონტროლს დაქვემდებარებულ მზერას ქმნის, სადაც ჭვრეტის უფლებამოსილება მანქანებსა და სხვა ობიექტებს გა-

5 Hawkeye - "ჰოკაი" (სიტყვა-სიტყვით - "ქორისთვალა"), ამერიკული საგემბანო-ბაზირების საჰაერო ადრეული შეტყობინების თვითმფრინავი E-2. წყარო: ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი. https://mil.dict.ge/ka/word/4449/Hawkeye/ გვერდი უკანასკნელად ვიხილე 2021 წლის 13 ივნისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




*კოსმოსში გაბნეული ნარჩენები (რაკეტის საფეხურები, მწყობრიდან გამოსული სატელიტები, აფეთქებებისა და შეჯახების შედეგად გაფანტული ნამსხვრევები), რომლებიც დედამიწას გარს უვლის.*

დაეცემა. თავის დროზე, ფოტოგრაფიის გამოგონებამ მზერა უკვე აქცია მოძრავ და მექანიზებულ ძალაუფლებად, თუმცა, ახალმა ტექნოლოგიებმა განკერძოებით მდგომი დამკვირვებლის მზერას კიდევ უფრო ინკლუზიური და ყოვლისმცოდნე სახე მიანიჭა და, საბოლოოდ, ყოვლისმომცველ დაუპატიჟებელ სტუმრად აქცია. ეს უკანასკნელი იმდენად მილიტარისტულია, რამდენადაც - პორნოგრაფიული და იმდენად ინტენსიური, რამდენადაც - ექსტენსიური. ის, ერთდროულად, მიკროსკოპულიცაა და მაკროსკოპულიც.

## ვერტიკალობის პოლიტიკა

"ხედი ზემოდან" ზევიდან მომავალი, გამძაფრებული კლასობრივი ომის კონტექსტში კლასობრივი მიმართებების ზოგადი ვერტიკალიზაციის საუცხოო მეტონიმიაა, რომელსაც სამხედრო, გასართობი და საინფორმაციო ინდუსტრიების ლინზებს მიღმა და ეკრანებზე ვუმზერთ.

ეს უფლებამოსილებით აღჭურვილი პერსპექტივაა, რომელიც გაფართოებული სამგანზომილებიანი სუვერენულობის ფონზე, სტაბილურობის, დაცულობისა და უკიდურესად დახვეწილი ოსტატობის ილუზიას ქმნის. მაგრამ თუკი ახლებური, ზევიდან მომართული ხედვა ხელახლა წარმოქმნის საზოგადოებებს, როგორც თავისუფალი ვარდნის მდგომარეობაში მყოფ ურბანულ უფსკრულებს და დანაწევრებულ, ოკუპირებულ ტერიტორიებს (რომლებსაც ჰაერიდან უთვალთვალებენ და ბიოპოლიტიკურად ზედამხედველობენ), წრფივი პერსპექტივის მსგავსად, შესაძლოა, ვერტიკალური მზერაც თავისსავე წიაღში ატარებდეს საკუთარი დაისის ჩანასახს.

მას შემდეგ, რაც ოკეანეში გადაყრილ მონათა ჩაძირული სხეულების კვალდაკვალ, წრფივი პერსპექტივა ფსკერისაკენ დაეშვა, წყვეტილი ჰორიზონტების პირობებში, საჰაერო წარმოსახვის მიერ სიმულირებული ნიადაგი ბევრისათვის დღეს ორიენტირების ილუზორული ინსტრუმენტია.

დრო და სივრცე ერთმანეთს ასცდა და როცა თავისუფალი ვარდნის პრინციპით, სპირალური დაღმასვლით ვეშვებით, რომლის აღქმა ჩვენს უნარებს აღემატება, უკვე აღარ ვუწყით, ობიექტები ვართ თუ სუბიექტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, თუკი ჰორიზონტებისა და პერსპექტივების სიმრავლეს და მათი წრფივი ხასიათის გაუქმებას მივესალმებით, ხედვის ახალმა ინსტრუმენტებმა შეიძლება არათუ გამოხატოს, არამედ შეცვალოს გახლეჩილობისა და დეზორიენტაციის თანამედროვე მდგომარეობა. უახლესი სამგანზომილებიანი ანიმაციის ტექნოლოგიები მრავალ პერსპექტივას მოიცავს, რომლებიც საგანგებოდ გამოიყენება მრავალფოკუსიანი და არასწორხაზოვანი წარმოსახვის შესაქმნელად.

კინემატოგრაფიული სივრცე ათასგვარ ფორმას იღებს და ჰეტეროგენული, მრუდე, კოლაჟური პერსპექტივების ირგვლივ იყრის თავს. ფოტოგრაფიულ ლინზას, რომელიც რეალობის ჭეშმარიტ ასახვას გვპირდებოდა, საკუთარმავე ამბიციამ მოუთავა ხელი. ასეა თუ ისე, მისი ადგილი ჰიპერრეალურმა რეპრეზენტაციებმა დაიკავა, რომლებიც სივრცეს აჩვენებს არა "ისეთად, როგორიც არის", არამედ ისეთად, როგორადაც ჩვენ ვაქცევთ. ძვირადღირებული გადაღების დადგმა ვილას სჭირდება - მწვანე ეკრანის მარტივი კოლაჟი წარმოუდგენელ კუბისტურ პერსპექტივებს წარმოშობს და დროებისა და სივრცეების არნახულ კასკადებს ქმნის.

კინომ, ბოლოს და ბოლოს, მოიპოვა მხატვრობისა და სტრუქტურული თუ ექსპერიმენტული ფილმისთვის დამახასიათებელი რეპრეზენტაციის თავისუფლება. გრაფიკული დიზაინის პრაქტიკასთან, ხაზვასა და კოლაჟთან შერწყმის გზით, კინო დამოუკიდებელი გახდა ფოკუსით განსაზღვრული მასშტაბისაგან, რომელიც მხედველობის არეს უზღუდავდა და მის ნორმალიზებას ცდილობდა. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მონტაჟი კინემატოგრაფიის წრფივი პერსპექტივისაგან გათავისუფლებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო - ეს კი, უნდა ითქვას, რომ მონტაჟის არსებობის თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე, მისსავე ამბივალენტურობას განაპირობებდა. თუმცა, სივრცითი ხედვის ახლებური და განსხვავებული ფორმების შექმნა ახლაღა გახდა შესაძლებელი. იგივე შეიძლება ითქვას მრავალეკრანიანი პროექციების შესახებ, რომლებიც, პერსპექტივისა და ხედვის შესაძლო წერტილების გაფანტვის გზით, ჭვრეტის დინამიკურ სივრცეს ქმნის. ამ მზერის გავლენით, შინაარსის წარმოქმნის პროცესში ჩაბმული მაყურებელი უკვე არა უნიფიცირებულია, არამედ დისოციაციასა და განცდების მოზღვავებას განიცდის. პროექციის ეს სივრცეები ერთ, მთლიანობით ჰორიზონტს როდი გულისხმობს. ამის ნაცვლად, ისინი მრავალ მჭვრეტელს მოითხოვს, რომლებიც მასის მარად განახლებადი არტიკულაციის გზით ყალიბდებიან და კვლავიწარმოებიან.

ამ ახლებური ვიზუალობების ფარგლებში, ის, რაც უფსკრულში უმწეო ვარდნად გვეჩვენებოდა, რეპრეზენტაციის ახლებურ თავისუფლებად იქცევა. შესაძლოა, ეს მოცემულ სააზროვნო ექსპერიმენტში ნაგულისხმევი ვარაუდის - იმ იდეის დაძლევაში გვეხმარებოდეს, რომ მყარი ნიადაგი, საერთოდაც, რამეში გვესაჭიროება. თავბრუსხვევის შესახებ მსჯელობისას, თეოდორ ადორნო დასცინის ფილოსოფიის შეპყრობილობას მიწითა და წარმოშობით - მიკუთვნებულობის ფილოსოფიით, რომელიც უნიადაგოს, უძიროს მძაფრი შიშის თანამდევია. ადორნოსათვის თავბრუსხვევა ყოფიერების საიმედო ნავსაყუდლად წარმოდგენილი ნიადაგის დაკარგვის პანიკურ განცდას როდი უკავშირდება. ცნობიერება, რომელმაც ნაყოფი უნდა გამოიღოს, ობიექტებს *a fond perdu* [იმედის გარეშე, თავდავიწყებით] მიეცემა. ამ თავდავიწყებით გამოწვეული თავბრუსხვევა *index veri*-ა - ინკლუზიურობის შოკი, ნეგატივი, რამდენადაც ის, რაც ჩარჩოში მოქცეულს, მარად უცვლელს ემორჩილება, მხოლოდ ცრუ რეალობაშია ჭეშმარიტი.

ესაა ვარდნა საგნებისაკენ თავის დაზღვევის გარეშე, მატერიისა და სინამდვილის სამყაროს მიღება, რომელსაც პირველსაწყისი სტაბილურობა არ გააჩნია და ღიაობის წინაშე უეცარ ელდას იწვევს. ეს თავისუფლება თავზარდამცემია, ის სრულიად გვწყვეტს ტერიტორიისაგან და მარად შეუცნობელია. ვარდნა განადგურებასა და დალუპვასაც ნიშნავს და სიყვარულსა და თავდავიწყებასაც, ვნებასაც და დანებებასაც, დაცემასაც და კატასტროფასაც. ვარდნა, ერთდროულად, ხრწნაცაა და გათავისუფლებაც, ეს ის მდგომარეობაა, რომელიც ადამიანებს ნივთებად აქცევს და პირიქით.

თავისუფალი ვარდნა იმ ნაპრალში მიგვაქანებს, რომელში მოძრაობასაც ან გაჭირვებით გავუძლებთ, ან - შევიტკბობთ, ან სიხარულით მივიღებთ, ან - ვაებით, ანდა, უბრალოდ, შევეგებებით, როგორც გარდაუვალ რეალობას.

დაბოლოს, თავისუფალი ვარდნის პერსპექტივა ზევიდან მომართული კლასობრივი ომის სოციალური და პოლიტიკური წარმოსახვის გააზრებას გვასწავლის და გამაოგნებელი სოციალურ უთანასწორობა მკაფიო შუქზე გამოაქვს. თუმცა, ვარდნა მხოლოდ თავის დაკარგვას როდი ნიშნავს. ის ახალი უტყუარობის გამორკვევასაც შეიძლება მოასწავებდეს. სანამ ნამცეცებადქცეულ მომავალს ვებღაუჭებით, რომელიც უკან, მტკივნეული აწმყოსკენ გვიბიძგებს, შეიძლება გავაცნობიეროთ, რომ ადგილს, რომლისკენაც თავისუფალი ვარდნის პრინციპით ვეშვებით, აღარც ნიადაგი გააჩნია და არც სიმყარე. საზოგადოების ნაცვლად, ის მარად ცვალებად წარმონაქმნებს მოასწავებს.

# ომებსა და ადამიანებზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორტომეულში **„თანამედროვე ქართული ომის პროზა“** 29 ავტორის ამდენივე მოთხრობაა შეკრებილი და ეს არის მხოლოდ ნაწილი მრავალგვარი რეაქციისა, რომელიც ბოლო **30 წლის** განმავლობაში გადატანილმა მოვლენებმა გამოიწვია **უახლეს ქართულ მწერლობაში**




ზვიად კვარაცხელია, ზურა ჯიშკარიანი, კახა ჭაბაშვილი, ლაშა იმედაშვ
ომარ თურმანაული, ანა კორძაია-სამადაშვილი, რეზო თაბუკაშვილი,
ლადო კილასონია, ლელა კოდალაშვილი, ნათია როსტიაშვილი,
ნანა აკობიძე, ცირა ყურაშვილი, ვახტანგ კომახიძე,
რეზო გეთიაშვილი, შორენა ლებანიძე




გურამ ოდიშარია, ნუგზარ შატაიძე, შალვა ბაკურაძე,
ეონა დოლენჯაშვილი, ბესო სოლომანაშვილი, ბესო ხვედელიძე,
ლუკა ბაქანიძე, ბექა ქურხული, გელა წქვანავა, თამრი ფხაკაძე,
თეა თოფურია, ალეკო ცქიტიშვილი, ერეკლე დეისაძე,
ნინო სადღობელაშვილი

პალიტრა L
www.palitra
facebook.com/Palitra.L.Publis

n 29/105

ეროვნული
ბიბლიოთეკა




## შემოდგომა

*ალი სმითი*

შოტლანდიელი პროზაიკოსის, დრამატურგის, პოეტის, ჟურნალისტისა და მკვლევარის, ალი სმითის რომანი „შემოდგომა“ მოგვითხრობს გამჭრიახი დედისერთა გოგონასა და მოხუცი მარტოხელა ინტელექტუალის მეგობრობაზე. მწერალი საოცარი სიმსუბუქით, სევდანარევი იუმორით გვესაუბრება ბრიტანეთისა და დღევანდელი სამყაროსთვის ყველაზე მტკივნეულ თემებზე, რომლებიც ერთდროულად ზოგადსაკაცობრიოცაა და თან უცნაურად ახლობელი და ნაცნობია ნებისმიერი მკითხველისთვის – ესაა მოულოდნელობებით აღსავსე დღევანდელობა, რომელშიც ყველას ერთად გვიწევს ცხოვრება.

*მთარგმნელი: ეკა ცუმბაძე*

*პრემია „საბას“ ფინალისტი*

*უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი*

## მიწის მადლი

*კნუტ ჰამსუნი*

კნუტ ჰამსუნის „მიწის მადლი“ მონუმენტური რომანია ადამიანისა და ბუნების მდუმარე, მკაცრი, მაგრამ სიყვარულით სავსე ურთიერთობის შესახებ. მშრომელი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების რეალისტური აღწერით, ბუნების მკაცრი სილამაზისა და ადამიანთან ჰარმონიულობის ჩვენებით და პერსონაჟების მიმართ უდიდესი კეთილგანწყობით მწერალი სოფლად მცხოვრები გლეხების ყოფას ცხოვრების თანამედროვე სტილს უპირისპირებს. 1920 წელს მწერალმა ნობელის პრემია სწორედ ამ რომანისთვის მიიღო.

*მთარგმნელი: თამარ კვიჟინაძე*

*პრემია „საბას“ ფინალისტი*

*უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი*

